ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · პარასკევი 17 დეკემბერი 1999 №242 (1015) · ფასი 50 თეთრი


2

### რობსონის ლინგვისტიკა გულიტის სექსის მერე

ბობი რობსონმა ქეცბაიას ქართულად ლაპარაკი აუკრძალა

1

### ლეგენდარული მილანელები



ფრანკო ბარეზი „მილანის“ ასწლეულის ფეხბურთელად დაასახელეს

9

### საქართველოს ნაკრების მეტოქე

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### ტრიუმფატორის დაბრუნება

ემერიხ ენეი ქართველებს გადახალისებულ გუნდს დაუპირისპირებს

3

### თეთრ სახლში სპორტი ხშირი სტუმარია

კლინტონს სერენა კაბინეტში შეუყვანია

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 17 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში 14 საათზე გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

*სსჟა-ს აღმასკომი*

# ტორპედოს აღარ დაუღამდება

## 400 დღე, რომელმაც შექრა ქუთაისი

*1998 წლის 6 ნოემბრის წვიმიან დღეს ქუთაისის საფეხბურთო ცის კაბადონზე საბოლოოდ გამოიდარა. ზუსტად 407 დღის წინათ ქართული კალათბურთის ლეგენდა მიხეილ ქორქია მშობლიურ ქალაქს და ქართულ სპორტს დაუბრუნდა. 407 დღე თითქოს დროის მცირე მონაკვეთია ნახევარსაუკუნოვანი კლუბის ცხოვრებაში. დრო მარტო წუთებითა და წამებით არ იზომება. ამ 407-მა დღემ ტრადიცია და ღირსება დაუბრუნა საფეხბურთო ქუთაისს. ვინ იცის, ქუთაისური კლუბის კიდევ რამდენი ღირსშესანიშნავი თარიღი დაუკავშირდება მიხეილ ქორქიას სახელს. კიდევ რამდენჯერ გაიხარებენ საჩემპიონო ბილიკზე შემდგარი „ტორპედოს“ გულშემატკივრები. მიხეილ ქორქიას სასაუბროს რა გამოულევს. „სარბიელსაც“ კითხვები დაუგროვდა:*

იხილეთ მეოთხე გვერდი



ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტი მიხეილ ქორქია

# ჭეიშვილი დააფიქრეს

## ქართველ ჭაბუკებსაც ახალი მწვრთნელები ეყოლებათ



შოთა ჭეიშვილი

ალალად ვთქვათ, დეკემბრის თვე ქართველი მწვრთნელებისაა, გასულ პარასკევს დაწყებული მწვრთნელთა მიზანმიმართული მოძრაობა დღესაც გრძელდება. რატომაც არ, წლის ბოლოა და საქართველოს ნებისმიერი რანგის ნაკრებების მესაჭეთა ვინაობა ამთავი[...]ნდა გაირკვეს, რათა მომავალი წლიდან ნაკრებებმა სრულად წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლობები.

ეროვნულ გუნდს ტანდემმა უნდა უხელმძღვანელოს (ასეა ნათქვამ-გადაწყვეტილი და ამას ალარაფერი ეშველება), მწვრთნელთა მრავალწევრიანმა საბჭომ კი თავისი საქმე უნდა აკეთოს.

როგორც ჩანს, ხურცილავა-კოპალეიშვილის თანამშრომლობამ ახალგაზრდულ ნაკრებში ოფიციალური სახე მიიღო — მომავალი წლიდან ვახტანგ კოპალეიშვილი მურთაზ ხურცილავას თანაშემწედ იმუშავებს. ცვლილებებია 16-წლამდელთა ნაკრებშიც, რევაზ გაგუას შემცვლელად სფფ-მ თენგიზ სულაქველიძე შეიგულა. მას ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის გარკვეული გამოცდილებაც გააჩნია. 14-წლამდელებსაც ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ — ყოფილ ფეხბურთელს კობა ჟორჟიკაშვილსაც უმუშავია აქამდე მოზარდებთან.

არაფერი გვითქვამს 18-წლამდელთა ნაკრებზე. საქმე ისაა, რომ მისი მესაჭის ვინაობა ჯერაც არ არის გარკვეული. რამდენიმე დღის წინ სფფ-მ აღნიშნული ვაკანსია შოთა ჭეიშვილს შესთავაზა. ჭეიშვილს უთქვამს, დავფიქრდები და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებო.

— ჩვენი დიდი სურვილია, რომ 18-წლამდელებთან შოთა ჭეიშვილმა იმუშაოს, იგი საქმის კურსშია და საბოლოო პასუხს ხვალ გვეტყვის — გვითხრა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

შეგახსენებთ, რომ შოთა ჭეიშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველი მთავარი მწვრთნელი იყო, შარშან კი იგი „ბათუმის“ თავკაცის პოსტზე იტალიელმა ჯანი კარნევალემ შეცვალა.

ბაატა ჭვანტალიანი

# ბობი რობსონმა თემურ ქეცბაიას ქართულად ლაპარაკი აუკრძალა


თემურ ქეცბაია


ბობი რობსონი

სარბიელის არქივიდან

ინგლისურმა მედიამ როგორც იქნა, მიაგნო იმ შთამბეჭდავ წამალს, რომლითაც სერ ბობი რობსონმა რუუდ გულიტის „სექსუალური ფეხბურთით“ გამოფიტულ „ნიუკასლს“ ახალი სული შთაბერა. ეს წამალი არც თეთრი მაგიის შედეგია და არც რაიმე ახალი ფარმაცევტული მიღწევების. ბობი რობსონმა „ნიუკასლში“ დარღვეული კომუნიკაციური სისტემის აღდგენა დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ სერ ბობის გუნდში 12 არაბრიტანელი თამაშობს მსოფლიოს 10 ქვეყნიდან. „რუუდ გულიტი საერთოდ როგორ ახერხებდა მათთან მუშაობას, ვერ წარმომიდგენია — აღნიშნა ბობი რობსონმა — ურთიერთობის არავითარი საშუალება არათუ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს, არამედ თავად ფეხბურთელებს შორისაც არ არსებობდა“ — გაოცებულია ჯორდების მთავარი მწვრთნელი. რობსონმა „ნიუკასლის“ შემობრუნების წამალს მას შემდეგ მიაგნო, რაც მარტივ შეკითხვაზე — „ბიჭებო, ყველაფერი გასაგებია?“ — ათი სხვადასხვა, რაღა თქმა უნდა, მისთვის სავსებით გაუგებარი პასუხი მოისმინა.

ინგლისურმა „დეილი მირორმა“ თავი შეიწუხა და ათივე ენაზე გადათარგმნა ის წინადადება, რომელსაც „ნიუკასლის“ ლეგიონერები წარმოთქვამდნენ.

„მირორის“ ლექსიკონით თემურ ქეცბაია ქართულად ასე დაამშვიდებდა ბობის — „რაც არ უნდა თქვა, უფროსო“.

ესპანელი მარსელინო და პერუელი სოლანო მწვრთნელს ესპანურად ასე მიუგებდნენ: „Lo kue usted diga, jafa“. ხორვატი მარიჩი „Sto god vi kazete sefe“-ს უპასუხებდა. იტალიელი პისტონე, რაღა თქმა უნდა, იტალიურად: „Come dici tu capo“. ბერძენი დაბიზასი რობსონს ბერძნულით მოხიბლავდა: „Otipis peis afentiko“. რობსონისთვის ასევე გაუგებარი დარჩებოდა ფრანგების: შარვეს, დომის, გომას — „Tout ce que voudrez, patron“, ბრაზილიელი ფუმაკას პორტუგალიური „Tudo o que patro di isser“ და რაც უნდა გასაკვირი იყოს, ადგილობრივი კაცის — სტივ ჰოუის ჯორდული სლენგი „Why aye, gaffa manTalk of the Toon“. ერთადერთი, ვისი სიტყვებიდანაც სერ ბობი აზრს გამოიტანდა — ჰოლანდიელი მეკარე კარელსეა — „Wat u wook zegt, baas“ „ეინდჰოვენში“ მუშაობისას ხშირად მოუსმენია 66 წლის ინგლისელ ჯენტმენს.

ერთი სიტყვით, ბობი რობსონის გუნდში უცხოელებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი სასტიკად აეკრძალათ. „მარსელინოსი მესმის, შარვე და დაბიზასიც მაგებინებენ, მთლად ცუდად არც სოლანო ლაპარაკობს ინგლისურად და პორტუგალიიდან ახლახან ნაყიდი ჰელდერიც ახერხებს რაღაცას, მაგრამ მთლიანობაში გუნდს ჩემი არ ესმოდა და მე გუნდის. „ნიუკასლში“ არსებულ განხეთქილებაზე ჯერ კიდევ მწვრთნელად მოსვლამდე მსმენოდა. გუნდიდან წასულმა გერმანელმა დიტმარ ჰამანმა [illegible] თქვა, რომ „ჯორდებს“ [illegible] — უცხოელებად და [illegible] ფილმიო. მე ამ [illegible] — ვისახე მიზნად — გამოსავალსაც მივაგენი, ამის შემდეგ ვარჯიშზე, გასახდელში, უცხოურ ვოიაჟებსა და თუ შინაურ თამაშებზე ამ კლუბში მხოლოდ ინგლისურად ვილაპარაკებთ“ — განაცხადა „ჯორდების“ დამრიგებელმა.

რობსონმა ფეხბურთელებს ასევე აუკრძალა მობილურით საუბარი. „ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ პსვ-ში მუშაობისას გამოვიყენე და ძალიან გამიმართლა. იქ ყველას ჰოლანდიურად ველაპარაკებოდი და ჩემს ინსტრუქციას ყველას ვაგებინებდი. იგივე რომ არ გამეკეთებინა „ნიუკასლში“, მაშინ მე მომიწევდა 10 ენის სწავლა და შემდეგ ინსტრუქციის 10-ჯერ გამეორება“ — თქვა რობსონმა.

ლეგენდარული ბობი კმაყოფილია საკუთარი მიგნებით: „ადრე რა ხდებოდა? ვარჯიშიდან ვისაც როგორ მოესურვებოდა ისე მიდიოდა ლანჩზე, რაც უნდოდათ, იმას ჭამდნენ და როცა უნდოდათ, მაშინ დგებოდნენ. იყო ერთი ყაყანი და აურზაური. თავი პაბში გეგონებოდათ. გუნდში ერთობლიობის არანაირი გრძნობა არ არსებობდა. ახლა ჩვენ ყველანი ერთად მოვდივართ ლანჩზე. დანიშნულ დროს ვჭამთ და ვდგებით. ყველა ერთად ისვენებს და ერთ ენაზე საუბრობს. ვერავინ ადგება, სანამ უფლებას არ მივცემ.“

რობსონის წამლის შედეგიც სახეზეა. გუნდი ბოლო მატჩებია, სერიოზულ ფეხბურთს აჩვენებს, რაც შედეგზეც აისახა. „ჩვენ ჰარმონიის მისაღწევად ენობრივი ბარიერი ხელს აღარ გვიშლის, დღეს დარწმუნებული ვარ, რომ როცა ფეხბურთელებს ინსტრუქციებს ვაცნობ, მათ ჩემი უკეთ ესმით“ — ამბობს რობსონი.

**სიმონ მენაბდე**

# ცხადაძეს არავინ შეხებია

გუშინ „სიტის“ მენეჯერმა განაცხადა, ვიდეოჩანაწერის ნახვამ გვიჩვენა, რომ ცხადაძეს არავინ შეხებია და იგი უცაბედად თავად წაიქცაო. როილმა აღნიშნა ორივე გუნდის ფეხბურთელების ჯენტლმენური საქციელი. „ისინი უმალ ცხადაძესთან გაჩნდნენ და დახმარება შესთავაზეს. რომ არ შესცივებოდა, თბილად შეფუთნეს. ის კი არ, ოცივე თავზე მდგომმა დატუქსა სტოქსიტელი კუკი და ქროუ, რომლებიც ამ ამბავს ოდნავადაც არ აუღელვებია. ბოლო ინფორმაციით, რომელიც მანჩესტერის ერთ-ერთ საავადმყოფოდან მოვიდა, ცხადაძის ტრავმა ძალიან სერიოზულია. ქართველმა ვეტერანმა შეიძლება დროზე ადრე დაასრულოს კარიერა.

**სიმონ მენაბდე**

# კვარაცხელია შამქირში ბაირამობს

აზერბაიჯანში განახლებულ ეროვნულ ჩემპიონატში ქართველი ბადრი კვარაცხელიას „შამქირი“ ლიდერობს. ყოფილი თბილისის მერანელი მეორე წელია, აღმოსავლეთ სამეზობლოში ბურთაობს. წლევანდელი სეზონი მისთვის ერთობ ნაყოფიერია. „შამქირი“ 17 ქულით ბაქოს „ნეფთჩისთან“ ერთად პირველ ადგილს იყოფს, თავად კვარაცხელია კი 6 გოლით ბომბარდირთა სიას თავკაცობს.

სამხრეთ სამეზობლოში — სომხეთში კი ჩემპიონატი დასრულდა. იგი „შირაქმა“ მოიგო. ქართველი კახა გოგოლაძის „ერევანი“ მე-5 ადგილზე გავიდა და ევროთასებზე ვერ იასპარეზებს.

**სიმონ მენაბდე**

# უმცროსი გაბელია გააციმბირეს

ლეგენდარული ქართველი მეკარის, ოთარ გაბელიას ვაჟი კარიერას ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ გააგრძელებს — ამის შესახებ წინასწარ შეთანხმებას მიაღწია თბილისში ვიზიტით მყოფმა „ჩკალოვეცის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგო იროմაშვილმა.

„ჩკალოვეცი“ რუსეთის მეორე დივიზიონის აღმოსავლეთ ზონაში თამაშობს. გუნდმა გასული სეზონი 54 ქულით მე-5 ადგილზე დაასრულა. გაბელია „ჩკალოვეცის“ მეხუთე ქართველი იქნება. რამდენიმე სეზონია, რაც ციმბირული გუნდის ღირსებას იცავენ: ქართული და, ალბათ მსოფლიო ფეხბურთის ვეტერანი, 44 წლის მერაბ მეგრელაძე, ასევე ორი ყოფილი ტორპედოელი, გელა წიქარიშვილი და მამუკა მანაგაძე. „ჩკალოვეცის“ კაპიტანი რეზო ნაჭყებია 10 წელია, რუსეთშია და იქაური მოქალაქეობაც მიიღო.

ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მეკარე გიორგი გაბელია შარშან თსუ-ში თამაშობდა, ახალ სეზონში კი რეგიონალური ლიგაში, გურჯაანის „ალაზანში“ გამოდის.

სავარაუდოა, რომ გაბელია 34 წლის ივანოვიჩს შეცვლის. იგი „ჩკალოვეცის“ ძირითადი მეკარე იყო, თუმცა ერთ-ერთ ბოლო ტურში „რეფორმაციასთან“ ნათამაშევი 3:3-ის შემდეგ იროմაშვილმა იგი გუნდიდან გააგდო. „ჩკალოვეცს“ კიდევ ორი მეკარე ჰყავს — 18 წლის გუსკოვი და 26 წლის ერიოხინი.


სერგო იროմაშვილი

სარბიელის არქივიდან

მწვრთნელს, გაბელიას გარდა, კიდევ ერთი ქართველის წაყვანა აქვს განზრახული.

სანამ იროմაშვილი ქართულ ბაზარზე ფეხბურთელებს არჩევდა, მის ირგვლივ დიდი სკანდალი ატყდა. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფმა, „ნოვოსიბირსკის“ პრესკლუბმა გამოჩხრიკა, რომ თურმე იროմაშვილს მინდობილობა გაუყალბებია და ყაზანის „რუბინისთვის“ ისე გადაუხდია 60 000 რუსული რუბლი. ეს ფული „რუბინს“ თავდამსხმელ პანტუშენკოში ერგებოდა, რომელიც გასული სეზონის დასაწყისში კლუბთან შეუთანხმებლად გადავიდა „ჩკალოვეცში“. „რუბინმა“ რუსეთის ფეხბურთის ასოციაციაში იჩივლა, ეს უკანასკნელი კი იროմაშვილს სანქციებით დაემუქრა (ქულებს ჩამოგაკლებთო). ბატონი სერგოც (თუ დამოუკიდებელ ჟურნალისტებს ვენდობით) ამდგარა და ფული ყალბი მინდობილობით გადაუხდია.

მედია ვარაუდობს, რომ თუ ასოციაციამ იროմაშვილს გაყალბების ფაქტი დაუმტკიცა, „ჩკალოვეცს“ ახალი სეზონის დაწყება დაკლებული ქულებით მოუწევს.

**სიმონ მენაბდე**

# დნეპრს ფოცხვერია სურს

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი მიხეილ ფოცხვერია დონეცკის „შახტიორიდან“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გადადის. ეს ინფორმაცია გუშინ ერთ-ერთმა უკრაინულმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა. „დნეპრის“ ხელმძღვანელობას ქართველი თავდამსხმელის შეძენის დიდი სურვილი ჰქონია. თუ „შახტიორისა“ და ფოცხვერიას ურთიერთდამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, ეს ტრანსფერი ალბათ შედგება. მით უმეტეს, მიშას დონეცკურ კლუბთან კონტრაქტი ამ თვის ბოლოს უმთავრდება და დნეპროპეტროვსკელებსაც მხოლოდ საკომპენსაციო თანხის გაღება მოუწევთ.

მიხეილ ფოცხვერიას მიერ „შახტიორში“ გატარებულ წლებს, დაგვეთანხმებით, კარგი ნამდვილად არ ეთქმის. ქართველ ფეხბურთელს კლუბში საქმეები მანამდე ჰქონდა აწყობილი, ვიდრე უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა მიწვევას უარით უპასუხებდა და საქართველოს ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებდა. ამის შემდეგ კი მისი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა. იგი ჯერ „შახტიორის“ მაშინდელმა თავკაცმა ვიტალი იარემჩენკომ აითვალწუნა, მერე კი მისმა შემცვლელმა ანატოლი ბიშოვეცმა. ყველაფერ ამას ფოცხვერიას ტრავმებიც დაემატა და უკრაინული კლუბის ხელმძღვანელობამაც საბოლოოდ თქვა მასზე უარი. ერთი პერიოდი ფოცხვერიას არც საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი იწვევდა (ან კი როგორ უნდა მოეწვია, როცა ბოსკამპმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა) და ფეხბურთელიც გარიყული აღმოჩნდა.

ცოტა ხნის წინ „შახტიორის“ უფროსობამ ბიშოვეციც იარემჩენკოს გზას გაუყენა. ამან ფოცხვერიას გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა, მაგრამ ამაოდ. ქართველს არც ამან უშველა. გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ვოლგოგრადის „როტორის“ ყოფილმა თავკაცმა ვიქტორ პროკოპენკომაც წინამორბედების შეხედულება (ფოცხვერიასთან მიმართებაში) გაიზიარა.

ახლახან პროკოპენკომ 2000 წლის სეზონისთვის გუნდის მზადების გეგმა შეადგინა და ის ფეხბურთელებიც დაასახელა, ვისაც გაზაფხულისთვის მოამზადებს. 25-კაციან განაცხადში მიხეილ ფოცხვერია ვერ მოხვდა და, ეტყობა, ჩემპიონატის ლიდერთა შორის მყოფი „შახტიორიდან“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „დნეპრში“ გადასვლაც ამან გადააწყვეტინა. თუმცა დონეცკში უთამაშებლობას, რა თქმა უნდა, თუნდაც აუტსაიდერ „დნეპრში“ თამაში სჯობს.

ახლა მთავარია, „შახტიორმა“ ფოცხვერიას სანაცვლოდ ისეთი კომპენსაცია არ მოითხოვოს, „დნეპრიც“ დააფრთხოს და სხვაც.

**ვანო ოქროპირიძე**

# ლობანოვსკის კალაძის გაშვება არ უნდა

გუშინ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა დაადასტურა, რომ რამდენიმე ევროპულმა გრანდმა ჰართლაც მიმართა კლუბს კახი კალაძის თაობაზე. ისინი 10 მილიონზე მეტს იხდიან. თუმცა ყველამ უარი მიიღო.

სურკისის თქმით, მიზეზი ლობანოვსკია. ვალერი ვასილიევიჩი თვლის, რომ კალაძისთვის ჯერ ადრეა სერიოზულ ევროპულ გუნდში გადასვლა. აი, გაისად მას თავისუფლად შეეძლება წასვლა. იგი უკვე სუპერვარსკვლავი იქნება და არც „ბარსელონაში“ დაიკარგება, არც „ინტერში“.

შეგახსენებთ, რომ კალაძის შეძენის სურვილი გამოთქვეს „მილანმა“, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ბარსელონამ“. ბოლო ცნობებით, გააქტიურდა „ინტერიც“. ეს გუნდები „დინამოს“ 13-დან 15 მილიონ დოლარამდე სთავაზობენ. კიევი 20 მილიონს ითხოვს.

**სიმონ მენაბდე**

# ორი მწვრთნელი
## ანუ დაუჯერებელი ამბავი

როგორ გგონიათ, საქმე ხარისხშია თუ რაოდენობაში? სხვების არ ვიცი და ვინც საბჭოურ რამეებზე გაზრდილა, ამ საკითხზე ნამდვილად ვერ ექნება ისეთი წარმოდგენა, რომ უნდა. იყო დრო, როცა მთავარი რაოდენობაა, გვასწავლიდნენ, მერე მოვიდა ქვეყნის სათავეში ქართული ფეხბურთით ძალიან ძველი ბაბუა და „კაჩესტვა ა ნე კალიჩესტვაო", სულ ამ სიტყვებით ვიბრუნა ტვინი...

ჰოდა, ამეებზე გაზრდილმა კაცმა მოდი და გაიგე, რომელია სწორი — „კაჩესტვა" თუ „კალიჩესტვა"?

მკითხველისთვის გასაგები რომ გახადო ამგვარი შესავლის საჭიროება, ბოლო ხანებში საფეხბურთო საქართველოს უაქტუალურესი და უპოპულარესი თემა — საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საფიხვნო უნდა წამოვჭრა. რას იტყვით, ხომ არის უაქტუალური და უპოპულარესი თემა? არის, ნამდვილად არის. არის იმიტომ, რომ ჩვენთვის (ქართველებისთვის) თავად ფეხბურთია (შესაბამისად, ნაკრებიც) უაქტუალურესი და უპოპულარესი რამ.

საკითხი კი იმდაგვა წამოსაჭრელი, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელები „გამრავლდნენ ვითარცა სარა და იაკობ" და თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ახალარჩეულ პარლამენტს ნამდვილად მოუწევს საგანგებო კანონის მიღება „ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელთა რაოდენობის შესახებ"...

დალოცვილებო, მწვრთნელთა დუეტი გვეწყობა და მწვრთნელთა ტრიო (კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი, სეპტეტი...) როგორი ასატანია?

და ერთიც, რა ამბავია ამდენი მწვრთნელი, ერთი ორიაჟით გაბრეყვლული თბილისელისთვის არ იყოს, მიტონგა? ამასთან ერთად ისიც ძალიან მაინტერესებს, ფუნქციებს როგორ დაინაწილებენ ნაკრებს შესეული პიროვნებები.

ზემოთ პარლამენტი ვახსენე და ახალამომხვარი მწვრთნელთა საბჭო ცოტათი პარლამენტსაც მახსენებს, ოღონდ. პარლამენტი კი (სიტყვიდან გამომდინარე) მოლაპარაკე ორგანიზაცია უფროა, ვიდრე საქმის მკეთებელი და სრულიად პარლამენტარიზმის არსებობის მანძილზე ყველაზე კარგი ის პარლამენტი გახლდათ, რომელსაც ბევრი ენა და ერთი (ვიმეორებთ — ერთი) თავი ჰქონდა.

ალბათ ახლა და უთხარი მწვრთნელთა საბჭოში თავმოყრილ პატივცემულ პიროვნებებს, თქვენი საქმე ლაპარაკია, თავები კი ძოძუაშვილისა და ყიფიანის იმუშავებსო.

რას იტყვით, როგორი საქმეა, არგებს ქართულ ნაკრებს ორთავიანი პარლამენტი?

ვიცი ზაზავაჩიევით გავიკვირვებ — ორთავიანი დევი გამიგია, ორთავიანი არწივიც გამიგია, ეს ორთავიანი პარლამენტი რაა, პირველად მესმის.

თავები (თვალსაჩინოებს და დამარხულებს) თავი დავანებოთ და ერთი წუთით შინდისფერთა რომელიმე უცხოური მატჩის პერიპეტიები წარმოვიდგინოთ. თუ მწვრთნელთა საბჭო რეალური ამბავია, ხომ უნდა წავყვეთ ნაკრების მთელი შემადგენლობით?

კი, წავყვება, ხელის მოსაკიდებელი ადგილი თუ დარჩა (ნაკრებს, რა თქმა უნდა).



ბადრი [illegible] ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ტანდემს სფფ-მ ათამდე მრჩეველი მიუჩინა

### ძალა ერთობაშია?

ერთი, ჩემი აზრით, იდიოტური საბავშვო სიმღერა გამახსენა საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო აბრაკადაბრამ, ჩვენში გერმანულიდან თარგმნეს და დაახლოებით ასე ჟღერს — ერთად ვცხოვრობთ დიდ ფერმაში, ია, იაო...

ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს წევრები ერთად, რა თქმა უნდა, არ ცხოვრობენ. ისინი ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან, როცა მწვრთნელთა საბჭოს შეკრებას დაუნიშნავს ვინმე. სხვა დროს ქართული ფეხბურთის ეს პატივცემული პიროვნებები ერთად არ არიან.

ამდენად, მათთვის არავითარი სიმღერის თარგმნა-დაწერა არ არის საჭირო, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი კარგა ხანია, გამოვიდნენ ბავშვობის ასაკიდან.

ისე ნურვინ გაიგებს, თითქოს სიმღერის საჭიროებას მარტო ბავშვებისთვის ვკიჟინებდე, სიმღერა მოზრდილებსაც არანაკლებ სჭირდებათ...

მაგრამ აქ სიმღერაში როდია საქმე. საქმე ბავშვებში და მოზრდილებშია. ახლავე ავხსნი, რატომ.

იმიტომ, რომ მხოლოდ ბავშვი შეიძლება დააჯერო მწვრთნელთა საბჭოს არსებობის აუცილებლობაში, მხოლოდ ბავშვმა შეიძლება იწამოს, რომ მწვრთნელთა საბჭოში შემავალი ფრიად პატივცემული პიროვნებები კონტრაპუნქტში გაუძლვებიან ნაკრებს და კარგადაც გაუძლვებიან.

მოზრდილს კი ვერანაირად დაარწმუნებ ნაკრების ამ დანამატის საჭიროებაში. არც ყიფიანი, არც ძოძუაშვილი არ გახლავან ის ხალხი, ვინც ერთბაშად ათ და თხუთმეტ კაცს მოუსმენს, თანაც ყოველი ამხანაგური და შესარჩევი მატჩის წინ.

ბოლოს და ბოლოს, საქმე მწვრთნელობაშია და რეპუტაციაშიც, სხვათა შორის.

და თუ მწვრთნელთა საბჭო მხოლოდ მრჩეველთა საკრებულოა და მეტი არაფერი, ესეც ნამეტანია, მარადონას მადლიანი ფეხბურთის მზემ. ამდენი მრჩეველი ქვეყნის პრეზიდენტისთვისაც კი აფსუსია.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებამ ვინმე იქნებ გაალიზიანოს კიდეც, მაგრამ ის უფრო გამაღიზიანებელი არ არის, რომ საბჭოს შექმნიდან ლამის ათი დღის თავზე მისი ვერც ერთი წევრი ვერ გიპასუხებთ, კონკრეტულად რა ფუნქცია ეკისრება თავად საბჭოს შიგნით და რაც მთავარია, ნაკრებში.

სიჭრელე კი, გაგიხარიათ, ახასიათებს მწვრთნელთა საბჭოს — მწვრთნელი, ყოფილი მწვრთნელი, ბავშვური მწვრთნელი, [illegible] კომიტეტის წარმომადგენელი, ვეტერანი...

ამ ხალხს ფეხბურთი აერთიანებს ერთმანეთთან, მაგრამ ამდენი მოლაპარაკე ქართველი რომ თავს მოიყრის და დაჯდება...

დამჯდარი ლაპარაკი ხომ იცით, სად არის ლამაზი... დიახ, სუფრაზე, სუფრაზე...

მე კი ისევ ვაჟა ზაზაევიჩივით დავიჩივლებ — გაუთავებელი შეხვედრები, ბანკეტები... აღარ შემიძლია პირდაპირ.

### და ნაკრები?

ისევ ისეთია, შინდისფერი კვართებით, შავი ტრუსებითა და თეთრი გეტრებით გაწყობილი (დროშის ფერებში). ისევ ისეთია, აგული ერისთავივით ნიჭიერი და ზარმაცი. ისევ ისეთია, იროდიონივით „ფაქტობრივად შევებულებაში" (ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიდან).

ვეძებთ „ცისფერი მთების" გივივით — ხან ევრო 96-ზე, ხან 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ხან ბელგია-ჰოლანდიაში წამსვლელთა შორის, ახლა კორეა-იაპონია (ეს ორი სათაური რა საჭიროა, არ ვიცი) მიგვასწავლეს და ვნახოთ...

ვინ დაგვწყევლა ჩვენ და ვინ დაგვიწყევლა ფეხბურთი — შესარჩევ ტურნირებს რომ ვერ გავცდით, ეს სამართალია?!

ეეჰ, ნაკრებო, ნაკრებო! შინდისფერკვართიანო, შავტრუსიანო და თეთრგეტრიანო, ნიჭიერო, ზარმაცო და ფაქტობრივად შვებულებაში მყოფო, როგორ ძია ვასოსავით გაიჭედე (ლიფტში არა, შესარჩევ ეტაპებზე)?

რამდენი ხანია, ვყვირით, ვიძახით — ეს ბზარი იყო აქ? საქმეში ხარ? „არსაიდან ხმა, არსით ძახილი". დეფიციტში კი ძველებურად გარღვევაა... ერთი-ორი კარგი მარკშეიდერიც საჭიროა, მაგრამ ყუფარაძეც ხელს რომ არ აწერს?

მოდექი და უმტკიცე მსოფლიოს (თუ გინდა ევროპას): ჩემი ფეხბურთელებით სამყაროს ვაკვირვებდი, ეს ვიყავი, ის ვიყავიო. მსოფლიოს და ევროპას არ აინტერესებს, ვინ იყავი, მას ის უფრო აინტერესებს, ვინ ხარ, თორემ მასე ძია ვასოც კი იყო (ტანკისტი, ომამდე)...

თუმცა ეს ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვინ იყო.

ჯერჯერობით და ამ ეტაპზე კი მეხუთე კალათამ ჩაგიხუტა, ნაკრებო! შინდისფერკვართიანო, შავტრუსიანო, თეთრგეტრიანო, ნიჭიერო, ზარმაცო, ფაქტობრივად შვებულებაში მყოფო...

ნეტავ, ვინ იცის, სად არის ქართული ფეხბურთის განვითარების გეგმა? „ნიუჟელი" თინიკოს უჯრაშია ჩაკეტილი?

ვინც წაკითხვა მოასწრო, გვეუბნება — ერთმა ვერ უშველა და ორი კაცია საჭიროო... მე თუ მკითხავთ, ფანჯარა უნდა გავაღოთ, თორემ დაგვახრჩო ბოლმა, შევწუხდით, ნუ! ფანჯარა რომ გაიღება, ახალი სიო დაბერავს.

ის კი, ორი სათაური რა საჭიროა, მაინც ვერ მივხვდი.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## საფეხბურთო დიალოგები

ბოთლების მიმღები პუნქტის ჩასასვლელთან მელოდებოდა. განუყრელი კეპითა და სიცივისგან შეწითლებული ხელებით. ცოტა იქით, დენის ბოძის ქვეშ შექუჩებული ძმაკაცები ფურთხვით იქცევდნენ თავს.

— რაო, სენატში, რიგზე გაქვთ ყველაფერი?

— კოკას მამას უთქვამს, ერთი თავი კარგია, ორი — უკეთესიო. ბიჭები ეგრე არ ფიქრობენ.

ბიჭებში ქუჩის კუთხეში წრედ შეგროვებულ შანტრაპას გულისხმობდა, თავებში კი — მწვრთნელებს.

— შენ როგორ ფიქრობ?

— მეე? — ცალი თვალი მოჭუტა და ისე ამომხედა. — რა ვიცი...

მაინც ფეხბურთია... თამაშის დროსაც კი კაპიტანია საჭირო... ერთი... ორი კაპიტანი... რა ვიცი, ეხლაც მაგაზე ვლაპარაკობდით. სქელომ, პიანინოზე რომ დაჰყავს დედამისს, ორი დირიჟორიოო და იმდენი იხითხითა, ცრემლები წამოუვიდა. გიგიმ, ერთმა რომ მითხრას, ცენტრალურ თავდამსხმელს სდიე, მეორემ კი — ზონა დაიჭირეო, საშუალო არითმეტიკული როგორ გამოვიყვანოო. კიდევ თქვეს რაღაცეები...

— შენ...

— მე რა... მე საკითხავად მოვედი. — გაჩუმდა. კარგა ხანს იდგა ეგრე. მერე — კი ვიცი, მაგრამ... ევროპის თასი მართლა მოიგო დინამომ? — როგორღაც ძალიძალით ამოღერღა.

— მართლა მოიგო. ხანდახან მეც ვერ ვიჯერებ, მაგრამ რაც მართალია, მართალია, მოიგო... სანამ შენ და შენი შანტრაპა დაიბადებოდით... ხუთი წლით ადრე.

ისევ გაჩუმდა. რაღაცას ანგარიშობდა. ერთხელ ბიჭებისკენაც გააპარა თვალი. მერე კეპი კიდევ უფრო ჩამოიფხატა და თავი არ აუწევია, ისე იკითხა:

— ამ ორზე რას იტყვი, გამოვა რამე?

— ვნახოთ...მე თუ შემიძლია ლოდინი, აი, ოცი წელია ველოდები, ორი თქვენც მოიცადეთ.

— ორი?! წელიწადი?! — გაოცებული ამომაცქერდა. — ორი წლის მერე მე უკვე თხუთმეტის ვიქნები, შენ...

— რას იზამ, ხდება. ის თასი ალბათ ბოლო იყო ჩემთვის... ფეხბურთი მსხვერპლს მოითხოვს.

გადაქლერთილ ფეხსაცმლის წვერებს დაჰყურებდა. ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არ ეთქვა. მერე მიბრუნდა და დენის ბოძისკენ აბლანდული ნაბიჯით წავიდა.

ეტყობა, შევეცოდე.

**ირაკლი ბერიაშვილი**

## მიხეილ საჯაია მეორე ბუნდესლიგას უმიზნებს

მომავალ სეზონში გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში შეიძლება კიდევ ერთი ქართველი ვიხილოთ. ეს თბილისის „მრეტების" ყოფილი ფეხბურთელი, 23 წლის მიხეილ საჯაიაა. ადრე, „აუგსბურგში" თამაშისას, იგი გერმანულ პრესას ბევრჯერ შეუმჩნევია, დღეს კი „როიტლინგენის" ღირსებას იცავს.

1905 წელს დაარსებული, არაფრით გამორჩეული „როიტლინგენი" გერმანიის სამხრეთ რეგიონალლიგაში თამაშობს და წლევანდელი სეზონი გუნდის ისტორიაში საუკეთესოა. 20 ტურის შემდეგ მიხეილ საჯაიას კლუბი 53 ქულით ლიდერობს. „როიტლინგენმა" 17 თამაში მოიგო, 2 ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთი წააგო. კლუბს მატჩში საშუალოდ 3 გოლი გააქვს, რაზეც ბურთების შეფარდებაც მეტყველებს — 60:13.

ბოლო ტურში „როიტლინგენმა" საკუთარ 18-ათასიან სტადიონზე „პფულენდორფს" მოუგო — 3:2 (არადა 1:2-ს აგებდა).

შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ოთხი რეგიონალლიგაა და პირველ ადგილზე გასულები ავტომატურად გადადიან მეორე ბუნდესლიგაში. „როიტლინგენს" ამის საუკეთესო შანსი აქვს. საჯაიას გუნდი უახლოეს მეტოქე, „მანჰაიმს" მთელი 14 ქულით უსწრებს.

შარშან მეორე ბუნდესლიგაში სწორედ ამგვარად აღზევდა „ვალდჰოფი", რომელშიც ყოფილი თბილისის დინამოელი კახა კაჭარავა თამაშობდა, თუმცა შემდეგ კლუბმა ქართველ ვეტერანთან კონტრაქტის განახლება აღარ ისურვა.

**სიმონ მენაბდე**

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ტორპედოს აღარ დაუღამდება

დაახლოებით 3 საათი ვილაპარაკეთ. უკვე შუაღამეც მოგვადგა. ვგრძნობ, კიდევ აქვს სათქმელი. ბოლო ღერ სიგარეტსაც მოუკიდა. ძალიან ბევრი მოწია... ფეხბურთზე და „ტორპედოზე“ მშვიდად საუბარს ვერ ახერხებს.

— მგონი, ყველაფერზე ვილაპარაკეთ, არა? — ვეკითხები — ვფიქრობ, დავღალე და... ქუთაისი?! — ამბობს იგი — ქუთაისზე განსაკუთრებულად არ გვისაუბრია.

მე ვეთანხმები და თავში ერთი აზრი მიტრიალებს — ის ახლა, თბილისში ქუთაისითა და ფეხბურთით ცხოვრობს.

მოულოდნელად ვესტუმრე. მინდოდა, მეორე დღისთვის ინტერვიუზე შემეთანხმებინა. კი ბატონო, მაგრამ ცოტა ხანი გაჩერდით, ვიმუსაიფოთო. ოჯახის დიასახლისმა ჩვეული გულუხვობით გვიმასპინძლა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეუბნება, მოდით, დღესვე ვილაპარაკოთ, რა ვიცი ხვალ რა საქმეები გამომიჩნდებაო.

**— ბატონო მიხეილ, ვიდრე „ტორპედოზე“ გკითხავთ, გუნდის თავკაცის, დავით ყიფიანის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის თაობაზე მითხარით თქვენი აზრი.**

— მე ნაღდად გული დამწყდა, რომ დათოს ძალიან დიდი ტვირთი დააწვა. ჩვენ ქუთაისის „ტორპედოს“ უმაღლესი მიზნისთვის ბრძოლაში გვჭირდებოდა იგი, ყველაფრისგან თავისუფალი და მარტო კლუბზე კონცენტრირებული, მაგრამ რაკი ქართულ ფეხბურთს დასჭირდა დავით ყიფიანის სახელი, ცოდნა და გამოცდილება, ჩვენ არ შევეწინააღმდეგეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყიფიანი იქნებოდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი და როცა გავიგე, ამხელა სპეციალისტები ერთ სკამზე დასხდნენ, რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამიჩნდა.

**— ესე იგი თქვენ წინასწარ ელოდით დავით ყიფიანის ნაკრებში დანიშვნას?**

— დიახ, თვე-ნახევრით ადრე. ვიგრძენი, რომ დაიწყო ლაპარაკი ამის შესახებ. სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ გადავუდგებოდით წინ და ვერ ვიტყოდით არას. არ იქნებოდა ქართული მოქცევა.

**— ჭორის დონეზე იყო ეს ლაპარაკი, თუ...**

— გვქონდა საუბრები სერიოზულ დონეზე ფეხბურთის ფედერაციასთან. მიგვაჩნდა, რომ ყიფიანი ის კაცია, რომელიც საქმეს გააკეთებს.

**— ორი მწვრთნელის დანიშვნის ამბავი სულ ბოლო მომენტში გაიგეთ?**

— რეზო რომ ჩამოვიდა და დავინახეთ, ის საქართველოში ბრუნდება, მაშინ შევიცვალე შეხედულება. რეზო თავისუფალია, არ მუშაობს, დათო გუნდშია, დიდი საქმე უდევს წინ — ჯერ არაფერი გაკეთებულა განსაკუთრებული, ყველაფერი პრინციპში ახლა იწყება...

როცა გავიგე, რომ ორივე დანიშნეს, ვიგრძენი, რომ ეს დათოს და რეზოს პირადი შეთანხმებაა. მაგათ უკეთ იციან, როგორ უნდა იმუშაონ და ჩვენ აღარ ჩავერიეთ. რაც არ უნდა ვიძახოთ, ეს რა მოხდაო... უკვე მოხდა!

**— მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ შემთხვევას არსად პრეცედენტი არ ჰქონია. თქვენ, როგორც ყოფილი სპორტსმენი, რომელსაც უამრავ მწვრთნელთან გიმუშავიათ, როგორ ფიქრობთ, რა შედეგს უნდა ველოდოთ?**

— ძალიან ძნელია მაგის თქმა, რა იქნება. შეიძლება შეიქმნას იდეალური სიტუაცია. აქ პიროვნებებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. შეიძლება ისეთი კატასტროფა მოხდეს, რომ სამარცხვინოდ გამოჩნდეს ეს გადაწყვეტილება. ძალიან სარისკო ნაბიჯი გადაიდგა.

**— თქვენ რომ ყოფილიყავით მერაბ ჟორდანიას ადგილზე, როგორ მოიქცეოდით?**

— ალბათ, ზუსტად ასე მოვიქცეოდი, რადგან სხვა გამოსავალი მერაბს არ ჰქონდა. რეზო ძოძუაშვილის არდანიშვნა მთავარ მწვრთნელად, ისევე როგორც ყიფიანზე უარის თქმა, უკვე აღარ შეიძლებოდა.

**— ალბათ პიროვნულმა მომენტებმა ბევრი რამ გადაწყვიტა, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგია — თუ საქმეს სჭირდება ერთად დგომა, რა მნიშვნელობა აქვს პირველ-მეორეობის ამბიციას?**

— ისე, მეც გამიკვირდა. პრინციპში არც რეზო და არც დათო არ არიან ის ხალხი, რომლისთვისაც მხოლოდ პირველობაა მთავარი. ჩვენ გვქონდა ასეთი პრეცედენტი კალათბურთში. მე დამნიშნეს მთავარ მწვრთნელად და მეორე მწვრთნელად — ზურაბ საკანდელიძე. თავის, კალათბურთის, სამყაროში ზურაბ საკანდელიძე არაფრით ნაკლები არ არის არც რეზოზე და არც დათოზე. იმ კაცს უარი არ უთქვამს თანამშრომლობაზე იმიტომ, რომ საერთო საქმეს ვაკეთებდით. ფეხბურთში რატომ მოხდა, რომ გინდა თუ არა, ორივე პირველი იყოს, ჩემთვის გაუგებარია. ეს მარტო ბატონმა რეზომ და ბატონმა დათომ იციან და მაგას არც შევეკითხები არც ერთს და არც — მეორეს. მოხდა, ესე იგი ასეა საჭირო საქმისთვის. ბატონმა მერაბმაც ყველაფერი იცის. ეს მათი პირადი ამბავია და პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ. ხვალ, ზეგ ისინი აგებენ ყველაფერზე პასუხს.

**— თავიდანვე შეთანხმდით, რომ დავით ყიფიანი „ტორპედოში“ უკონტრაქტოდ იმუშავებდა. როგორ გგონიათ, დღევანდელი გადასახედიდან არ აჯობებდა, ყიფიანთან თავის დროზე კონტრაქტის გაფორმება?**

— საერთოდ, მთლიანობაში რომ ვთქვათ, ჯობდა, კონტრაქტი ყოფილიყო. რადგან დათო ძალიან დაიტვირთა, მეტი რომ არ შეიძლება ისე. ძნელია აქაც და იქაც მუშაობა. ყიფიანთან მიმართებაში შეიძლებოდა ასეთი მომენტი ყოფილიყო — ჯერ ქუთაისში გაკეთებულიყო საქმე, საქართველოს ნაკრები არსად წავიდოდა...

**— მოდით, ახლა თქვენთვის უმთავრეს საქმეს შევეხოთ. როგორ შეაფასებთ „ტორპედოს“ გამოსვლას XI ეროვნულის პირველ ეტაპზე.**

— დავით ყიფიანის ხელი აშკარად დაეტყოთ ფეხბურთელებს. მე უბედნიერესი კაცი ვარ, რომ იგი ჩვენი გუნდის მწვრთნელია. მოთამაშეებსა და მწვრთნელს შორის სუფთა პროფესიული დამოკიდებულებაა. მე, როგორც პრეზიდენტი, ერთხელაც არ ჩავრეულვარ მათ საქმეში. დავით ყიფიანი ის კაცია, რომელიც არ დაუშვებს გუნდში კატასტროფული სიტუაციის შექმნას. „ტორპედოში“ კარგი მდგომარეობაა. პრეზიდენტს კი უფლება აქვს მხოლოდ უკიდურეს მომენტში ჩაერიოს. მიგვაჩნია, რომ კლუბში კარგი ატმოსფეროა და ალბათ კიდევ უკეთესი იქნება. ყიფიანის ნაკრებში დანიშვნას ერთი დადებითი მომენტიც აქვს. ფეხბურთელებისთვის დიდი პატივია, როცა მათი თავკაცი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელიცაა. არავინ არ დაჩაგრავს გუნდის მოთამაშეს თუ ის მომზადებული იქნება იმ დონეზე, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებს. უფრო მეტი სტიმულიც ეძლევათ საამისოდ და, დარწმუნებული ვარ, ყიფიანი უკან არ დაიხევს.

**— ახლა კლუბებს შორის სეზონთშორისი სატრანსფერო პოლიტიკა გაჩაღდება — ფეხბურთელების წასვლა, შევსება და ასე შემდეგ. „ტორპედოში“ რას უნდა ველოდოთ?**

— დღიდან ჩვენი კლუბში მოსვლისა, იმაზე ვზრუნავთ, რომ სერიოზული, პროფესიონალური კლუბი ჩამოვაყალიბოთ. ისე კი არა, რომ ფეხბურთელების გაყიდვით ვიარსებოთ. ჩვენ ეს მიზანი არა გვაქვს. „ტორპედო“ არავის არ გაყიდის, პირიქით, კიდევ შევიძენთ. მოთამაშეებში კონკურენციას გავზრდით. სეზონის და ევროსარბიელზე გამოსვლის მერე კი თუ იქნება რეალური და მისაღები წინადადებები, ვნახოთ...

**— ამას წინათ თბილისის „დინამოს“ თავკაცმა „ტორპედოს“ რამდენიმე ფეხბურთელის საკუთარ გუნდში ხილვის დიდი სურვილი გამოთქვა. მოლაპარაკების წამოწყებაზეც ითქვა. ჰქონდა რაიმე საფუძველი კორღალიძეს, თუ მხოლოდ თავის გულისნადებს ამბობდა ხმამაღლა?**

— გამეცინა, როცა ეს წავიკითხე. ვინ არის კორღალიძე ჩვენთვის? როგორ მისცა თავის თავს უფლება, რომ ასეთი რამ თქვა. რითი არის თბილისის „დინამო“ დღეს „ტორპედოზე“ ძლიერი კლუბი? იმით რომ ადრე იყო ძლიერი? თანაც კორღალიძე ჩვენთვის ერთ-ერთი კონკურენტი გუნდის თავკაცია.



დიდი კალათბურთელი მიხეილ ქორქია ახლა ფეხბურთს ერთგულობს

გურამ ციბახაშვილის ფოტო

**— ფეხბურთელების დამატება ახსენეთ. რამდენ ახალ მოთამაშეს მიიწვევთ და კონკრეტულ გვარებს ხომ ვერ დაგვისახელებთ?**

— ხუთ ფეხბურთელს დავადგით თვალი. ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ, რადგან მათზე ბევრი გუნდი ნადირობს. გეტყვით, რომ ისინი ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ.

**— რამდენად რეალურია მათი დაყოლიება?**

— იცით, ძალიან ბევრს უნდა „ტორპედოში“ თამაში. ხედავენ, როგორი სტაბილური გუნდია, რა ურთიერთობებია... ყველას უნდა დაწყნარებული ცხოვრება ჰქონდეს და იმაზე არ იფიქროს, ხელფასს მომცემენ თუ არ მომცემენ, ან პრემიას მივიღებ თუ ვერ მივიღებო.

**— რა გეგმები გაქვთ, როგორ მოემზადებით მეორე ეტაპისთვის?**

— გუნდი და ხელმძღვანელობა 5 იანვარს შეიკრიბება. ამასობაში მთავარი მწვრთნელი წარმოადგენს მომზადების გეგმას. „ტორპედოს“ ექნება ორი შეკრება საზღვარგარეთ. ერთი, ორკვირიანი, უახლოეს მომავალში ჰოლანდიაში ან გერმანიაში, რომელსაც დავით ყიფიანი აირჩევს, მეორე კი თებერვლის დასაწყისში ბულგარეთში.

**— ბულგარეთში?**

— ახლავე აგიხსნით, თუ რატომ დადგა ბულგარეთის ვარიანტი დღის წესრიგში. ალბათ, გაგიგონიათ ებრაელი ძმები ჩორნები. ისინი ადრე რუსეთის მოქალაქეები იყვნენ და ფლობენ „კრასნოიარსკ ნიკელის“ საკონტროლო პაკეტს. მათ იყიდეს ბულგარეთის საკმაოდ ძლიერი კლუბი სოფიის „ლევსკი“. დავით ყიფიანს მათთან კარგი ურთიერთობა აქვს. მათ თავად შემოგვთავაზეს, ერთად მოვემზადოთო. იციან, რომ „ტორპედო“ პირველ ადგილზეა და კარგ გუნდთან ურთიერთობა ყველას ხელს აძლევს. ჩვენც საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ისინი მოაწყობენ ტურნირს, რომელშიც 4-5 ძლიერი კლუბი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის „ტორპედოც“ იქნება.

**— სტადიონის რეკონსტრუქციის საქმე როგორ იქნება?**

— სწორედ დღეს განვაბაჟეთ განათების აპარატურა, რომელიც შვეიცარიიდან ჩამოგვივიდა. ფირმა „სიმენსის“ პროდუქციაა. შვეიცარიიდან ჩამოვა ორი წარმომადგენელი და ქართველებთან ერთად დაამონტაჟებს განათების სისტემას. მეორე ეტაპის პირველი მატჩისთვის ალბათ ყველაფერი მოესწრება და გვინდა, ფედერაციას ვთხოვოთ, თამაშები საღამოს დაგვინიშნოს.

**— ამას დიდ მნიშვნელობა აქვს?**

— რა თქმა უნდა. მეც ასე ვიყავი კომფორტულ გარემოში თამაში მსიამოვნებდა. 10 ათასიან სპორტის სასახლეში თამაში მერჩივნა ლენინის სახელობის დარბაზს. ასევეა ფეხბურთელიც. გაჩირაღდნებულ სტადიონზე მაყურებელიც მეტი მოდის, მეტი აზარტია, მინდორზე თამაში ლამაზი სპექტაკლის ასოციაციას იწვევს. ბალახი ბზინავს. სხვათა შორის, „ტორპედოზე“ მთლიანად განახლდება მოედნის საფარი. ჰოლანდიიდან უკვე მივიღეთ 200 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის ბალახის თესლი.

**— სკამების დამონტაჟება გაგრძელდება?**

— აუცილებლად. უკვე ჩამოვასხით 2000 ყვითელი სკამი. სატრაქტორო ქარხანა დღეში 150-200 ცალს ამზადებს. თუ ელექტროენერგიის მიწოდება არ შეფერხდა, სკამები მთლიანად ჩამოისხმება და დამონტაჟდება. ასე რომ, ეროვნულ ნაკრებსაც შეეძლება „ტორპედოზე“ უპრობლემოდ თამაში.

**— „ტორპედოს“ სპონსორებს როგორი განწყობა აქვთ?**

— ყველანი ძველებურად შემართულნი არიან. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ დიმა რამიშვილს სისტემატური კავშირები აქვს მოსკოვთან. მეორე ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს უშუალო კონტაქტი აქვს „არგომარ ოილთან“. დიმას კომპეტენციაში შედის სატრანსფერო პოლიტიკის მართვა. ტექნიკურ მხარეს, მშენებლობის საკითხებს შედანი კურირებს. ასე შეხმატკბილებულად მივყვებით საქმეს. რა თქმა უნდა, ყველაფრის თავიდათავი „არგომარ ოილია“, მისი ხელმძღვანელობა, ბატონ ზურაბ ხინიკაძის სახით.

**— ჩვენი ფეხბურთელები უცხოეთში წასვლის სურვილს იმით ხსნიან, რომ აქ მეტს ვეღარ მოუმატებენ.**

— მე ასე არ ვფიქრობ. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ბიზნესმენები, რომლებმაც აღიარეს, რომ ფეხბურთში დიდი ფული შეიძლება იშოვო, თუ დახარჯავ და საქმეს პროფესიულად წაუძღვები. დღეს არც ერთ სხვა სახეობაში არ არის ამდენი ტალანტი. თითქმის ყველა გუნდშია 4-5 განსაკუთრებით ნიჭიერი დაჯილდოებული ბიჭი, მაგრამ ძმაბიჭობაც უნდათ, დაბადების დღეებიც, დროს ტარებაც და მერე ფეხბურთი. როცა პირიქით იქნება, მაშინ ჩვენი პირველობის დონეც აიწევს. პრესამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამ ეიფორიას. ფეხბურთელებს თავში აუვარდათ რაღაცეები და ვარსკვლავომანია შეეყარათ. ლამის ვაჭრები გახდნენ და ვაჭრული სული დააყენეს წინა პლანზე.

როცა ფეხბურთელი ხარ, პროფესიონალი უნდა იყო. შენი პროფესიით უნდა ისიამოვნო და იცხოვრო. თავის დროზე ყველაფერი მოვა. არ დავმალავ, რომ ამაში მწვრთნელებიც სცოდავენ. სწორედ მათ ევალებათ მოთამაშის მსოფლმხედველობის [illegible] ბება. ჟურნალისტები რომ ფედერაციას, მსაჯებს, მწვრთნელებს [illegible] ბურთელებს [illegible] ცევიან, ჟურნალისტი ყველაფერს ხედავს. როცა ამჩნევს, რომ თითოეული მათგანი ბოლომდე არ იხარჯება, გული სწყდება და სიმართლეს წერს.

**— მსაჯობა კვლავ დიდ პრობლემად რჩება...**

— სეზონის წინ 10 ათასი ლარი შევიტანეთ ფედერაციაში, 5 ათასი ლარიც ფარმკლუბისთვის. იმ პერიოდისთვის ეს 12 ათასი დოლარი იყო. ეს რომ 16 გუნდზე გადავიანგარიშოთ, საკმაოდ დიდი თანხაა დოლარებში, თუ, რა თქმა უნდა, თავის დროზე იმ ფულის კონვერტირება მოხდებოდა. თვეში მსაჯს საშუალოდ 4 თამაში უწევს და კარგ თანხასაც იღებს, თუ არ ჰყოფნის, ეს საკითხი უნდა დაისვას სათანადო ორგანოს წინაშე.

ჩვენ, კლუბები, საკმაოდ დიდ შტატს ვინახავთ. „ტორპედო“ მთლიანად 155 კაცს არჩენს. ლაპარაკია უზარმაზარ თანხაზე — მათი კვება, ჩაცმა, დასურვა, მოგზაურობა და სხვა. ჰოდა, გამოვა მსაჯი მოედანზე და მთელ ნაშრომს წყალში ჩაგიყრის.

„ტორპედომ“ სეზონში 33 გოლი გაიტანა. დღეს ჩვენს გუნდს ყველაზე აქტიური თავდამსხმელები ჰყავს. ნუთუ ისეთი კორექტული მცველები თამაშობენ საქართველოში, რომ ერთი პენალტის ღირსი არ გავხდით? თანამსაჯები მატჩში საშუალოდ 15-ჯერ სწევენ ალამს ზევით. არ მახსოვს, რომელიმეს მთავარი მსაჯისთვის საჯარიმოში წესების დარღვევაზე მიენიშნებინოს.

ახლა „დინამოზეც“ ვთქვათ. პრესაც, ტელევიზიაც აცხადებს და ჩვენც ვხედავთ, რომ „დინამოს“ მატჩებს ტენდენციურად სჯიან. იმას არ ვამბობ, რომ ზევიდან იღებენ მითითებას. ძველი შიში მოსდევთ, ელიტარული გუნდის სინდრომი. მე „დინამოს“ წინააღმდეგი არა ვარ. დიდ პატივს ვცემ მის მესვეურებს, მაგრამ ნუ ეწყინებათ და ეს რეალობაა.

*ამის შემდეგ ბატონმა მიხეილმა „ტორპედოს“ საჩემპიონო მიზნებზე ისაუბრა. თითოეული მეტოქე ანგარიშგასაწევ ძალად მიმაჩნია. მესიამოვნება ბათუმში, ბოლნისში მიმდინარე პროცესებს. ყველა გუნდთან დიდი ბრძოლები მოგვიწევსო, განაცხადა „ლოკომოტივსა“ და მის პრეზიდენტზეც გაამახვილა ყურადღება.*

**— და ქუთაისი...**

— საქმეს პიროვნებები აკეთებენ. ქუთაისი არის ყველაზე ნათელი წერტილი ქართულ საფეხბურთო სამყაროში. ყველანი გვერდით უდგანან „ტორპედოს“. იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილისგან საოცარ მხარდაჭერას ვგრძნობთ. არც ქალაქის ყოფილი თავკაცისგან, ბადრი მელქაძისგან მოგვკლებია ყურადღება. ახალი მერი რამაზ მხეიძეც ფეხბურთზე შეყვარებული კაცია.

გული მწყდება, რომ საქართველოს მეორე ქალაქს თანამედროვე ტიპის სასტუმრო არ აქვს. ღმერთმა ქნას ჩემპიონებიც გავხდით და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც მოგვიწია გასვლა, ეს ძალიან შეგვაფერხებს. სხვაგან რომ ვითამაშოთ, სახელმწიფოს, მთავრობის სირცხვილი იქნება. რომ გავიძახით, აბრეშუმის გზაო, ქუთაისი არ იმყოფება ამ გზაზე? ნუთუ ქუთაისი არ არის ერთი 150-კაციანი სასტუმროს ღირსი? ყველაფერი თბილისში უნდა ხდებოდეს? სახელმწიფოს შეუძლია, გამოყოს სახსრები ამ საქმისთვის.

ფეხბურთი პოლიტიკის რანგში უნდა ავიდეს. ისე, როგორც სხვა ქვეყნებში მოხდა. როცა ერთად იკრიბება 70 ათასი კაცი, ქვეყნის პრეზიდენტი, მინისტრები, ამ დროს კი ჩვენს ნაკრებს, ვისაც გაუხარდება, ყველა უგებს — ეს ტრაგედიაა.

დავუშვათ, პრეზიდენტს არ სცალია. ამისთვის ხომ არსებობს ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის დეპარტამენტი. სფფ-მ სანქციები უნდა დააწესოს იმ კლუბებზე, რომლებიც ხელფასებს და პრემიებს ვერ არიგებენ. სფფ-ს პრეზიდენტი არ უნდა ეხვეწებოდეს გუნდის გაფიცულ ფეხბურთელებს, ითამაშეთო. ამის პატიება შეუძლებელია. ეს ვნებს ქართული ფეხბურთის პრესტიჟს.

სახელმწიფო სტრუქტურები ეკონომიკურად უნდა დაეხმარონ ფეხბურთს. თუ გვსურს, საერთოდ, გვქონდეს.

**ხვიჩა სანიკიძე**

ლოკომოტივი «ა» ზონა
მეხუთე ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი
I ეტაპის მიმოხილვა

# ლოკომოტივი — სხვა გზა, სხვა მოტივი

ვერავინ იფიქრებდა სეზონის წინ, რომ თბილისის „ლოკომოტივი" თავისი ზონის საუკეთესო ოთხეულს მიღმა დარჩებოდა. მართალია, „ლოკომოტივი" არასახარბიელოდ გამოვიდა ევროსარბიელზე და ორი მატჩის ჯამში 0:9 დათმო ბერძნულ პაოკთან, მაგრამ წინა სეზონის მოვლენებიდან გამომდინარე, გაცილებით მართებული იქნებოდა, მიგვეჩნია, რომ რკინიგზელების პაოკ-თან შერცხვენა მხოლოდ მორიგი ჭიტლაყი იყო ქართული ფეხბურთისა და ეს მარცხი გავლენას ვერ იქონიებდა „ლოკომოტივის" შინაურ ჩემპიონატში გამოსვლაზე.

რკინიგზელთა სამწუხაროდ, მოვლენები სრულიად საპირისპიროდ განვითარდა — პაოკ-თან თბილისური მატჩის შემდეგვე გუნდიდან გაუშვეს მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა და მისი მემკვიდრე მისივე წინამორბედი თემურ მახარაძე გახდა.

ძნელია, იმსჯელო იმ ფავორიტის სიძლიერეზე, რომელიც ევროსარბიელზეც და შინაურ ჩემპიონატშიც ჩააგდებს სეზონს, მაგრამ იმის სათქმელად, რომ „ლოკომოტივი" საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრილებთან შედარებით სუსტი იყოო, ენა ძნელად მოგვიბრუნდება — „ლოკომოტივზე" უკეთესი სამი, ჰა-ჰა ოთხი გუნდი მოხვდა ზემო ეშელონებში. ამაში გარკვეული წვლილი „სიკვდილის ზონად" მონათლულმა „ა" ზონამაც შეიტანა. „ა" ზონა გუნდური შემადგენლობით გაცილებით ძლიერი გახლდათ „ბ"-ზე.

ზემოთ მწვრთნელთა ცვლილება ვახსენეთ და, ბუნებრივია, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ახალი მწვრთნელის მოსვლით ბევრი რამ შეიცვლებოდა გუნდში. თემურ მახარაძემ თავისი სიახლე რომ მოიტანა, ამაზე კამათი უნაყოფოა, მაგრამ მწვრთნელს არც იმდენი დრო რჩებოდა მეთერთმეტე ეროვნულის პირველი სტადიის დასასრულამდე, რომ რაიმეს ძირეული გარდაქმნა მოესწრო.

მოვიდა მახარაძე და გუნდმა მისი ხელმძღვანელობით პირველივე თამაში წააგო „დინამოსთან". წააგო 0:4 და, რა თქმა უნდა, ბევრიც გააკვირვა. მახარაძის „ლოკომოტივი" ხომ ის გუნდი იყო, რომელიც ფაქტობრივად არ უშვებდა ბურთს საკუთარ კარში და ამაში მთელი წინა სეზონი არწმუნებდა ყველას — გულშემატკივრიდან დაწყებული, გუნდის შეფებით დამთავრებული და უცებ, ერთბაშად ოთხი გოლი...

ეს იმას ნიშნავდა, რომ „ლოკომოტივის" პრობლემები არც სურდოს ჰგავდა, არც გრიპს, გუნდის მკურნალობას გაცილებით ხანრძლივი პროცესი უნდა მოეცვა. და ასეც უნდა ყოფილიყო — ის „ლოკომოტივი", რომელიც თემურ მახარაძემ ხურცილავას გადააბარა სულ სხვა გუნდი იყო და ძალიან ბევრით განსხვავდებოდა იმ გუნდისგან, რომელიც თავისი მემკვიდრეწინამორბედისგან ჩაიბარა უკანვე — მურთაზ ხურცილავამ გუნდში თავისი მცირეხნიანი მუშაობის მანძილზე არაერთი ახალი ფეხბურთელი მიიწვია და ამ „ახალი სისხლის" ძველ „ლოკომოტივთან" შეგუება, ბუნებრივია, დროს მოითხოვდა და ეს დრო ნახევარ სეზონზე მეტი იყო. ამ ვერსიის სისწორე სეზონის მიმდინარეობამ დაამტკიცა.

სატრანსფერო პოლიტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა და აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჰამლეტ წივწივაძის ფაქტორი — როცა ამ ფეხბურთელს ფოთის „კოლხეთიდან" იბირებდნენ, რკინიგზელები დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მასზე. წივწივაძე რომ ფოთელთა უპირველესი მეგოლე გახლდათ და თავისი თავდასხმით უკმაყოფილო ლოკომოტიველი შეფები წინა ხაზში პრობლემის მოგვარებას სწორედ წივწივაძის საშუალებით აპირებდნენ. ჰამლეტმა მოლოდინი ვერ გაამართლა, ჯერ ძირითადში დაკარგა ადგილი, მერე კი მუხლის ოპერაციაც დასჭირდა და ამდენად გუნდს ვერაფრით მიეხმარა, ერთადერთხელ ითამაშა.

უამრავი დახარჯული ფული (ქართული საზომებით, რა თქმა უნდა) ვერც სხვა ფეხბურთელებმა გაამართლეს — ყველას ისევ ქებაძე-რუსიას ტანდემმა აჯობა — მათ გუნდის მიერ გატანილი გოლების ორი მესამედი (ოცდაერთიდან თოთხმეტი) გაიტანეს და ესეც საქმე იყო. რაც შეეხება გუნდის შედეგიანობას მთლიანად, ვერც ამით დაიკვეხნიდნენ რკინიგზელები, საშუალოდ ბურთნახევარი გაჰქონდათ.

სულ „ლოკომოტივის" მაისურა 25 ფეხბურთელმა მოირგო — აქედან თოთხმეტივე მატჩი ოთხმა ფეხბურთელმა — კაციაშვილმა, ქებაძემ, რუსიამ და ქობულაძემ ითამაშა, კიდევ დაახლოებით ათმა ფეხბურთელმა ნახევარ და მეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, სხვები კი ძირითადად სტატისტის როლით კმაყოფილდებოდნენ.

ხურცილავას სატრანსფერო პოლიტიკას ერთი მაგისტრალური ხაზი გასდევდა — მან „ლოკომოტივში" „დინამოში" მუშაობისას შესწავლილი ფეხბურთელები და წარსულში ცნობილი რამდენიმე ვეტერანი მიიწვია. ჩომახიძე, ქებაძე, ჩიხრაძე, მიქაძე, გოგიჩაიშვილი — სწორედ ასეთ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნებიან და უნდა აღინიშნოს, ძირითადად სწორედ მათზე გადაიარა სეზონის სიმძიმემ.

თავისი წილი ფეხბურთელები მახარაძემაც მიიწვია სეზონის ბოლოს — იაგორაშვილსა და ნემსაძეს დიდი წარდგენა არ სჭირდება ჩვენში.





სარკინიგზო როქი — ხურცილავა მახარაძემ შეცვალა

ახლა, როცა გუნდის სატრანსფერო პოლიტიკაზე გარკვეული წარმოდგენა შევუქმენით მკითხველს, ცოტა „ლოკომოტივის" სათამაშო რგოლებზეც ვისაუბროთ, თუმც რკინიგზელთა წინა ხაზზე, რომელსაც ქებაძე და რუსია უდგამდნენ სულს, უკვე ვილაპარაკეთ კიდეც.

წინა ხაზში ქებაძესთან და რუსიასთან ერთად კახი გოგიჩაიშვილმაც ითამაშა ერთხანს. ვეტერანი ექვსი თამაშითა და ერთი გოლით შეეწია რკინიგზელებს.

სხვა გამოკვეთილი ფორვარდები „ლოკომოტივს" წლეულს არ ჰყოლია.

ნახევარდაცვა, ალბათ, ყველაზე უკეთ დაკომპლექტებული და მობილური რგოლი გახლდათ რკინიგზელთა შორის. ჩომახიძე, ამაშუკელი, კაციაშვილი, ნემსაძე, მელქაძე, ბაქრაძე ის მოთამაშეები არიან, რომელზეც არც ერთი ქართული გუნდი არ იტყოდა უარს და რომ არა გარკვეული და მოსალოდნელი კანონზომიერებანი, მათი თავგამოდება აუცილებლად მოახვედრებდა „ლოკომოტივს" საუკეთესოთა შორის.

ახლა კი დაცვაზეც. წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ შარშანდელი „ლოკომოტივი" ფაქტობრივად არ უშვებდა ბურთს. წლეულს რკინიგზელებმა ეს ველარ მოახერხეს — მეკარეებმა ასლანაძემ (ათი მატჩი) და ჯანელიძემ (ხუთი მატჩი) შესაბამისად ათი და ცხრა გოლი გაუშვეს და ამაში მათზე მეტად მცველთა დამსახურება უფროა. გაშვებული ბურთების ლომის წილი „დინამოზე" (ექვსი), „ბათუმზე" და „ვიტ ჯორჯიაზე" (ოთხ-ოთხი) მოდის, ორ-ორი ბურთი რკინიგზელმა მეკარეებმა „არსენალისა" და „სიონისგან", ერთიც „თბილისიდან" მიიღეს და თოთხმეტ შეხვედრაში გაშვებული არცთუ სახარბიელო ცხრამეტი ბურთიც შედგა.

მეკარეები უკვე ვახსენეთ. როგორც ნათამაშევი მატჩები მიგვახვედრებდათ, ძირითადი მეკარე ასლანაძე იყო, მას ხშირად ჯანელიძე, იშვიათად კი ავარდავა ცვლიდნენ (აღსანიშნავია, რომ სამივე რკინიგზელ მეკარეს დავითი ჰქვია). დავითების თავგამოდებამ თავდამსხმელ გოლიათებთან მცირე ნაყოფი გამოიღო და გუნდის მესვეურებმა მეკარეთა მიმართ უკმაყოფილება იმით გამოხატეს, რომ დავით ჯანელიძე გუნდიდან გაუშვეს.

როგორც ჩამოთვლილი გვარებიდან მიხვდებით, მოთამაშეთა სოლიდურობით ბევრს სჯობს რკინიგზის დეპარტამენტის საშეფო გუნდი. და მაინც, „ლოკომოტივი" საუკეთესო რვა გუნდს მიღმა დარჩა. და იცით რა იყო ამის მთავარი მიზეზი? არა, არა — არც „დინამოსთან" სკანდალური მატჩი, არც მავანი არბიტრის მიერ დანიშნული თუ დაუნიშნავი პენალტი, საქმე სხვა რამეში გახლდათ: „ლოკომოტივმა" პირწმინდად დათმო შეხვედრები უშუალო კონკურენტებთან — ორჯერვე წააგო „სიონთან" (0:1, 0:1), ოთხ-ოთხი ქულა გაატანა „ბათუმს" (0:0, 1:4), და „ვიტ ჯორჯიას" (1:3, 1:1) და ამდენი დაკარგული ქულის შემდეგ (ვიმეორებთ, უშუალო კონკურენტებთან) ცოტა უცნაური ხომ არ არის კონკურენტებისთვის გატანილი 14 (თვრამეტი შესაძლებლობიდან!) ქულის მერე დანიშნულ თუ დაუნიშნავ პენალტზე (ერთადერთზე) ლაპარაკი?!

ამაშია საქმე და ამას, ეტყობა, რკინიგზის დეპარტამენტისა და „ლოკომოტივის" შეფებიც მიხვდნენ. მიხვდნენ იმას, რომ მოწვეული და ვეტერანი ფეხბურთელებით ბევრს ვერაფერს შეძლებენ. ამასობაში კი გვარიანი თანხა იხარჯება. და აი, „ლოკომოტივის" შეფებმა ახალი გამოსავალი მოიძებნეს — გუნდში რევაზ ძოძუაშვილი იმუშავებს.

რევაზ ძოძუაშვილი, რომელსაც გუნდის კეთების მშვენიერი და სელექციის დიდი უნარი გააჩნია. არავინ იცის, რა და როგორ იქნება, მაგრამ...

ამას წინათ ძოძუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში ნაკრებზე, „ლოკომოტივზე" და საბაზო გუნდზე ისაუბრა. ეს კი სულ სხვა გზაა, სრულიად სხვა მოტივი. მიზანი, რომელიც სეზონიდან სეზონამდე გუნდის არსებობას სცილდება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ვერც ლევან ქებაძემ (№19), ვერც მისმა „ლოკომოტივმა" ვერაფერი მოუხერხეს ბოლნისის „სიონს"

### პირველი ეტაპის შედეგები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | 2:2 | შ | მიქაძე, რუსია |
| 2 | სამგურალი | 2:0 | შ | გოგიჩაიშვილი, რუსია |
| 3 | სიონი | 0:1 | ს | |
| 4 | ბათუმი | 0:0 | შ | |
| 5 | დინამო | 0:4 | ს | |
| 6 | თბილისი | 2:1 | შ | ამაშუკელი, ქებაძე |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 1:3 | ს | ჩომახიძე |
| 8 | არსენალი | 4:0 | ს | რუსია 2, ქებაძე, ბაქრაძე |
| 9 | სამგურალი | 3:0 | ს | ქებაძე 2, ჩიხრაძე |
| 10 | სიონი | 0:1 | შ | |
| 11 | ბათუმი | 1:4 | ს | ქებაძე |
| 12 | დინამო | 1:2 | შ | ქებაძე |
| 13 | თბილისი | 4:0 | ს | ქებაძე 2, რუსია, ჩომახიძე |
| 14 | ვიტ ჯორჯია | 1:1 | შ | ქებაძე |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| გენადი კაციაშვილი | 14 | 0 | 1 | 0 |
| მამუკა რუსია | 14 | 5 | 2 | 1 |
| ლევან ქებაძე | 14 | 9 | 2 | 0 |
| მიხეილ ქობულაძე | 14 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | 13 | 1 | 1 | 0 |
| დავით ბაქრაძე | 12 | 1 | 0 | 0 |
| შოთა ჩომახიძე | 12 | 2 | 0 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | 11 | 0 | 2 | 0 |
| ლევან მიქაძე | 11 | 1 | 4 | 1 |
| დავით ასლანაძე | 10 | -10 | 1 | 1 |
| ლევან შავგულიძე | 9 | 0 | 0 | 0 |
| ბესიკ ამაშუკელი | 7 | 1 | 1 | 0 |
| პაატა ბარნოვი | 7 | 0 | 0 | 0 |
| კოტე მელქაძე | 7 | 0 | 0 | 0 |
| კახი გოგიჩაიშვილი | 6 | 1 | 1 | 0 |
| ვახტანგ იაგორაშვილი | 6 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჯანელიძე | 5 | -9 | 0 | 0 |
| იოსებ ბარამიძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ გველესიანი | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ნემსაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| ბესიკ ბერაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| ისიდორე გილაური | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ივარდავა | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან ჩაჩუა | 1 | 0 | 0 | 0 |
| ჰამლეტ წივწივაძე | 1 | 0 | 0 | 0 |




თ - თამაში; გ - გოლი;
ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 14 | 11 | 1 | 2 | 38:12 | 26 | 34 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 8 | 15 |
| 2 | ბათუმი | 14 | 6 | 7 | 1 | 15:4 | 11 | 25 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:1 | 11 | 17 | 7 | 1 | 5 | 1 | 3:3 | 0 | 8 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 14 | 6 | 5 | 3 | 20:12 | 8 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 9 |
| 4 | სიონი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:19 | -6 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 12 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:14 | -8 | 9 |
| 5 | ლოკომოტივი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:19 | 2 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 3 | 0 | 4 | 13:12 | 1 | 9 |
| 6 | თბილისი | 14 | 3 | 4 | 7 | 21:31 | -10 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 14:19 | -5 | 10 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:12 | -5 | 3 |
| 7 | სამგურალი | 14 | 3 | 2 | 9 | 9:27 | -18 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:21 | -16 | 1 |
| 8 | არსენალი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | -13 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |

### მეორე ეტაპი

IX-XVI ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |
| 10 | გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 11 | თსუ | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 12 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| 13 | თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| 14 | სამგურალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 6 |
| 15 | ხობი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| 16 | არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |

## გერმანია

XVI ტური

**ბაიერნი 2:1 არმინია**

0:1 ლაბადია (5), 1:1, 2:1 სალიჰამიჯიჩი (27, 58პ)

ბაიერნი: კანი, ლინკე (ბაბელი 46), მათეუსი, კუფური, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ეფენბერგი (ფინკი 72), ტარნატი, ვისინგერი (სანტა კრუზი 46), იანკერი, პაულო სერჟიო

არმინია: კოხი, კლიცპერა, შტრატოსი, შტრაალი, პეეტერსი, მაისნერი (ბაგერი 32), ვატერინკი (ვიშნიარეკი 80), ვაისენბერგერი, ბომე (რიდლევიჩი 74), გიოქთანი, ლაბადია

გაფრთხილება: ბომე, კლიცპერა, ლაბადია, ვატერინკი

მსაჯი: მაიერი

**ჰერტა 1:1 მიუნხენი**

0:1 მაქსი (52), 1:1 კონსტანტინიდისი (71)

ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, რეკდალი, ვან ბურიკი, კოვაჩი (როი 52), კონსტანტინიდისი, შმიდტი, მიხალკე (სანე 52), ვოში, პრეეცი, დაეი

მიუნხენი: ჰოფმანი, კურცი, ვანენბურგი, გრაილიხი, ბორიმიროვი (პასლაკი 78), რიდლი, ჰესლერი, ზელიჩი, ტაისი, მაქსი, შროტი

გაფრთხილება: ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, პასლაკი, რიდლი, ტაისი

მსაჯი: ფანდელი

**შტუტგარტი 3:1 ჰანზა**

1:0, 2:0 განეა (54, 62), 2:1 არვიდსონი (70), 3:1 პინტო (73)

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ბორდონი (ენდრესი 88), კარნელი, პინტო (კისი 82), სოლდო, ბალაკოვი (ლისტეში 46), გერბერი, დანდი, განეა

ჰანზა: ბროიტიგამი, რ. შნაიდერი, ვაილანდტი, ელერსი (ბენკენი 39), იასერი (აგალი 58), ვიბრანი, ლანცი, ემარა, ბრანდი, ბაუმგარტი (აჰინფუფი 82), არვიდსონი

გაფრთხილება: განეა, ვოლფარტი, იასერი

მსაჯი: კესლერი

**დუისბურგი 0:1 ვერდერი**

0:1 დაბროვსკი (14)

დუისბურგი: სტაუჩე, მ. შნაიდერი, ვოლერტი, კოვაჩევიჩი, ჰაიტო, ტოფტინგი, ვოსი (ჰოერსენი 78), ცაიერი, ოსტჰოფი (ბუგერა 67), ბაიერლე, რაისი (შპისი 67)

ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ტრარესი, ფ. ბაუმანი, ბოდე, მაქსიმოვი, აილტსი, დაბროვსკი, ა. ჰერცოგი (ვიდნერი 67), პიზარო, აილტონი (ფლოკი 88)

გაფრთხილება: ჰაიტო, დაბროვსკი, პიზარო

მსაჯი: ვაგნერი

**ლაუტერნი 0:2 ფრაიბურგი**

0:1 რამდანე (57), 0:2 კორელი (86)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი (რიშე 46), კოხი, შონბერგი, როოსი, ბუკი (ბასლერი 46), რატინიო, შტრასერი (პეტერსონი 74), სფორცა, ჯორკაეფი, ხრისტოვი

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, ჰერმელი, ვილი, ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ცაიერი, ვაისჰაუპტი, ბაია, რამდანე (კორელი 65), სელიმი (ბენ სლიმანი 89)

გაფრთხილება: რატინიო, ბაია

გაძევება: ბაია (80)

მსაჯი: ალბრეხტი

**შალკე 0:0 დორტმუნდი**

შალკე: რეკი, ვალდოხი, ჰაპე, ნემეცი, კმეტჩი, ალპუგანი (ანდერბრიუგე 76), კამპუისი, ლატალი (გუსენსი 60), ვილმოტსი, ასამოა, სანდი

დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, კოლერი, სტევიჩი, ნერლინგერი, რიკენი (ნიეგუსი 86), ადო, მიოლერი (ვ. ბუტი 58), ჰერლიხი (ბობიჩი 68), იკპება

გაფრთხილება: ნემეცი, ვილმოტსი, ადო, რიკენი, სტევიჩი

მსაჯი: მერკი

**უნტერჰახინგი 1:1 ჰამბურგი**

0:1 მაჰდავიკია (25), 1:1 ზაიტცი (67)

უნტერჰახინგი: ვიტმანი, შტრემელი, ბუგერი, გრასოვი, შტრაუბე, ჰაბერი, მატიას ციმერმანი, შვარცი (ბრაიტენრაიტერი 57), ზაიტცი, ობერლაიტნერი (ცაიერი 78), რაკლი (ზაიფერტი 87)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, გრავესენი, ნ. კოვაჩი, გრამოცისი, ფ. ერნსტი, ჰოლერბახი, კარდოზო, მაჰდავიკია, პრეგერი (დოლი 89), იებოა

გაფრთხილება: შტრაუბე

მსაჯი: შტაინბორნი

**აინტრახტი 1:2 ლევერკუზენი**

1:0 ფიორტოფტი (20), 1:1, 1:2 ბაინლიხი (46, 87)

აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, კუჩერა (უ. შნაიდერი 46), კრახტი, რასიევსკი, შური, გუიე მიენი, გებჰარდტი, სობოჩიკი, ფიორტოფტი (ფალკი 76), ჩენ იანგი (სალუ 66)

ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ემერსონი, ბ. შნაიდერი (ნოივილი 55), ბაინლიხი, ბალაკი (მამიჩი 71), ზე რობერტო, კირსტენი, პონტე (ბრდარიჩი 81)

გაფრთხილება: ფიორტოფტი, კრახტი, ბალაკი, ემერსონი, კირსტენი, პონტე

გაძევება: მამიჩი (82)

მსაჯი: ფლაიშერი

**ვოლფსბურგი 1:2 ულმი**

0:1, 0:2 ვან დერ ჰაარი (38, 48), 1:2 ბილიშკოვი (62)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ბალვანცი, კრიგერი, დებრიცი (აკონორი 46), დამაიერი, მალტრიცი (ვიუკი 53), ნოვაკი, ვაისერი, ფელდჰოფი, იუსკოვიაკი (ბანზა 46)

ულმი: ლაუქსი, ბოდოგი (როსლერი 53), მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო, უნსოლდი, მაიერი, გორა, ლეანდრო, ვან დერ ჰაარი (ზდრილიჩი 59)

გაფრთხილება: ფელდჰოფი

მსაჯი: ზიპელი



ბაიერნი — არმინია 2:1. მასპინძელი ტორსტენ ფინკი და სტუმარი ტის ვატერინკი (№13) ბურთისთვის ჰაერში იბრძვიან

REUTERS მიუნხენიდან

# საოცარი გუნდი

„ფრაიბურგმა" ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურში თავის ქომაგებს დიდი სიურპრიზი მოუწყო — სტუმრად „კაიზერსლაუტერნი" 2:0 დაამარცხა და ტურის მთავარი სენსაცია გამოაცხო. თანაც ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა მეორე გოლი რიცხობრივ უმცირესობაში გაიტანეს.

სტუმართა ძირითად შემადგენლობაში ქართველთაგან ისევ მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა. „კიკერმა" ლევანს, წინა ტურის მსგავსად, ახლაც 3,5 დაუწერა. მატჩი ოპტიმალური შემადგენლობით არც მასპინძლებს დაუწყიათ. მათმა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა საკუთარი მოსაზრებების გამო, ძირითადში მარიო ბასლერი და მარტინ ვაგნერი არ დააყენა.

„ფრაიბურგმა", წინა ტურის არ იყოს, ეს შეხვედრაც კარგად ჩაატარა და დამსახურებულად გაიმარჯვა. სტუმრებმა, როგორც ჩვეიათ, შემტევი ფეხბურთი ითამაშეს და მასპინძელთა კართან რამდენიმე ძალიან რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, რომელთაგანაც ორი გამოიყენეს. ანგარიში 57-ე წუთზე გაიხსნა — ძირითადში პირველად მოთამაშე რამდანემ სელიმის პასი გოლად აქცია. დაწინაურებულ „ფრაიბურგს" ამის შემდეგ ორჯერ გაუმართლა, რიშესა და რატინიოს დარტყმულები ძელმა მოიგერია. მე-80 წუთზე მსაჯმა სტუმრებს ტუნისელი ზუბეიარ ბაია გაუძევა. მასპინძლებს იმედი გაუჩნდათ და შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს. იგი კორელმა მატჩის მიწურულს გაიტანა.

„ძალიან მნიშვნელოვანი და ლამაზი გამარჯვება მოვიპოვეთ. ფრიად ნასიამოვნები ვარ" — გაიხარა ფინკემ, რომელსაც თავისმა გუნდმა მოგების გემო ლამის დაავიწყა („ფრაიბურგმა" ხომ ბოლო ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მიითვალა).

„მეფე ოტოს" კი დანა პირს არ უხსნიდა. ან კი რა გაუხსნიდა, როცა „კაიზერსლაუტერნმა" წინა ხუთშაბათიდან მოყოლებული სამი მატჩი გამართა და ყველა პირწმინდად წააგო. აბეზარმა ჟურნალისტებმა რეჰაგელს გუშინწინდელი თამაშის შემდეგ ორიოდე სიტყვა მაინც დააცდევინეს: „გაკვირვებული ვარ, „ფრაიბურგმა" არაჩვეულებრივი ფეხბურთი ითამაშა, ეს საოცარი გუნდია" — ასეთი იყო „მეფე ოტოს" პასუხი.

ამასობაში მიუნხენის „ბაიერნმა" მორიგი მატჩი მოიგო. ბავარიელებმა ჩემპიონატის აუტსაიდერს, ბილეფილდის „არმინიას" უმასპინძლეს. მათ იოლ გასეირნებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. „ბაიერნმა" დიდი შრომის ფასად გაიმარჯვა. თავიდან კი სულაც სტუმრები დაწინაურდნენ. მე-5 წუთზე ბურთი ბუნდესლიგაში ჭიპმოჭრილმა ბრუნო ლაბადიამ შეაგდო, რომელსაც აქამდე 1123 წუთი გოლი ვერ გაეტანა. მიუნხენელებმა წონასწორობა პირველივე ტაიმში აღადგინეს. ეს ჰასან სალიჰამიჯიჩმა მოახერხა, რომელმაც ამ მატჩში გადამწყვეტი სიტყვა თქვა. სხვა რეალური შანსი სუსტად მოთამაშე მასპინძლებს პირველ ნახევარში თითქმის არ ჰქონიათ.

შეხვედრას წერტილი 58-ე წუთზე დაესვა. საჯარიმოში შეჭრილი პაულო სერჟიო კოხმა და ბაგერიმ წააქციეს და პენალტითაც დაისაჯნენ. სალიჰამიჯიჩმა დუბლის შესრულების შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

„ძალიან რთული თამაში მოვიგეთ. გაგვიმართლა კიდეც. სიმართლე გითხრათ, მომეჩვენა, რომ „არმინიას" კარში თერთმეტმეტრიანი არ უნდა დანიშნულიყო". — ალალად აღიარა ნამატჩევს ოტმარ ჰიცფელდმა, „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა.

„ბაიერნს" კუდში მისდევს „ლევერკუზენი". საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბუნდესლიგის ჩემპიონატის ტიტულისთვის ამ სეზონშიც ეს ორი კლუბი იბრძოლებს: ოთხშაბათს „ლევერკუზენი" ფრანკფურტში ჩავიდა და [illegible] ნაყოფიერი სტუმრობაც გამოუვიდა. [illegible] გამარჯვებაში მთავარი როლი [illegible] ნახევარმცველმა [illegible] ბაინლიხმა შეასრულა, რომელმაც წინა ტურის მსგავსად ახლაც ორი გოლი გაიტანა.

შეხვედრის პირველი ტაიმი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. იგი „აინტრახტის" უპირატესობით წარიმართა. ტერიტორიული უპირატესობა ტაბლოზეც აისახა. მე-20 წუთზე მასპინძელთა კომბინაცია ფიორტოფტმა დააგვირგვინა. შესვენებისთვის განკუთვნილი 15 წუთი ლევერკუზენელთა მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა კარგად გამოიყენა. მან ფეხბურთელები ისე დამოძღვრა, მინდორზე გავიდნენ თუ არა, წონასწორობა აღადგინეს. სტუმრებმა მეორე ნახევარში თამაშიც გამოასწორეს. ამის შედეგი კი 87-ე წუთზე მოიმკეს — ბაინლიხის ძლიერად დარტყმული მასპინძელთა მეკარე ნიკოლოვმა ვერ მოიგერია 1:2.

ლიდერთა სხვა წარმომადგენლებიდან მხოლოდ ბრემენის „ვერდერმა" მოიგო. ბრემენელებმა, რომლებიც წლეულს კარგ ფორმაში არიან, „დუისბურგი" დაამარცხეს. გადამწყვეტი გოლი „ვერდერმა" მატჩის დებიუტშივე გაიტანა, მერე კი ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა და დაცვაში ჩამდგარმა მიზანსაც მიაღწია.

„ჰამბურგმა" და „დორტმუნდმა" თავიანთი შეხვედრები ფრედ დაასრულეს. ორივემ სტუმრად ითამაშა. „ჰამბურგი" „უნტერჰახინგს" მაჰდავიკიას მიერ 25-ე წუთზე გატანილი გოლით 67-ე წუთამდე უგებდა, მერე ზაიტცმა ანგარიში გაათანაბრა და სტუმრებიც ქულას დასჯერდნენ.

„დორტმუნდი" კი გელზენკირხენში „შალკეს" ეწვია. 90 წუთი ისე გაილია, მეტოქეებმა ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს, არადა, ამის შანსი ორივეს არაერთხელ ჰქონდა.

ბერლინელი კოსტას კონსტანტინიდისის გოლმა სტუმარ „მიუნხენ 1860"-ს ისტორიულ გამარჯვებაში ხელი შეუშალა. მიუნხენელებმა „ჰერტა" ბერლინში ბოლოს 31 წლის წინ დაამარცხეს და ახლა ნავსის გატეხვა შეეძლოთ, მაგრამ მარტინ მაქსის გოლი მასპინძელთა ბერძენმა ლეგიონერმა 71-ე წუთზე გაქვითა და „მიუნხენი" ქულის ამარა დატოვა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 31:13 | 18 | 33 | 8 | 5 | 2 | 1 | 20:7 | 13 | 17 | 8 | 5 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 16 |
| 2 | ლევერკუზენი | 16 | 8 | 7 | 1 | 27:17 | 10 | 31 | 8 | 5 | 3 | 0 | 19:10 | 9 | 18 | 8 | 3 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 13 |
| 3 | ჰამბურგი | 16 | 7 | 7 | 2 | 33:18 | 15 | 28 | 7 | 5 | 2 | 0 | 19:4 | 15 | 17 | 9 | 2 | 5 | 2 | 14:14 | 0 | 11 |
| 4 | ვერდერი | 16 | 7 | 5 | 4 | 34:22 | 12 | 26 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:11 | 6 | 14 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:11 | 6 | 12 |
| 5 | მიუნხენი | 16 | 7 | 5 | 4 | 26:20 | 6 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:8 | 9 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 9 |
| 6 | დორტმუნდი | 16 | 6 | 7 | 3 | 20:13 | 7 | 25 | 8 | 3 | 4 | 1 | 12:9 | 3 | 13 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:4 | 4 | 12 |
| 7 | შტუტგარტი | 16 | 7 | 3 | 6 | 19:18 | 1 | 24 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 0 | 10 | 8 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 14 |
| 8 | ლაუტერნი | 16 | 7 | 2 | 7 | 20:28 | -8 | 23 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:17 | -8 | 10 |
| 9 | ჰერტა | 16 | 5 | 7 | 4 | 22:24 | -2 | 22 | 8 | 3 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 13 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:17 | -8 | 9 |
| 10 | შალკე | 16 | 4 | 9 | 3 | 21:19 | 2 | 21 | 8 | 1 | 6 | 1 | 8:9 | -1 | 9 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 |
| 11 | უნტერჰახინგი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:18 | -1 | 20 | 8 | 5 | 3 | 0 | 11:3 | 8 | 18 | 8 | 0 | 2 | 6 | 6:15 | -9 | 2 |
| 12 | ვოლფსბურგი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:29 | -8 | 20 | 9 | 5 | 0 | 4 | 14:16 | -2 | 15 | 7 | 0 | 5 | 2 | 7:13 | -6 | 5 |
| 13 | ფრაიბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 23:22 | 1 | 19 | 8 | 4 | 1 | 3 | 15:7 | 8 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | -7 | 6 |
| 14 | ჰანზა | 16 | 4 | 5 | 7 | 22:35 | -13 | 17 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:12 | 3 | 15 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:23 | -16 | 2 |
| 15 | ულმი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:25 | -9 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 2 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | -11 | 5 |
| 16 | დუისბურგი | 16 | 2 | 7 | 7 | 17:24 | -7 | 13 | 8 | 1 | 5 | 2 | 9:8 | 1 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 5 |
| 17 | აინტრახტი | 16 | 3 | 2 | 11 | 17:24 | -7 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:14 | -8 | 4 |
| 18 | არმინია | 16 | 2 | 5 | 9 | 12:29 | -17 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:19 | -14 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბოდე (ვერდერი) | 8 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 8 |
| სანდი (შალკე 04) | 8 |

XVII ტური

17 დეკემბერი

ვერდერი - ბაიერნი

არმინია - შტუტგარტი

18 დეკემბერი

ულმი - აინტრახტი

ჰამბურგი - დუისბურგი

ლევერკუზენი - უნტერჰახინგი

მიუნხენი - ლაუტერნი

ფრაიბურგი - ვოლფსბურგი

19 დეკემბერი

ჰანზა - შალკე

დორტმუნდი - ჰერტა

## მეორე ბუნდესლიგა

XVI ტური

**ჰანოვერი 2:1 კიკერსი**

1:0 შტენდელი (3), 1:1 მარიჩი (27), 2:1 მილოვანოვიჩი (34)

**ქემნიცი 3:3 ბოხუმი**

0:1 პეშელი (9), 0:2 ა. ვებერი (41), 1:2 დიტგენი (57), 2:2 შკელა (69), 2:3 ა. ვებერი (71), 3:3 დიტგენი (72)

**ნიურნბერგი 2:0 ბერლინი**

1:0 ლეიტლი (4), 2:0 დრილერი (65)

**ზანქტ პაული 1:2 კიოლნი**

1:0 ჰანკე (39), 1:1 კურტი (67), 1:2 დონკოვი (82)

**ალემანია 0:0 ობერჰაუზენი**

**კარლსრუე 0:1 ფიურტი**

0:1 ფელგენჰაუერი (40)

**ფორტუნა 1:5 ვალდჰოფი**

0:1 კლაუში (16), 0:2 პროცელი (29), 0:3 ლიხტი (62), 0:4 ვინცე (73), 1:4 გრლიჩი (78პ), 1:5 რემი (90)

**კოტბუსი 5:0 ოფენბახი**

1:0 რატი (7), 2:0, 3:0 ფრანკლინი (17, 57), 4:0 რატი (72), 5:0 მირიუტა (83)

**მაინცი 0:0 გლადბახი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 16 | 11 | 4 | 1 | 35:11 | 37 |
| კოტბუსი | 16 | 10 | 1 | 5 | 36:17 | 31 |
| ნიურნბერგი | 16 | 8 | 3 | 5 | 27:27 | 27 |
| ბერლინი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:19 | 25 |
| ბოხუმი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:25 | 24 |
| ქემნიცი | 16 | 6 | 5 | 5 | 27:22 | 23 |
| ალემანია | 16 | 6 | 5 | 5 | 25:30 | 23 |
| ჰანოვერი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:21 | 22 |
| მაინცი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:19 | 22 |
| ფიურტი | 16 | 5 | 7 | 4 | 11:14 | 22 |
| ვალდჰოფი | 16 | 5 | 5 | 6 | 23:24 | 20 |
| გლადბახი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| ზტ. პაული | 16 | 4 | 6 | 6 | 17:21 | 18 |
| კიკერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:31 | 17 |
| ობერჰაუზენი | 15 | 3 | 6 | 6 | 13:18 | 15 |
| ფორტუნა | 16 | 3 | 6 | 7 | 12:24 | 15 |
| კარლსრუე | 15 | 2 | 6 | 7 | 20:25 | 12 |
| ოფენბახი | 16 | 2 | 6 | 8 | 11:25 | 12 |

# ლეგენდარული მილანელები



ფრანკო ბარეზი

ევროპული და მსოფლიოს ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, საფეხბურთო კლუბი „მილანი" ასი წლის გახდა. იუბილესთან დაკავშირებით კლუბის გულშემატკივართა შორის გამოკითხვა მოეწყო. მასში მონაწილე 140 ათასმა ქომაგმა საუკუნის მილანელები დაასახელა. გულშემატკივრები თავიანთ აზრს პრესისა და სატელევიზიო მაგნატის, იმავდროულად კლუბის პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის კუთვნილი ჟურნალების მეშვეობით გამოთქვამდნენ.

მაშ ასე, საუკუნის მილანელი ფრანკო ბარეზი გახდა. ლეგენდარულ ფეხბურთელს, რომელიც თითქმის ოცი წლის განმავლობაში „მილანის" ერთგული იყო, კლუბში 716 მატჩი ჩაუტარებია. ის ექვსჯერ გახდა სკუდეტოს მფლობელი და სამჯერ ევროთასიც ალმართა. ბარეზიმ დიდი ფეხბურთი 1997წელს მიატოვა. მის კარიერაში ერთი შავი ლაქაც იყო. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ბარეზი ერთ-ერთი იმათგანი იყო, პენალტი რომ გააფუჭა, მაგრამ ამ ფაქტის გამო გულშემატკივრებს მისდამი სიყვარული არ განელებიათ. გამოკითხვის შედეგად ბარეზიმ ისეთ ფეხბურთელებს აჯობა, როგორებიც ჯანი რივერა, მარკო ვან ბასტენი, გუნარ ნორდალი და პაოლო მალდინი არიან. „მილანს" რჩეულნი ყველა სათამაშო ამპლუაში ჰყავს. ვან ბასტენი „მილანის" უდიდეს თავდამსხმელად აღიარეს. საუკეთესო ნახევარმცველი ჯანი რივერა გახდა. საუკუნის მეკარედ ფაბიო კუდიჩინი დაასახელეს. გამოვლინდა კლუბის საუკეთესო მწვრთნელებიც. უდიდესი მწვრთნელის ტიტული ნერეო როკოს არგუნეს. როკო 1961-დან 1977 წლამდე სამჯერ ედგა სათავეში გუნდს. მისი ხელმძღვანელობით „მილანმა" ორჯერ ევროთასი და ორჯერაც იტალიის ჩემპიონატი მოიგო. მეორე-მესამე ადგილებზე არიგო საკი და ფაბიო კაპელო გავიდნენ. გულშემატკივრებმა კლუბის მიერ ჩატარებული საუკეთესო მატჩიც გამოარჩიეს. ასეთად მათ 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიიჩნიეს. მაშინ „მილანმა" „ბარსელონა" 4:0 გაანადგურა.

# მილანის საკუთარი ტელევიზია

„მილანის" ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით კლუბი საკუთარ თავს კიდევ ერთ საჩუქარს უმზადებს. 2000 წლის 16 იანვრიდან ფასიანი ტელევიზია, „მილანის არხი" დაიწყებს მაუწყებლობას. საკუთარი ტელევიზიის ქონით ბევრი ვერ დაიკვეხნის. „მილანი" იტალიაში პირველია. ევროპის მასშტაბით მის გარდა ასეთი სამი კლუბია — მადრიდის „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და მარსელის „ოლიმპიკი".

„მილანის არხი" სატელიტური სატელევიზიო ქსელის, „ტელე პიუს" მეშვეობით გავა ეთერში.

თავად „ტელე პიუ" ფრანგული CANAL PLUS-ის იტალიური ფილიალია. ისიც საინტერესოა, რომ არხის მართვას საფეხბურთო კლუბ „მილანთან" ერთად, „მედია პარტნერზი" განახორციელებს. ეს ის „მედია პარტნერზია", უეფას დაუძინებელ მტრად რომ ითვლება და ევროპის სუპერლიგის შექმნა სურს.

საკუთარი ტელევიზიის გახსნას კომენტარი „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გაუკეთა. მან თქვა: „მილანის არხის" გახსნა უდიდეს ფინანსურ მოგებას მოგვცემს. კლუბის საშინაო შეხვედრების გარდა, იგი ახალ ამბებს, ინტერვიუებს, ჩვენი დუბლების თამაშებს გადასცემს და სერია A-ს მატჩებს მიმოიხილავს".

# ევროპაში საფეხბურთო გადატრიალება მზადდება

ცოტაოდენი ხნის წინ საფეხბურთო ევროპის ერთპიროვნულ მმართველს — უეფას სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა. ტრანსნაციონალურმა კომპანიამ, „მედია პარტნერზმა", ევროპის სუპერლიგის შექმნის იდეა წამოაყენა. საფეხბურთო გადატრიალების მცდელობა საკმაოდ რეალური იყო, რადგან საქმეს ძალიან დიდი ფულის სუნი სდიოდა. უეფამ ტახტის შერყევის საფრთხე იგრძნო და სასწრაფოდ კონტრზომას მიმართა. შედეგად ჩემპიონთა ლიგის განახლებული ვარიანტი მივიღეთ — მონაწილე გუნდების და მათთვის განკუთვნილი ჰონორარების საგრძნობლად გაზრდილი რაოდენობით. უეფამ ბრძოლის პირველი რაუნდი მოიგო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „მედია პარტნერზი", სპორტული მარკეტინგის სფეროში მომუშავე კომპანია, დანებებას არ ფიქრობს. მისი პრეზიდენტის, რუდოლფო ჰეჩტის განცხადებით, კომპანია ჩასაფრებულ პანტერას ჰგავს, რომელიც გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადება. „მედია პარტნერზს" იმედი აქვს, რომ ევროკავშირის კომისია უახლოეს პერიოდში ერთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც კომპანიას მოქმედების საშუალებას მისცემს. საქმე ისაა, რომ „მედია პარტნერზს" ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში ევროკავშირისთვის საჩივარი გადაუცია, ევროპაში მეტად საინტერესო ტურნირის ორგანიზება გვსურს და უეფა გასაქანს არ გვაძლევსო. ჩანაფიქრი ეშმაკურია. ყველამ იცის, ევროკავშირს და უეფას ერთმანეთთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ აქვთ. მათი დავა „ბოსმანის წესის" შემოღების შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება. აქედან გამომდინარე, „მედია პარტნერზს" იმედი აქვს, რომ ევროკავშირი მის მხარეს დაიჭერს. რუდოლფო ჰეჩტი ამას არც მალავს. ის ამბობს: „სულ მალე, უკვე 2000 წელს, ევროკავშირი გადაწყვეტილებას მიიღებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გავიმარჯვებთ. არავის აქვს უფლება, ხალხს ფეხბურთის თამაში აუკრძალოს".

არავის ეგონოს, თითქოს „მედია პარტნერზი" ამ საქმეში მარტო იყოს. კომპანიამ ჯერ კიდევ 1998 წელს დაიწყო მოლაპარაკებები „მილანთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან". დღეს ევროპის სუპერლიგის შექმნის მომხრეთა ბანაკში ლორენცო სანსი და სილვიო ბერლუსკონიც გადაბარგდნენ. მადრიდელთა პრეზიდენტი უეფას მიერ შემოსავლების გადანაწილების სისტემით არის უკმაყოფილო. ის თვლის, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლაციით შემოსული უზარმაზარი მოგება, უპირველესად მათ უნდა დარჩეთ, ვინც ამ შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფს. სანსის მოსაზრება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის იმ არაფორმალური გაერთიანების ლიდერია, საფეხბურთო წრეებში G-14-ად რომ მოიხსენიებენ. ეს ჯგუფი ევროპის 14 სუპერკლუბს აერთიანებს. სილვიო ბერლუსკონიმ თავისი მადრიდელი კოლეგის აზრი განავრცო და თქვა: „ჩემი აზრით, ის, რასაც დღეს ჩემპიონთა ლიგას ვეძახით, მხოლოდ გარდამავალი სტრუქტურაა და მას ევროპის სუპერლიგის შექმნამდე მივყავართ".

რას აკეთებს ამ დროს უეფა? ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატსა და გაზრდილ ჰონორარებზე უკვე ვთქვით. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ევროპული სუპერკლუბები სულ უფრო და უფრო მეტ ფულს ითხოვენ. მათი ამბიციების შესაკავებლად უეფა ჯერჯერობით მუქარას მიმართავს. იგი აფრთხილებს ყველას — ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს, კლუბებს, ცალკეულ მოთამაშეებს, მხოლოდ უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებში ითამაშონ, წინააღმდეგ შემხთვევაში მათ მოკვეთით ემუქრება.

ზემოთ „მედია პარტნერზის" საჩივარი ვახსენეთ, ევროკავშირის კომისიისთვის რომ გაუგზავნია. საჩივარში სწორედ უეფას მხრიდან მუქარის ფაქტებია აღწერილი. საბოლოო სიტყვა ევროკავშირზეა. ისე, ევროკავშირის მუშაობის სტილს თუ გავიხსენებთ, გამარჯვება „მედია პარტნერზს" უნდა დარჩეს. პიროვნების, მის მიერ არჩევნის თავისუფლად გაკეთების უფლება — ეს ევროკავშირის წმიდათაწმიდა პრინციპია.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკასთან



საუდის არაბეთის გუნდმა „ალ ნასრიმ", რომელიც იანვარში ბრაზილიაში გასამართ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე აზიის სახელით უნდა წარდგეს, ორი ფეხბურთელი — ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფაუდ ანვარი და მაროკოელი ფორვარდი აჰმად ბოჯა შეიძინა, შესაბამისად, საუდის არაბული „ალ შაბიდან" და არაბთა გაერთიანებული საამიროებს „ალ ვასლიდან". ანვარი ორწლიანი კონტრაქტით 1,3 მილიონ დოლარად გადაბარგდა ახალ კლუბში. „ალ ნასრის" კი უფრო სერიოზული გეგმები ჰქონდა, კერძოდ, მას ბრაზილიელი რომარიოსა და მექსიკელი ლუის ერნანდესის გადაბირება სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**ფრანგული პსჟ-ს განცხადებით, კლუბის 36 წლის გოლკიპერი ბერნარ ლამა, რომელსაც გუნდთან მიმდინარე კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში უმთავრდება, სავარაუდოდ, აღარ გააფორმებს ახალ შეთანხმებას კიდევ ორი წლით დარჩენის შესახებ. პსჟ-მ ლამასთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას 28 წლის მეკარე ლორან კასაგრანდესთან საქმის დაჭერა ამჯობინა. ეს უკანასკნელი სეზონის დასაწყისში 4 წლით შეუერთდა პარიზულ კლუბს და იმუქრებოდა, რომ ვადამდე ადრე დატოვებდა პსჟ-ს, თუ იქ ლამა დარჩებოდა. საფრანგეთის ნაკრების სარეზერვო მეკარე — ლამა, პარიზში 1992 წელს ჩავიდა და გუნდთან ერთად 1994-ში საფრანგეთის ჩემპიონობა, ხოლო 1996-ში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. არაა გამორიცხული, მან თავისი კარიერა ბრაზილიაში დაასრულოს.**

მოლდოვას ნაკრების კაპიტან ალექსანდრუ კურტიანუს, რომელიც ამჟამად რუსული სანქტ პეტერბურგის „ზენიტის" ღირსებას იცავს, სახლთან ახლოს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. შედეგად მან სხეულის დაზიანება მიიღო. ამჟამად კურტიანუ ქალაქის ერთ-ერთ კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში იმყოფება. მსგავსი ინციდენტი პირველი არ გახლავთ. რუსეთში ბოლო ხანს საკმაოდ გახშირდა სპორტსმენებზე თავდასხმა. ვოლგოგრადის „როტორის" პრეზიდენტი ქალაქის მახლობელ ტყეში სასტიკად ნაცემი იპოვეს. თავს დაესხნენ ამავე გუნდის ბომბარდირ ოლეგ ვერეტენნიკოვს და მის ორი წლის ქალიშვილსაც.

**ინგლისური „ლესტერის" ფორვარდი ემილ ჰესკი, რომელსაც თითქოს გუნდი უნდა დაეტოვებინა და „ლივერპულში" გადაბარგებულიყო, კიდევ 12 თვით დარჩება თავის კლუბში — ეს განცხადება გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა გააკეთა. არადა, პრესა იუწყებოდა, 21 წლის ფორვარდში „ლივერპული" 5-დან 10 მილიონ გირვანქამდე (8-16 მილიონი დოლარი) თანხას იხდისო. „ემილს ლივერპულურ გუნდთან არავითარი შეთანხმება არ ჰქონია. კარგად ვიცი ყველა წინადადება, რომელიც მან მიიღო. ვრწმუნდებით, ამგვარი არასოდეს ყოფილა" — განაცხადა ონილმა.**

ჩეხი ნახევარმცველი პაველ ჰაპალი ესპანურ „ტენერიფეში" გატარებული ოთხ სეზონ-ნახევრის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება. 30 წლის ჰაპალმა ჩეხური ფეხბურთის ისტორიაში პირველმა ითამაშა პრიმერა დივიზიონში. ეს 1995 წელს მოხდა, როდესაც იგი გერმანული „ლევერკუზენიდან" ესპანეთში გადავიდა. კონტრაქტით მას „ტენერიფეში" სეზონის ბოლომდე უნდა ეთამაშა, მაგრამ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, კლუბი ვადაზე ადრე დატოვა. საკუთარი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ჰაპალს სულ 31-ჯერ უასპარეზია. ევრო 96-მდე მან ტრავმა მიიღო, რის გამოც ინგლისში ვერ ითამაშა.

**ომანის ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების თავკაცად ჰოლანდიელი სპეციალისტის, წარსულში იტალიური „ნაპოლის" ფეხბურთელის, რუუდ კროლის დანიშვნა სურს (შეგახსენებთ, რომ კროლს 1982 წელს თბილისშიც უთამაშია, როდესაც „ნაპოლის" ღირსებას იცავდა). სპეციალისტსა და ფედერაციას შორის შესათანხმებელი მხოლოდ ფინანსები დარჩა. „ჩვენ კროლს მაქსიმალური თანხა შევთავაზეთ და მგონი მოვრიგდებით კიდეც" — აცხადებს ომანის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ფად ალ რაისი. კროლი, რომელიც 197"-78 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჰოლანდიის ნაკრებში ასპარეზობდა, აქამდე ეგვიპტურ „ზამალექს" წვრთნიდა, თუმცა გასული სეზონი მას წარუმატებლად ჩაუთვალეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამის შემდეგ, მარტში, იგი დუბაის „ალ ვადას" ავარჯიშებდა. თუმცა მხოლოდ ორი თვით. ხანმოკლე მოღვაწეობის მიზეზი ისევ არასახარბიელო შედეგები გახლავთ. ომანის ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძვის. მის შესარჩევ ჯგუფში სირიამ, ლაოსმა და ფილიპინებმა მოიყარეს თავი.**

მოსკოვის „ლოკომოტივის მცველი იგორ ჩერევჩენკო, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საფრანგეთის ერთ-ერთ სახელოვან, დღეს კი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ, მარსელის „ოლიმპიკში" ჩაირიცხება. ფეხბურთელმა გუშინწინ ახალ კლუბთან ერთად პირველად ივარჯიშა. ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ჩერევჩენკო სეზონის დაწყების წინ გუნდიდან წასული მცველების — ლორან ბლანისა და სირილ დომოროს გამო შესუსტებულ „ოლიმპიკის" დაცვის ხაზს გააძლიერებს. ფეხბურთელი ზღვისპირა ქალაქს ჯერ კიდევ გასულ შაბათს ეწვია, თუმც საქმეს მხოლოდ გუშინწინ შეუდგა. რამდენი გაიღო „ოლიმპიკმა" ჩერევჩენკოში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

## ესპანეთი

თასი. მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩები

ალბასეტე (II) — ესპანიოლი 0:0; ალმერია (III) — ბარსელონა 0:0; ბილბაო — რაიო ვალეკანო 0:1; ოსასუნა (II) — ვალენსია 3:0; ლას პალმასი (II) — ატლეტიკო 2:2; ლეიდა (II) — ეიბარი (II) 0:0; ლოგრონიესი (II) — ოვიედო 3:2; მერიდა (II) — ბეტისი 1:0; ორენსე (II) — მალიორკა 2:2; რეალ უნიონი (III) — ალავესი 1:0; სპორტინგი (II) — სელტა 0:3; ტენერიფე (II) — კომპოსტელა (II) 2:2; სარაგოსა — რასინგი 2:1


## იყიდება

ოროთახიანი, ორაივნიანი ბინა
დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონის
დასაწყისში, მე-6 სართულზე

☎ 66 48 12



# იღბლიანი ბიჭი

**20 წლისა და სამი დღის ინგლისელი ვარსკვლავი მაიკლ ოუენი, ქვემორე ინტერვიუში მრავალჭირმოხდილი ადამიანივით ლაპარაკობს, მაგრამ იგრძნობა, რომ არ იპრანჭება.**
**ოუენმა კარგად იცის თავისი შესაძლებლობების და მოვალეობის ამბავი. მან იცის, რა უყვარს, რა უნდა და გრძნობს, რომ ცხოვრების წესმა თანატოლებისთვის მაგალითად აქცია.**



**— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გერმანიასთან შეხვედრის შემდეგ ევრო 2000-ის კენჭისყრამაც არ გაგიმართლათ, ინგლისი და გერმანია კვლავ ერთადაა...**

— დიახ, იგივე განმეორდა, მაგრამ ასეთ დონეზე იოლი კენჭისყრა ხომ არ არსებობს. არ არსებობს იოლი თამაშებიც. უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. თუ დავაკვირდებით, უფრო ძნელი ჯგუფებიც შეიკრა, მაგრამ ვნებათაღელვას გერმანია განაპირობებს. ერთი ხანია, ინგლისელებს გერმანელებთან უარყოფითი შედეგი გვაქვს. იქნებ ახლა შეიცვალოს ბედი.

**— ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გეყოფათ ძალა და ოსტატობა?**

— ვგონებ, გვეყოფა. გუნდში რამდენიმე საგანგებო მოთამაშე გვყავს. იქნებ ჩვენში უფრო მეტი ტალანტი იყოს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. მართალია, იყო შეხვედრები, რომლებიც აშკარად ცუდად ჩავატარეთ, მაგრამ კრიტიკოსთა გაჩუმების ძალაც შეგვწევს. მას მერე, რაც ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ, პერსპექტივა გამოჩნდა. ვიცი, ბევრი სიძნელეები გველის, ოღონდ იმასაც ვფიქრობ, რომ დროა სერიოზულ წარმატებას მივაღწიოთ. ხალხს ბევრის მოთმენა კი შეუძლია, მაგრამ ამჯერად უკვე უნდა გავუმართლოთ იმედი.

**— თქვენ სამშაბათს 20 წლისა გახდით. საკუთარ კარიერას რომ უყურებთ, ხომ არ გიჭირთ იმაში გარკვევა, რა და როგორ მოხდა?**

— მართალი გითხრათ, ყველაფერი ისე სწრაფად განვითარდა, დაფიქრებაც ვერ მოვასწარი. რომ ვიხსენებ, ვგრძნობ, ზოგიერთ ფაქტს ღირსეულად ვერც ვაფასებ. ვგონებ, ძალიან იღბლიანი კაცი უნდა ვიყო, რადგან ფეხბურთში მოსულს ყველა კარი ღია დამხვდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა წარმატებას მივაღწევდი, რადგან ჩემი ოჯახი და მეგობრები ცაში გაფრენის საშუალებას არ მომცემდნენ. და მაინც, მხოლოდ 20 წლისა გახლავართ, ანუ კარიერას ახლა ვიწყებ. ჯერჯერობით კი განვლილი გზა ამბიციებს სრულიად მიკმაყოფილებს. მომავალში „ლივერპულის" შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, ჩემპიონთა ლიგაში თამაში და სანაკრებო ჯილდოების მოგება მსურს. მოკლედ, მიზნები იცოცხლეთ, იმდენია.

**— პოპულარობა ხომ არ გამძიმებთ?**

— თავიდან გიჭირს ადამიანს, მერე კი, დროთა განმავლობაში, ეგუები. ვიცი, ერთ წუთში რომ გმირი ვარ, მეორეში ხალხმა შეიძლება ჩამქოლოს. ფეხბურთში მხოლოდ შავი და თეთრი არსებობს, რაც ძალიან კარგად მომეხსენება. ცხადია, საზოგადოებრივ ყურადღებას ვიპყრობ, ოღონდ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია. ქუჩაში კი სიფრთხილე მმართებს, ვინაიდან ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთის მოყვარულია და მათთვის ფეხბურთში მოტრიალე ხალხი ბევრს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ცუდ მაგალითს არ აძლევ. ვიცი, წარმატებათა გამო ხალხი პატივს მცემს, მაგრამ ყველაფერი ერთ წუთში შეიძლება შეიცვალოს.

**— ბოლო რამდენიმე წელიწადმა რა გაკვეთილი ჩაგიტარათ?**

— ნუ დაუჯერებთ იმას, რასაც შენზე წერენ. ძალიან კარგია, როდესაც ბევრ სასიამოვნოს კითხულობ, მაგრამ ერთ წამში ბევრი რამ შეიძლება ყირაზე დადგეს. მართლაც, შეიძლება ფორმა დაკარგო ან დაშავდე. კიდევ, წარმატებას აუცილებლად გარკვეული ზეწოლაც სდევს თან.

**— თქვენ, ახლა, ძველებურ ფორმაში შედიხართ. ტრავმა ძნელად გადაიტანეთ?**

— დაშავება ქვეყნად ერთ ფეხბურთელსაც არ სიამოვნებს. როცა დაშავებული ხარ, რაღაც უძლურობას გრძნობ, რადგან მდგომარეობის გამოსაცვლელად ვერაფერს აკეთებ. მე ძალიან მიყვარს „ლივერპულის" და ინგლისის ნაკრების მაისურით თამაში და როდესაც ამა თუ იმ მიზეზით ამის საშუალება მესპობა, გული მტკივა. ბოლო ტრავმისგან თავის დასაღწევად ყველა ღონე ვიხმარე, მაგრამ მთელი ხუთი თვე დამჭირდა. ცხოვრებაში ჩემს უმთავრეს ამოცანად „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში კარგად თამაში მიმაჩნია. ტრავმამ კარიერა გამაწყვეტინა და დამამწუხრა, მაგრამ ვფიქრობ, მაინც იოლად გამოვედი.

**— ამასწინათ გაგაკრიტიკეს კიდეც. ამ ამბავმა შეგაშფოთათ?**

— ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ამას ვერ ავცდებოდი. მთელი ამოცანა ამ კრიტიკის გაძლებაა. ჯერ ერთი, მე პირველმა მინდა ვაღიარო, რომ საუკეთესოდ სულაც არ ვთამაშობდი, რადგან სერიოზულად გახლდით დაშავებული და ტრავმის მერე ფორმის აღდგენას ვლამობ. მეორეც ერთი, ყველაფერი გამოსწორდება, რადგან გვერდში ხალხი მიდგას. ეჭვი არ მეპარება, რომ მცირე პრაქტიკის შემდეგ ძველებურად ავთამაშდები.

**— „ლივერპულის" სეზონზე რაღას გვეტყვით?**

— ჯერჯერობით საქმე ნორმალურად მიდის. მთავარია, რომ „ლივერპულს" სწორი გეზი აქვს და ამას ქომაგები ხედავენ. მთავარი ნაკლი დღეისთვის არათანმიმდევრულობაა, მაგრამ ამასაც გამოვასწორებთ. რეალისტები რომ ვიყოთ, ჩემპიონობის დიდი შანსი არ გვაქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება ჩინებული იქნებოდა. მართალია, გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებულია, მაგრამ ასეთები სხვებსაც ჰყავთ. ჯამში კი ცუდად არ მივდივართ. ცხადია, წინსვლის დიდი საშუალება გვაქვს, თუმცა ეს ნებისმიერ სხვა გუნდზეც ითქმის.

365-დან თარგმნა
**მიხეილ სურგულაძემ**

## ჰოლანდია

XVII ტური

**აიაქსი 1:3 პსვ**

0:1, 0:2, 0:3 ვან ნისტელროოი (37, 45, 50), 1:3 კნოპერი (57)

**ჰერენვენი 4:1 ვალვაიკი**

1:0 პოპოვიჩი (23), 2:0, 3:0, 4:0 ლურლინგი (41, 74, 79), 4:1 კორნელისე (86)

**ნაიმეგენი 1:0 მაასტრიხტი**

1:0 დე გიერი (28)

**სპარტა 3:2 დენ ბოსხი**

0:1 ვოსი (41), 1:1 ელხატაბი (52), 2:1, 3:1 ლანგერაკი (56, 89), 3:2 ვოსი (90)

**ვიტესი 3:1 ტილბურგი**

1:0, 2:0 ვან ჰოიდონკი (28პ, 30), 2:1 სანუ (52), 3:1 ზონგო (88)

**როდა — კამბური**

გადაიდო

მიმდინარე ტურში „ამსტერდამ არენაზე" ჰოლანდიური სუპერმატჩი შედგა ადგილობრივ „აიაქსსა" და პსვ-ს შორის. შეხვედრისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ ეს ორი, ოდითგან მოქიშპე გუნდი, ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდა. მათ, ქულათა ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ, ოღონდ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით წინ პსვ იყო.

ამ პაექრობამ ცხადყო, რომ მიმდინარე სეზონში ამსტერდამული გუნდი ღრმა კრიზისშია და შეხვედრის ბოლოს ტაბლომაც ასახა — 1:3 პსვ-ს სასარგებლოდ. ეს იყო ეინდჰოვენელი რუუდ ვან ნისტელროოის ნამდვილი ბენეფისი. მან ამსტერდამელთა კარი სამჯერ დალაშქრა, თუმც გაცილებით მეტს შეძლებდა, იღბალი რომ ჰქონოდა. ვან ნისტელროოი მეტად სახიფათოდ ურტყამდა, თუმცა ბურთს „აიაქსის" მეკარე ფრედი გრიმი ეუფლებოდა, ანაც იგი ოდნავ სცდებოდა კარს.

მატჩის გმირს ხელსაყრელი მომენტი დებიუტშივე, დაახლოებით 26-ე წამზე შეექმნა. მან გრიმის მოტყუება კი მოახერხა, მაგრამ დარტყმულმა სანტიმეტრებში ჩაუარა კარის ძელს. თუმცა 37-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — თანაგუნდელთა მიერ კარგად გათამაშებული კომბინაცია გოლით დაასრულა.

პირველი ნახევარი ის იყო, უნდა დასრულებულიყო, რომ თავდამსხმელმა მეორეც გაიტანა. მან „აიაქსის" თითქმის მთელ დაცვას გვერდი აუარა და გრიმს მეორედ გამოატანინა ბურთი კარიდან. მეორე ტაიმის მე-5 წუთზე კი არნოლდ ბრუგინკის კარგი გარღვევის შემდეგ ჩაწოდებულ პასს მესამე გოლი მოჰყვა. ნისტელროოიმ ჰეთ-თრიქი შეასრულა და მიმდინარე სეზონში თავისი პირადი ანგარიში 22 ბურთამდე გაზარდა.

„აიაქსმა" პრესტიჟის გოლიღა გაიტანა. ეს 57-ე წუთზე რიხარდ კნოპერმა მოახერხა.

„ეს იყო პსვ-ს საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში, შესაძლოა ბოლო წლებშიც კი" — განაცხადა პსვ-ს თავკაცმა ერიკ გერეტსმა, რომელიც შეხვედრის დასრულების შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 16 | 12 | 2 | 2 | 53:13 | 38 |
| აიაქსი | 16 | 11 | 2 | 3 | 46:23 | 35 |
| ჰერენვენი | 16 | 11 | 1 | 4 | 33:17 | 34 |
| ალკმარი | 17 | 10 | 1 | 6 | 35:27 | 31 |
| ვიტესი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:24 | 31 |
| ტვენტე | 16 | 8 | 6 | 2 | 28:16 | 30 |
| ფეიენოორდი | 15 | 8 | 5 | 2 | 29:15 | 29 |
| როდა | 16 | 9 | 2 | 5 | 28:21 | 29 |
| ტილბურგი | 16 | 9 | 2 | 5 | 30:32 | 29 |
| ვალვაიკი | 18 | 9 | 2 | 7 | 30:35 | 29 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 1 | 9 | 25:31 | 22 |
| სპარტა | 16 | 5 | 0 | 11 | 25:38 | 15 |
| ნაიმეგენი | 16 | 4 | 2 | 10 | 20:34 | 14 |
| გრააფსხაპი | 16 | 2 | 6 | 8 | 17:27 | 12 |
| მაასტრიხტი | 17 | 3 | 3 | 11 | 25:41 | 12 |
| სიტარდი | 17 | 2 | 4 | 11 | 17:30 | 10 |
| დენ ბოსხი | 18 | 2 | 4 | 12 | 18:47 | 10 |
| კამბური | 16 | 2 | 3 | 11 | 15:35 | 9 |

## იტალია

თასი. მერვედფინალი.

საპასუხო მატჩები

**ბოლონია 1:3 *ინტერი* (1:2)**

0:1 ვიერი (41), 1:1 ინგესონი (75), 1:2 კოე (87), 1:3 ვიერი (90)

**პიაჩენცა 0:3 დ.დ. (0:1) *რომა* (1:0)**

0:1 რინალდი (55), 0:2 დი ფრანჩესკო (98), 0:3 კანდელა (103)

**პარმა 2:2 *კალიარი* (0:1)**

1:0 ბენარივო (11), 1:1 მბომა (33), 1:2 ონილი (42), 2:2 ვალემი (64)

***ფიორენტინა* 2:0 პერუჯა (0:1)**

1:0 ბრესანი (1), 2:0 კიეზა (12)

**უდინეზე 2:0 *ვენეცია* (0:3)**

1:0 ძამბონი (46), 2:0 ესპოზიტო (83)

***ლაციო* 4:1 რავენა (1:1)**

1:0 მიხაილოვიჩი (14), 2:0 ს. ინძაგი (51), 2:1 სოტია (53), 3:1 მიხაილოვიჩი (90), 4:1 ბოკშიჩი (94)

### სერია B

გამოტოვებული მატჩი

**ტერნანა 1:0 პისტოიეზე**

1:0 სერვიდეი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 15 | 9 | 2 | 4 | 30:17 | 29 |
| ბრეშა | 15 | 7 | 7 | 1 | 21:9 | 28 |
| ატალანტა | 15 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 |
| ნაპოლი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:15 | 26 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 |
| ალძანო | 15 | 6 | 4 | 5 | 17:20 | 22 |
| ტრევიზო | 15 | 6 | 3 | 6 | 22:17 | 21 |
| ტერნანა | 15 | 5 | 6 | 4 | 15:18 | 21 |
| ჩეზენა | 15 | 4 | 8 | 3 | 20:16 | 20 |
| რავენა | 15 | 4 | 8 | 3 | 17:14 | 20 |
| მონცა | 15 | 4 | 8 | 3 | 15:15 | 20 |
| კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 18:19 | 19 |
| სალერნიტანა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 |
| კოზენცა | 15 | 3 | 8 | 4 | 11:13 | 17 |
| ჯენოა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:16 | 16 |
| პესკარა | 15 | 3 | 7 | 5 | 20:22 | 16 |
| ემპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 8:20 | 16 |
| პისტოიეზე | 15 | 5 | 3 | 7 | 13:18 | 14 |
| სავოია | 15 | 2 | 6 | 7 | 12:22 | 12 |
| ფერმანა | 15 | 1 | 4 | 10 | 11:25 | 7 |

# ისლამისტები ამერიკაში

2000 წლის 16 იანვარს კალიფორნიაში, პასადენას „როუზ ბოულზე" ამხანაგური მატჩის ჩატარება იგეგმება. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ირანს დაუპირისპირდება. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ შეხვედრის გამართვა შეიძლება სენსაციად მივიჩნიოთ. ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის 1979 წელს გაფუჭდა. ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ვაშინგტონმა თეირანთან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა. ამერიკელები ირანელ ისლამისტებს საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ. ცხადია, დიდი პოლიტიკა სპორტზეც მოქმედებს. ამერიკელი და ირანელი სპორტსმენები ერთმანეთთან გაჯიბრების სურვილს არ გამოთქვამენ. გამონაკლისი ერთხელ, ისიც იძულებით მოხდა. უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ორი ქვეყნის ნაკრები ბედმა ერთ ჯგუფში მოახვედრა. კენჭისყრას ხელახლა არავინ ჩაატარებდა, ამიტომ გუნდები მინდორზე გავიდნენ და ფეხბურთელებმა ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს. ირანელები გააფრთებით იბრძოდნენ, თითქოს რომ წაეგოთ, რევოლუციის მონაპოვარს დაკარგავდნენ. მათ 2:1 მოიგეს. ფიფას ჩინოვნიკები შეხვედრის მსვლელობით მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. ხუმრობა ხომ არაა, თამაშის დროს არავინ დაუმტვრევიათ და არც უფრო საშინელი ამბები მომხდარა. მადლიერმა ზეპ ბლატერმა მოგვიანებით ორივე გუნდი „ფეირ პლეის" პრიზით დააჯილდოვა.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქვეყნებს შორის ურთიერთობა არ შეცვლილა. მაშ, რატომ დაიგეგმა ამხანაგური მატჩი? როგორც ამბობენ, ამერიკელებს რევანშის აღება სწყურიათ. მსოფლიოს ჰეგემონები ირანთან დამარცხებას (თუნდაც ფეხბურთში) ვერ ეგუებიან. ამერიკის და ირანის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ, თამაშის ჩატარებს დრო და ადგილიც განისაზღვრა. ამ დროს კი ახალი პრობლემა წარმოიქმნა, რომელიც შეხვედრას ჩაშლით ემუქრება. ამ პრობლემას ამერიკის მთავრობა ჰქვია.

ამერიკული კანონებით, ირანის, სუდანისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის (რომლებიც ტერორიზმის მხარდაჭერაში იმხილებიან) მოქალაქეებს შეერთებულ შტატებში შესვლისას თითის ანაბეჭდებს ულებენ. ამერიკელები ამ წესს არც ახლა დაარღვევენ. ირანელები კი შეურაცხყოფილნი არიან. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მოჰსენ საფაეი ფარაჰანი ამბობს: „ამერიკელი კოლეგები დაგვპირდნენ, რომ მსგავს დამამცირებელ პროცედურას არ გაივლიდით. თუ სიტყვას არ შეასრულებენ, მიღწეული შეთანხმება ჩაიშლება. ჩვენ ამაყი და თავმოყვარე ხალხი ვართ და არ დავუშვებთ, რომ დამნაშავეებივით მოგვექცნენ".

ბევრჯერ გვსმენია, სპორტს პოლიტიკას არ უნდა ვუკავშირებდეთო. რეალობა სხვა რამეს გვიჩვენებს. აშშ-ირანის ამხანაგური მატჩის გამართვის ბედს ამერიკის მთავრობა წყვეტს.

**გიორგი დარჯანია**

# ტრიუმფატორის დაბრუნება

## ემერიხ ენეი ქართველებს განახლებულ გუნდს დაუპირისპირებს

### პრინც კაროლი და „კონტე ვერდე“

რუმინული წყაროების მიხედვით, ქვეყანაში ფეხბურთის თამაში დაახლოებით 1893 წლიდან დაიწყეს. პირველი გუნდები კი ზუსტად საუკუნის წინ, 1899-1900 წლებში ჩამოყალიბდა. მაშინ რუმინელებს ჰყავდათ პრინცი, სახელად კაროლი. სწორედ ამ კაცის სახელთანაა დაკავშირებული იქაური ფეხბურთის თავდაპირველი განვითარება. კაროლიმ ადგილობრივი კლუბებისთვის ერთობ სოლიდური თანხა გამოყო და 1910 წელს ქვეყნის პირველი ჩემპიონატის სპონსორობაც იკისრა. გულუხვი პრინცი რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პირველი გენერალური მდივანიც გახლდათ.

ეროვნულმა ნაკრებმა პირველი მატჩი 1922 წლის 8 მაისს ბელგრადში იუგოსლავიელების წინააღმდეგ გამართა და 2:1 გაიმარჯვა. მერე, წლების განმავლობაში, რაიმე წარმატებისთვის არ მიუღწევია, თუ არ ჩავთვლით ბალკანეთის თასზე გამარჯვებებს (1929, 33 და 36 წლებში). თუმცა რუმინელები ისტორიაში მაინც მოხვდნენ. 1930 წელს ფიფამ ურუგვაიში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჩაატარა, რომელშიც სულ 13, აქედან ოთხი ევროპული ნაკრები მონაწილეობდა. მათ შორის იყო რუმინეთიც და ესეც პრინც კაროლის დიდი მეცადინეობის შედეგი გახლდათ. უკვე ლეგენდადაა ქცეული — საფრანგეთის, ბელგიისა და რუმინეთის ეროვნული გუნდები ურუგვაის გემით გაემგზავრნენ. გემი იტალიური იყო და „კონტე ვერდე“ ერქვა. ხანგრძლივი ზღვაოსნობა მშვიდობით დამთავრდა და ჩემპიონატიც გაზურდა. აქაც რუმინელები მატიანეში ჩაეწერნენ. პირველ მატჩში პერუს წინააღმდეგ მათ 50-ე წამზე გახსნეს ანგარიში. პირველი მსოფლიოს თასის ყველაზე სწრაფი გოლი ოცდაათი მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ადალბერტ დეშუმ შეაგდო. ის თამაში რუმინელებმა 3:1 მოიგეს. პერუელთა უხეშობას კი საზღვარი არ ჰქონდა. ერთი რუმინელი, ადალბერტ შტაინერი ფეხმოტეხილიც გაიყვანეს მინდვრიდან. შემდგომ მეტოქესთან კი რუმინელებს შანსი აღარ ჰქონიათ, მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონებმა, ურუგვაელებმა ისინი 4:0 დაამარცხეს.

ოთხი წლის შემდეგ, იტალიაში, რუმინელებს კენჭისყრამ არ გაუმართლა. პირველივე ეტაპზე ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდს შეხვდნენ, 1:2 წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ. აი, საფრანგეთის 1938 წლის მსოფლიოს თასზე კი დიდი მოულოდნელობა შეემთხვათ — კუბის სუსტ გუნდთან დამარცხდნენ. თანაც, ოკეანისგაღმელებთან ორ მატჩში არკვევდნენ ურთიერთობას. პირველი 3:3 დამთავრდა, ჟურნალისტების აზრით, ეს იყო ჩემპიონატის ყველაზე ლამაზი თამაში. გადათამაშებაში კუბელებმა 2:1 მოიგეს და შერცხვენილი რუმინელები შინ გაამგზავრეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სახელმწიფოს სათავეში კომუნისტები მოვიდნენ და 1955 წლამდე რუმინელები მხოლოდ სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლებს ეთამაშებოდნენ. საერთაშორისო იზოლაციამ თავისი საქმე გააკეთა და რუმინელებიც 1970 წლამდე ჩრდილში მოექცნენ.

### სამოცდაათიანელები

1970 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მწვრთნელმა ანჯელო ნიკულესკუმ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩაიყვანა. ეგ არის, რუმინელები უძლიერეს ჯგუფში მოხვდნენ, თორემ მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გასჭირვებოდათ. თითო ბურთის სხვაობით წააგეს ინგლისთან და ბრაზილიასთან, ხოლო ჩეხოსლოვაკიას 2:1 მოუგეს. რუმინელებს განსაკუთრებით ძლიერი თავდასხმა ჰყავდათ: ემერიხ დემბროვსკი და ფლორია დუმიტრაკე ჩინებულ ფორმაში იყვნენ. ბრაზილიასთან დრამატულ მატჩში (2:3) ულამაზესი ბურთი გაიტანა დუმიტრაკემ. მან ბრაზილიელთა ლამის მთელი დაცვა მოატყუა, მეკარე ფელიქსიც ზედ მიაყოლა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ეს გოლი რუმინეთის ნაკრების ისტორიაში საუკეთესოდ ითვლებოდა მთელი 24 წლის განმავლობაში, მანამ, სანამ გეორგე ჰაჯიმ აშშ-ის მსოფლიოს თასზე თითქმის ცენტრიდან არ შეუგდო კოლუმბიელებს. სხვათა შორის, ჰაჯი მიიჩნევს, რომ 70 წლის ნაკრები არაფრით ჩამოუვარდებოდა დღევანდელს. უბრალოდ, მაშინ ფეხბურთელებს ძლიერ ევროპულ კლუბებში თამაში არ შეეძლოთ და ასეთი დონის ტურნირზე გამოცდილება არ ეყოთ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. მექსიკაში რუმინეთის ნაკრების ღირსებას იცავდა ბუქარესტის „დინამოს“ ნახევარმცველი რადუ ნუნვაილერი. ამ ნუნვაილერს ექვსი ძმა ჰყოლია, რომელთაგან ხუთი სხვადასხვა წლებში „დინამოში“ თამაშობდა. დაგვეთანხმებით, იშვიათი ფაქტია ევროპული ფეხბურთის ისტორიაში...

### ჩაუშესკუ

1990 წელს მთელი მსოფლიო მოიარა კადრებმა, რომელზეც დახვრეტილი ნიკოლაე ჩაუშესკუ და მისი მეუღლე ელენა იყვნენ აღბეჭდილნი. რუმინელებმა დიქტატორის საშინელებებს საშინელებითვე უპასუხეს. მანამდე კი ჩაუშესკუს გავლენა, ბუნებრივია, იქაურ ფეხბურთსაც ძლიერ ეტყობოდა. წლების განმავლობაში რუმინეთის პირველობაზე დედაქალაქის ორი გუნდი — „სტიაუა“ და „დინამო“ ბატონობდა. ჩემპიონატში კორუფცია მძვინვარებდა და ნაღდად ერთმანეთში მხოლოდ ეს ორი კლუბი იბრძოდა. ჩაუშესკუ „სტიაუას“ ქომაგი ყოფილა და ყველაფერს აკეთებდა არმიელთა კლუბის საკეთილდღეოდ. სტიაუას“ პრეზიდენტი კი დიქტატორის შვილი, ვალენტინი გახლდათ. 1986 წელს რუმინულ საკლუბო ფეხბურთში ყველაზე მთავარი მოვლენა მოხდა: „სტიაუამ“ ჩემპიონთა თასის ფინალში ესპანური „ბარსელონა“ დაამარცხა და ძვირფასი პრიზი ბუქარესტში ჩაიტანა. ნაკრებს კი 90-იან წლებამდე თავი არაფრით გამოუჩენია. ერთადერთი მიღწევა 1984-ში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა იყო. 90-იანის დასაწყისიდან კი ფეხბურთელებს ევროპულ კლუბებში თამაშის საშუალება მიეცათ და შედეგმაც არ დააყოვნა. ბოლო ათწლეული გამორჩეულ პერიოდად იქცა რუმინეთის ნაკრების ისტორიაში.

### გენერალი და მისი გუნდი

1990 წელს, ოცწლიანი შესვენების შემდეგ, რუმინელები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდნენ. იტალიაში ისინი ნაკრების დღევანდელმა თავკაცმა ემერიხ ენეიმ ჩაიყვანა. ენეი ჩემპიონთა თასის მომგები „სტიაუას“ მწვრთნელიც გახლდათ და ბუნებრივია, ნაკრებშიც ამ კლუბის მოთამაშეები სჭარბობდნენ: როტარიუ, ლეკეტუში, ბელოდედიჩი, ბალინტი, დან პეტრესკუ, ჰაჯი... აი, ესენი შეადგენდნენ გუნდის ბირთვს. იტალიაშივე გაიბრწყინა გეორგე ჰაჯიმ, ალბათ, რუმინეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა. დახვეწილი ტექნიკისა და გონივრული პასების გამო, მას „კარპატელი მარადონაც“ უწოდეს. იმ წელს რუმინელები მერვედფინალამდე მივიდნენ და იქ ირლანდიასთან პენალტებით წააგეს. აი, შემდეგი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი კი მათთვის ტრიუმფალური გამოდგა. „სტიაუას“ ყოფილი ფეხბურთელის, ანგელ იორდანესკუს ხელმძღვანელობით რუმინელებმა მეოთხედფინალს უწიეს, თანაც ისტორიული მატჩი მოუგეს არგენტინას (3:2). სამხრეთამერიკელები ფავორიტებად ითვლებოდნენ, თუმცა ერთი დიდი პრობლემაც ჰქონდათ, დოპინგ-სკანდალის გამო რუმინეთთან დიეგო მარადონა ვეღარ ითამაშებდა. იორდანესკუმ კონტრშეტევებზე თამაში ამჯობინა და ხუთ მცველს ამდენივე ნახევარმცველი შეუწყვილა. თავდამსხმელის როლი, სიტუაციიდან გამომდინარე, ჰაჯისა და დუმიტრესკუს უნდა შეესრულებინათ. იორდანესკუს ტაქტიკამ გაამართლა. არგენტინელები ბევრს უტევდნენ და მოწინააღმდეგის კონტრდარტყმები ეპარებოდათ. სწორედ ჰაჯისა და დუმიტრესკუს გოლებით მოიგეს რუმინელებმა. მარადონა მატჩს ტრიბუნიდან უყურებდა და დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე სტადიონი დატოვა. თავისი გუნდის გამარჯვებისა აღარ სწამდა... რუმინელებმა კი ნამატჩევს ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს. მოედნის ცენტრში ეროვნულებიც კი წაუცეკვეს. მოგვიანებით არგენტინა — რუმინეთის შეხვედრა, ჩემპიონატის ულამაზეს სანახაობად მონათლეს.



საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. რუმინეთი — ინგლისი 2:1. რუმინელი ვიორელ მოლდოვანი ინგლისელთა მეკარის დევიდ სიმენის კარში პირველ გატანილ გოლს ზეიმობს

### საქართველოს ნაკრების მეტოქე

**რუმინეთი**

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1909 წელს
ფიფას წევრი: 1930 წლიდან
უეფას წევრი: 1954 წლიდან
რეგისტრირებულ კლუბთა რაოდენობა: 4 900
რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა: 207 500
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: მირჩა სანდუ
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ემერიხ ენეი
სტადიონი: „ლია მანოლიუ“, ბუქარესტი (ტევადობა 70 000)
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: „სტიაუა“, „დინამო“ (ბუქარესტი), „უნივერსიტატია“ (ტიმოშოარა), „უნივერსიტატია“ (კრაიოვა), „რაპიდი“ (ბუქარესტი)
მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა (7): 1930, 34, 38, 70, 90, 94, 98
1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი
ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობდა (4): 1960, 72, 84, 96
ფერები: ყვითელ-წითელ-ლურჯი

**რუმინეთი'99**

| | | |
|---|---|---|
| ბოგდან სტელეა | 05.12.67 | სალამანკა, ესპანეთი |
| გეორგე პოპესკუ | 09.10.67 | გალათასარაი, სტამბოლი, თურქეთი |
| დან პეტრესკუ | 22.12.67 | ჩელსი, ლონდონი, ინგლისი |
| ფლორინ ბატრეანუ | 19.03.71 | დინამო, ბუქარესტი |
| იულიან ფილიპესკუ | 29.03.74 | ბეტისი, სევილია, ესპანეთი |
| კონსტანტინ გალკა | 08.03.72 | ესპანიოლი, ბარსელონა, ესპანეთი |
| კატალინ მუნტეანუ | 26.10.79 | სალამანკა, ესპანეთი |
| დორინელ მუნტეანუ | 25.06.68 | კიოლნი, გერმანია |
| ფლორენტინ პეტრე | 15.01.76 | დინამო, ბუქარესტი |
| ვიორელ მოლდოვანი | 08.08.72 | ფენერბაჰჩე, სტამბოლი, თურქეთი |
| ადრიან ილიე | 20.04.74 | ვალენსია, ესპანეთი |
| იონუტ ლუპესკუ | 09.12.68 | დინამო, ბუქარესტი |
| იოან ოვიდიუ საბეუ | 12.02.68 | რაპიდი, ბუქარესტი |
| დენის სერბანი | 05.10.76 | ვალენსია, ესპანეთი |
| კოსმინ კონტრა | 15.12.75 | დინამო, ბუქარესტი |
| ადრიან მიხალკე | 24.05.76 | დინამო, ბუქარესტი |
| ბოგდან ლობონტი | 18.01.78 | რაპიდი, ბუქარესტი |
| ლივიუ ჩობოტარიუ | 26.03.71 | დინამო, ბუქარესტი |
| ლაურენტიუ როსუ | 26.10.75 | სტიაუა, ბუქარესტი |
| გეორგე კრაიოვეანუ | 14.02.68 | ვილიარეალი, ესპანეთი |
| დუმიტრუ მიტრიტა | 23.06.71 | ჰერენვენი, ჰოლანდია |
| იოან განეა | 10.08.73 | რაპიდი, ბუქარესტი |
| იონ დანჩიულესკუ | 06.12.76 | სტიაუა, ბუქარესტი |
| იოან ლუტუ | 03.08.75 | სტიაუა, ბუქარესტი |
| ევგენ ტრიჩა | 05.08.76 | სტიაუა, ბუქარესტი |
| კატალინ ჰალდანი | 03.02.76 | დინამო, ბუქარესტი |
| დანიელ ფლორეა | 18.12.75 | დინამო, ბუქარესტი |
| ტიბერიუ ლუნგი | 24.12.78 | უნივერსიტატია, კრაიოვა |
| ტიბორ სელიმეში | 14.05.70 | ანდერლეხტი, ბრიუსელი, ბელგია |
| სტეფან ნანუ | 08.09.68 | რაპიდი, ბუქარესტი |
| ვალენტინ ნასტასე | 04.10.74 | არჯეში, პიტეშტი |
| იონ ვლადოიუ | 05.11.68 | დინამო, ბუქარესტი |
| ერიკ ლინკარი | 16.10.78 | სტიაუა, ბუქარესტი |
| გეორგე ჰაჯი | 05.02.65 | გალათასარაი, სტამბოლი, თურქეთი |

*მთავარი მწვრთნელი: ემერიხ ენეი*

იორდანესკუს თავკაცობით რუმინელებმა ევრო 96 და საფრანგეთის შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატიც ითამაშეს.

საფრანგეთში ისინი ორი რამით გამოირჩნენ. პირველი: ჯგუფში ინგლისთან გამარჯვებით (2:1) და მეორე... ყვითლად გადაღებილი თმებით. გლენ ჰოდლის ინგლისს, მოლდოვანისა და პეტრესკუს გოლებით მოუგეს. ჯგუფის მომდევნო მატჩში კი ტუნისის წინააღმდეგ, მსოფლიოს გასაკვირად, ერთთავად ყვითლად თმაშეღებილნი გავიდნენ მინდორზე. რა მოუტანა ამ ანცობამ გუნდს, ცნობილია: ჯერ საშუალო ტუნისთან ფრეს (1:1) დასჯერდნენ. თანაც, რომ არა მოლდოვანის გოლი, საერთოდაც აგებდნენ. შემდეგ კი მერვედფინალში ხორვატებთან დამარცხდნენ (0:1) და საფრანგეთს დაემშვიდობნენ.

აშშ-ის მსოფლიოს თასის შემდეგ იორდანესკუს გენერლის წოდება უბოძეს. როგორც თავად აღიარა, ეს მისი ბავშვობის ოცნება იყო. აი, ქართველებს კი მასთან მხოლოდ ცუდი მოგონებები გვაკავშირებს. 1996-ში იორდანესკუს რუმინეთმა ბუქარესტში ჩვენს ნაკრებს 5:0 მოუგო, ხოლო 1998-ის ოქტომბერში, უკვე საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელად ყოფნისას, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში „შინდისფერ ლეგიონს“ 3:0 „აკმარა“.

### ნაციხარი და გმირი

გადამდგარი გენერლის მაგიერ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, რუმინელთა მთავარი გუნდი ასევე „სტიაუას“ ყოფილმა ფეხბურთელმა, მანამდე ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა ვიქტორ პიცურკამ ჩაიბარა. საინტერესოა, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ის აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებისთვის ორი თვე ციხეში იჯდა. მართალია, თავად ამტკიცებდა, ეს ამბავი კომუნისტების გამოგონილი ხრიკის გამო მოხდა და კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი არასდროს მქონიაო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მცირე ყოყმანის შემდეგ ადგილობრივმა ფეხბურთის ფედერაციამ ის მაინც დაამტკიცა ნაკრების მთავარ მწვრთნელად. პიცურკასაც აწყობილ გუნდში ექსპერიმენტები აღარ დაუწყია და ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე ისე გაიყვანა, საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში არ წაუგია. თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ ამ თვენახევრის წინ ნაკრების სამზარეულო გამომზეურდა. თურმე, მწვრთნელსა და წამყვან ფეხბურთელებს (ჰაჯი, პოპესკუ, პეტრესკუ) შორის გვარიანი შუღლი ყოფილა. მოთამაშეები ამტკიცებდნენ, პიცურკა გუნდში არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის და ურთიერთობებს ძაბავსო. შედეგად, პიცურკა გაათავისუფლეს და მის მაგიერ ოდინდელი გმირი, 1986 წელს „სტიაუასთან“ ერთად ჩემპიონთა თასის მომგები ემერიხ ენეი დანიშნეს.

ენეი ნაკრებში თავისი იდეებით მივიდა. მისი აზრით, რუმინელ ფეხბურთელებს მენტალიტეტის შეცვლა მართებთ. მათ არ იციან, გამარჯვების სიხარული როგორ გამოხატონ. მაგალითად კი შარშან ინგლისთან მოგებული მატჩი მოჰყავს, რომლის შემდეგაც გუნდი დაიბნა და მსოფლიოს ჩემპიონატი უსახურად ჩაამთავრა. ენეი დარწმუნებულია, რომ მისი ფეხბურთელების გამოცდილება გადამწყვეტ როლს ითამაშებს და მომავალ ზაფხულს ბელგია — ჰოლანდიაში ევებ კონტინენტის ჩემპიონობასაც შეეთამაშონ. მერე კი ახალი გუნდის მშენებლობა დაიწყება — ვეტერანების ადგილს ახალგაზრდები დაიკავებენ. ასე რომ, ძნელი სათქმელია, როგორი იქნება რუმინეთის ნაკრები ქართველებთან შეხვედრის დროს.

**სოლომონ გულისაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-17 ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 063 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 064 | არმინია-შტუტგარტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 062 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 065 | ულმი-აინტრახტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 067 | ლევერკუზენი-უნტერჰახინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 069 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 070 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 066 | ჰანზა-შალკე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 068 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-17 ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 073 | ბერლინი-ქემნიცი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 075 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 071 | ვალდჰოფი-მაინცი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 074 | კიოლნი-კოტბუსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 076 | ოფენბახი-ფორტუნა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 077 | კიკერსი-კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 078 | ფიურტი-ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 079 | ობერჰაუზენი-ზანქტ პაული | 2,1 | 2,8 | 3,3 |

20 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 072 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-18 ტური

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 080 | არსენალი-უიმბლდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 081 | ასტონ ვილა-უენსდი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 082 | ბრედფორდი-ნიუკასლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 083 | ლესტერი-დერბი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 084 | ლივერპული-ქოვენთრი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 085 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 086 | სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 087 | უოტფორდი-ევერტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 088 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 089 | ჩელსი-ლიდსი | 1.9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. I დივიზიონი. 23-ე ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 090 | ტრანმერი-ნორვიჩი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 091 | ვულვერჰემპტონი-ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 092 | ბარნსლი-უოლსოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 093 | ბოლტონი-სტოკპორტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 094 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 095 | ჰადერსფილდი-გრიმსბი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 096 | იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 097 | მანჩესტერ სიტი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 098 | ნოტინგემი-ქრიუ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 099 | პორტსმუთი-პორტ ვეილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 100 | ქუინზ პარკი-ჩარლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 101 | შეფილდი-ბლექბერნი ($17^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |

ინგლისი. II დივიზიონი. 22-ე ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 102 | ბრისტოლი-უიკომბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 103 | კოლჩესტერი-ლუტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 104 | ბორნმუთი-ოქსფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 105 | ბარნლი-კარდიფი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 106 | კემბრიჯი-ოლდემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 107 | ჩესტერფილდი-ჯილინგემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 108 | მილუოლი-ნოტსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 109 | პრესტონი-ბლეკპული | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 110 | რედინგი-რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 111 | სკანთორპი-ბერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 112 | სტოკი-როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 113 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

ინგლისი. III დივიზიონი. 22-ე ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 114 | ნორთჰემპტონი-პლიმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 115 | იორკი-საუთენდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 116 | ბარნეტი-მენსფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 117 | ჩესტერი-ჰალიფაქსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 118 | ექსეტერი-ჰარტლპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 119 | ჰალი-კარლაისლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 120 | ლინკოლნი-შრიუსბერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 121 | მაკლსფილდი-ლეიტონი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 123 | როტერჰემი-დარლინგტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 124 | სუონსი-ბრაიტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 125 | ტორკი-ჩელტენემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 122 | როჩდეილი-პიტერბრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | ოსერი-პსჟ | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 134 | ბორდო-რენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 126 | ლიონი-მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 128 | სედანი-ლე ავრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 129 | ნანსი-სენტ ეტიენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 130 | მარსელი-ლანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 131 | ნანტი-ბასტია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 132 | მონაკო-მონპელიე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 133 | სტრასბური-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

იტალია. სერია A. მე-14 ტური

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 135 | ვერონა-ვენეცია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 136 | ბარი-ინტერი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 137 | კალიარი-ლეჩე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 138 | ლაციო-პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 139 | მილანი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 140 | პარმა-რომა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 141 | პერუჯა-ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 142 | ტორინო-უდინეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 143 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

იტალია. სერია B. მე-16 ტური

17 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 144 | ვიჩენცა-კიევო | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 145 | ატალანტა-ალძანო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 146 | კოზენცა-პისტოიეზე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 147 | ჯენოა-სავოია | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 148 | მონცა-სამპდორია | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 149 | პესკარა-სალერნიტანა | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 150 | რავენა-ფერმანა | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| | 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| 151 | ტერნანა-ემპოლი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 152 | ტრევიზო-ბრეშა | 2,6 | 2,6 | 2,7 |

20 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 153 | ნაპოლი-ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |

იტალია. სერია C1A. მე-15 ტური

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | ბრეშელო-ალბინოლეფე ($17^{30}$) | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 155 | ჩიტადელა-სპალ ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 156 | კომო-კარარეზე ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 157 | ლივორნო-მონტევარკი ($17^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 158 | ლუკეზე-კრემონეზე ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 159 | ლუმეცანე-რეჯანა ($17^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 160 | მოდენა-სანდონა ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 161 | სიენა-პიზა ($17^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 162 | ვარეზე-ლეკო ($17^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |

იტალია. სერია C1B. მე-15 ტური

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | ანკონა-ლოდიჯანი ($17^{30}$) | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| 164 | არეცო-ჯულიანოვა ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 5,0 |
| 165 | ატლეტიკო-მარსალა ($17^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 166 | დი სანგრო-ბენევენტო ($17^{30}$) | 2,4 | 2,5 | 5,1 |
| 167 | ფ.ანდრია-აველინო ($17^{30}$) | 2,4 | 2,5 | 3,1 |
| 168 | გუალდო-კატანია ($17^{30}$) | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 169 | სტაბია-კროტონე ($17^{30}$) | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 170 | ნოჩერინა-ასკოლი ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 171 | ვიტერბეზე-პალერმო ($17^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-16 ტური

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 173 | ვალიადოლიდი-ალავესი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 174 | რეალი-ესპანიოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 177 | დეპორტივო-სელტა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 172 | ბეტისი-მალიორკა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 175 | ნუმანსია-რასინგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 176 | ბილბაო-სარაგოსა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 178 | მალაგა-სოსიედადი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 179 | ვალენსია-რაიო ვალეკანო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 180 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 181 | ოვიედო-სევილია | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-19 ტური

18 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 191 | ბადახოსი-სალამანკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 192 | ესტრემადურა-ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 189 | ეიბარი-ლოგრონიესი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

19 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | ტოლედო-მერიდა ($15^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 183 | უელვა-ატლეტიკო B | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 184 | სპორტინგი-ლეგანესი | 1,3 | 4,4 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 185 | ტენერიფე-ოსასუნა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 186 | ლევანტე-კომპოსტელა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 187 | ვილიარეალი-კორდობა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | ელჩე-ლას პალმასი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 190 | ხეტაფე-ლეიდა (14[30]) | 2,1 | 2,8 | 3,3 |

**პორტუგალია. მე-15 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 დეკემბერი | | | |
| 197 | ბრაგა-ამადორა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 18 დეკემბერი | | | |
| 198 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 193 | ალვერკა-ჟილ ვისენტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 194 | კამპომაიორენსე-ხეტუბალი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 195 | ბელენენსეში-სანტა-კლარა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 199 | ლეირია-სალგეირუში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 200 | გიმარაეში-ბენფიკა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 201 | რიუ ავე-ბოავიშტა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 20 დეკემბერი | | | |
| 196 | პორტუ-ფარენსე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ჰოლანდია. მე-17 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 202 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 203 | პსვ-ჰერენვენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 204 | ტვენტე-როდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 205 | ტილბურგი-სპარტა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 207 | ხიტარდი-ვიტესი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 206 | გრააფსხაპი-აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 208 | უტრეხტი-ფეიენოორდი (17[30]) | 4,2 | 2,9 | 1,8 |

**თურქეთი. მე-13 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 დეკემბერი | | | |
| 220 | სამსუნი-ფენერბაჩე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 18 დეკემბერი | | | |
| 219 | ანკარაგიუჯიუ-ქოჯაელი (15[30]) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 226 | დენიზლი-გალათასარაი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 218 | ბეშიქთაში-ანთალია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 221 | ერზურუმი-გიოზთეფე (14[30]) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 222 | გენჩლერბირლიგი-ბურსა (15[30]) | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 223 | ისთანბული-გაზიანთეფი (16[00]) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 224 | ალთაი-ტრაბზონი (16[00]) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 225 | ვანი-ადანა (14[00]) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**შოტლანდია. მე-19 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 დეკემბერი | | | |
| 227 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 228 | დანდი-აბერდინი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| 229 | კილმარნოკი-სენტ ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 230 | მოზერუელი-რეინჯერსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 231 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

**ბელგია. თასის 1/8 ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 დეკემბერი | | | |
| 232 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 233 | სტანდარდი-ვესტერლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 234 | ლოკერენი-მეხელენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 235 | მუსკრონი-სენტ ტრუიდენი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია. XVII ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი. XVIII ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი. XV ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია. XIV ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XVI ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია. XV ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| საბერძნეთი. XII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი. XIII ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |

**კალათბურთი. NBA**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 დეკემბერი | | | |
| 856 | ფილადელფია-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 857 | ორლანდო-ტორონტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 858 | შარლოტი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 859 | ინდიანა-იუტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 860 | მინესოტა-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 861 | სან ანტონიო-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 862 | კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 863 | პორტლენდი-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 18 დეკემბერი | | | |
| 864 | ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 865 | მაიამი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 866 | ატლანტა-იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 867 | კლივლენდი-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 868 | დეტროიტი-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 869 | ჩიკაგო-ორლანდო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 870 | მილუოკი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 | დალასი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 872 | ჰიუსტონი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 873 | დენვერი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 874 | ფინიქსი-საკრამენტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 875 | სიეტლი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 876 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 877 | ტორონტო-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 878 | ვანკუვერი-კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 20 დეკემბერი | | | |
| 879 | ბოსტონი-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 880 | ნიუ იორკი-შარლოტი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 881 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 882 | ორლანდო-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 883 | კლივლენდი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 884 | ჩიკაგო-სიეტლი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 885 | დალასი-მაიამი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 886 | დენვერი-პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 887 | ფინიქსი-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 888 | გოლდენ სტეიტი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 12,5 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 დეკემბერი | | | |
| 889 | ბუფალო-ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 890 | რეინჯერსი-ვაშინგტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 891 | ატლანტა-ბოსტონი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 892 | დეტროიტი-კოლორადო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 893 | ედმონტონი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 894 | ანაჰაიმი-ჩიკაგო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | 18 დეკემბერი | | | |
| 895 | ტორონტო-მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 896 | აილენდერსი-ბუფალო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 897 | ფილადელფია-ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 898 | კალგარი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 899 | ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 900 | პიტსბურგი-ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 901 | კაროლინა-ატლანტა | 1,25 | 4,4 | 4,0 |
| 902 | სენტ ლუისი-ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 903 | ნეშვილი-კოლორადო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 904 | ვანკუვერი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 905 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | 19 დეკემბერი | | | |
| 906 | ფინიქსი-სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 907 | ანაჰაიმი-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 908 | აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 909 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 910 | ფილადელფია-ნეშვილი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 911 | ედმონტონი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 20 დეკემბერი | | | |
| 912 | მონრეალი-პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 913 | კაროლინა-კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 914 | ფლორიდა-ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 915 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს [illegible]მული სპორტული შეჯიბრების შედეგი. [illegible]ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ელირსებაო მუხრანსა...
## საგზურები არის, ყველაფერი ახლა იწყება



მუხრან გოგია

ათენში დასრულებულმა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატმა საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს სამი წევრი შემატა, თუმცა ჯერ უცნობია, კონკრეტულად ვინ. საქმე ისაა, რომ ძალოსნობაში ლიცენზიებს პირადი შედეგების შეჯამებით გუნდი იღებს და მერე ფედერაცია წყვეტს, ვის ან რომელ წონაში აასპარეზებს ოლიმპიადაზე. ცხადია, სიდნეიში ის წავა, ვინც იმ დროისთვის სხვებზე უკეთეს ფორმაში იქნება. დღესდღეობით ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე ოლიმპიადაზე მოხვედრის უმთავრეს კანდიდატებად მუხრან გოგიასა და გიორგი ასანიძეს ასახელებს. კაცმა რომ თქვას, მათზე ალალიცაა — ათენში მოგროვებული 140 ქულიდან (რომლებმაც ის სამი ლიცენზია გაგვინაღდა) 124 სწორედ მათი მონაგარია. ამასთან, ორივე გუნდის ლიდერია და საერთაშორისო არენაზეც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან. მათ ეს საბერძნეთშიც დაამტკიცეს, სადაც გოგია მეოთხე ადგილზე გავიდა და სულ რაღაც ორკილონახევარი დააკლდა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლამდე, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ასანიძე კი მეექვსე იყო. სწორედ ამ ჩემპიონატის შესახებ ვესაუბრეთ მუხრან გოგიას, რომელსაც ფედერაციაში შევხვდით.

**— მუხრან, კმაყოფილი ხართ ათენში ნაჩვენები შედეგით?**

— ვარჯიშებზე უფრო უკეთესი შედეგიც მიჩვენებია, მაგრამ ათენში დაგროვებული 420 კილო ორჭიდში ოფიციალურ ტურნირებზე ჩემთვის საუკეთესოა. ეს მზადების კარგმა პირობებმა განაპირობა. მე და ასანიძე ჯერ პოლონეთში ვემზადებოდით, მერე კი ფასანაურში. ორივეგან კარგი პირობები შეგვიქმნეს. ამან შედეგიც გამოიღო.

**— თქვენ ატაცში პირადი რეკორდი გააუმჯობესეთ, აკვრაში კი პირიქით.**

— ატაცში მეტი რომ შემეძლო, ეს ვარჯიშებზეც ჩანდა, მაგრამ შედეგის გაუმჯობესებაში ყოველთვის რაღაც მიშლიდა ხელს. ეტყობა, მაინცდამაინც არც მწვრთნელებს სჯეროდათ ჩემი და უფრო ნაკლები საწყისი წონები მომცეს, ვიდრე მე ვითხოვდი. თუმცა ეს იქნებ მწვრთნელთა ტაქტიკური სვლაც იყო. ათენში ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდებოდა და ფრთხილობდნენ. ზედმეტ რისკს შეიძლებოდა უქულოდ დავეტოვებინე, ამით კი საბოლოოდ გუნდი იზარალებდა.

ასეა თუ ისე, თავიდან 175 კილოგრამით დამაწყებინეს. ეს ჩემთვის ჩვეული სიმძიმეა, რადგან თითქმის ყველა შეჯიბრს ამ წონით ვიწყებ. მერე 182,5-იც დავძლიე, ბოლოს კი 187 ავიტაცე. აკვრას რაც შეეხება, აქ ჩემი რეკორდი 227 კილოა. ათენში 225-კილოიანი შტანგა კი ავწიე და მკერდამდეც ავიტანე, მაგრამ მერე ველარ დავიმორჩილე. ახლა ვხვდები, ეს მთლიანად ჩემი ბრალია. მოძრაობისას შეცდომა დავუშვი — შტანგა მკერდთან უფრო ახლოს უნდა მიმეტანა. საბოლოოდ 220 კილო დავაფიქსირე და მესამე ადგილზე გასულს ორკილონახევრით ჩამოვრჩი. არადა, ის ხუთი კილო რომ არ დამეკარგა, ზუსტად ამ სხვაობით ვაჯობებდი. ეს კი ჩემთვის მსოფლიოს პირველობის მეორე ბრინჯაო იქნებოდა. პირველი 1995 წელს ჩინეთში მოვიგე.

**— სამომავლო გეგმები?**

— რაც მთავარია, გუნდმა სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიები მოიპოვა, ხოლო ამ უდიდესი ტურნირისთვის როგორ მოვემზადებით, ჩვენზეა დამოკიდებული. ბევრს განსაზღვრავს ისიც, მოსამზადებლად როგორ პირობებს შეგვიქმნიან. ოლიმპიადაზე წარმატების მისაღწევად უფრო მეტია საჭირო. საამისოდ სულაც არ კმარა ის, რასაც აქამდე გვიკეთებდნენ. ოლიმპიადა მაინც სხვაა და მას სხვანაირად მომზადება სჭირდება. თუ სათანადო პირობები არ შეგვიქმნეს, მაშინ ლიცენზიების აღებას რა აზრი აქვს. საგზურების მოპოვებით ყველაფერი არ დამთავრებულა. მიმაჩნია, რომ უმთავრესი სწორედ ახლა იწყება.

**— ათენში ოლიმპიადაზე შესაძლო კონკურენტთაგან ყველამ იასპარეზა?**

— აბსოლუტურად ყველამ. ეგ კი არა, ისეთებიც გამოჩნდნენ, სპორტიდან წასულებად რომ გვეგონა და საერთოდ არ ველოდით. მაგრამ ბრძოლა ყველასთან შემიძლია, კონკრეტულ მიზნებზე წინასწარ ლაპარაკი კი არ მიყვარს.

ირაკლი თავაძე

# ისევ: ილიე და დოპინგი

ამ დღეებში ძალოსნობა კიდევ ერთმა დოპინგ-სკანდალმა შეაზანზარა. რუმინეთის ძალოსნობის ფედერაციამ (FRH) განაცხადა, რომ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრომედალოსანი და მსოფლიოს რეკორდსმენი რაზვან ილიე ანაბოლიკური სტეროიდის ხმარებაში ამხილეს.

„ილიეს ტესტის შედეგად პრეპარატი მეთანდიენონი აღმოაჩნდა და ავტომატურად დისკვალიფიკაციაც მიიღო. თუ მეორე ტესტიც იგივეს უჩვენებს, ილიეს ოქროს მედლის საბერძნეთში დაბრუნება მოუწევს" — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ნიკუ ვლადმა.

23 წლის ილიემ ათენში 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში ატაცში იმარჯვა, თუმცა მისი თაღლითობა ბევრისთვის მოულოდნელი იქნებ არც იყოს. 1997-ში იგი ერთხელ უკვე გამოიჭირეს პრეპარატის ხმარებაში.

ბაჩა არჯევანიძე



# შვიდკაცად შეკრულ ქართველებს წინ მიგვიძღვება სორელი



კლოდ სორელი ისევ ქართველთა მწვრთნელია

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. სარაგბო მოედანზე ორივე მხრიდან 15-15-ის ნაცვლად 7-7 კაცი გავიდა. მოედნის ზომები იგივე, ქულათა დარიცხვის სისტემა იგივე, წესებიც იგივე. არაფერი შეცვლილა მორაგბეების რაოდენობის გარდა. წარმოიდგინეთ? თუ ასეა, მაშინ თქვენ უკვე შვიდკაცა რაგბის შეხვედრის მაყურებელი ბრძანდებით...

1993 წელს ედინბურგში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა შვიდკაცა რაგბიში. 1999 წელს კი IRB-მ გადაწყვიტა, მსოფლიოს თასის გათამაშება ჩაეტარებინა, რომლის გამარჯვებულიც 10 ტურნირის სერიის შედეგებით გამოვლინდებოდა. სერია 1999-2000 წლებში ჩატარდება.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ჩვენებურებს კლოდ სორელი თავკაცობდა. გუნდში კი ეს მორაგბეები იყვნენ: გია ლაბაძე, ნოდარ ანდღულაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ვასილ კაცაძე, ვასილ აბაშიძე, პალიკო ჯიმშელიძე, კახა კობახიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, გიორგი ბუგიანიშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, ელგუჯა იოვაძე.

ორიოდე სიტყვა შვიდკაცა რაგბის წესების შესახებაც ვთქვათ. მატჩი შედგება ორი შვიდწუთიანი ტაიმისგან. ფინალურ შეხვედრაში 10-წუთიან ტაიმებს თამაშობენ. შვიდკაცას შეხვედრები საკმაოდ დინამიური ხასიათისაა და საყურებლადაც უფრო სასეირო და საინტერესო. თამაშის მთელი სიმძიმე ძირითადად გარემარბებზე გადადის და დროის სიმცირის მიუხედავად, შეხვედრები საკმაოდ შედეგიანი გამოდის. შერკინებებში 3-3 მოთამაშე დგება და, რა თქმა უნდა, ასეთი შეჭიდება უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მორაგბეების სათამაშო სივრცე, ჩვეულებრივი რაგბისგან განსხვავებით, უფრო დიდია და მეტი მნიშვნელობა სპორტსმენის ინდივიდუალურ ოსტატობას ენიჭება. ქართული ხასიათისთვის ალბათ შვიდკაცა რაგბი უფრო მისაღებია, რაც გამოჩნდა კიდეც მეორე ტურნირში, სადაც ჩვენმა მორაგბეებმა 12 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს სამხრეთ აფრიკის გუნდთან.

პირველ ტურნირში კი, რომელიც დუბაიში ჩატარდა ნამდვილად ვერ ივარგეს ქართველებმა. წილისყრამ ჩვენი გუნდი II ჯგუფში მოახვედრა ფიჯის, კანადის, ზიმბაბვეს ნაკრებებთან ერთად. ბორჯღალოსნებმა ჯგუფში სამივე შეხვედრა წააგეს. ფიჯისთან 5:38, კანადასთან 0:29, ზიმბაბვესთან 15:21, შემდეგ IX ადგილისთვის გამართული სანუგეშო ტურნირის პირველივე მატჩიც დათმეს შოტლანდიასან 12:19 და 0 ქულით დაასრულეს შეჯიბრი.

მეორე ტურნირი სამხრეთ აფრიკის ქალაქ სტელენბოშში გაიმართა. ქართველები წილისყრით ისევ II ჯგუფში გამწესდა, სადაც ახალი ზელანდიის, ზიმბაბვეს და არგენტინის გუნდებიც ასპარეზობდნენ. ბორჯღალოსნებმა ამჯერად უკეთ ითამაშეს ორი შეხვედრა მოიგეს (არგენტინასთან და ზიმბაბვესთან), ახალ ზელანდიასთან წააგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქე მაროკო იყო. ქართველებმა ჩრდილოაფრიკელებსაც სძლიეს და ნახევარფინალში ფიჯის დაუპირისპირდნენ. მართალია, შვიდკაცა რაგბის [illegible] დათმეს შეხვედრა — მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, III-IV ადგილები [illegible] სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან და 12 ქულა მიითვალეს.

მსოფლიოს თასის გათამაშებაში ქულათა დარიცხვა ასე ხდება. ტურნირში მონაწილეობს 16 ან 24 გუნდი. თამაშდება I-II, V-VI და IX ადგილები. I ადგილისთვის 16-გუნდიან ტურნირში გამარჯვებულს ერიცხება 20 ქულას (24 გუნდში — 30). II ადგილზე — 16(24). III და IV ადგილები 12(8), V — 8(12), VI — 6(9), VII-VIII — 4(6), IX — 2(3) ქულას.

ჯერჯერობით ორი ტურნირის შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრები 16 გუნდში მეექვსე ადგილზეა. I-II ადგილებზე ფიჯელები და ზელანდიელები არიან 36-36 ქულით, III ადგილზე — სამხრეთ აფრიკის ნაკრებია — 24 ქულით, მას მოჰყვებიან სამოა — 18, ავსტრალია — 16 და საქართველო — 12.

ბორჯღალოსნების თამაშს სამხრეთაფრიკული პრესაც კარგად გამოეხმაურა. ფიჯელებთან შეხვედრისას გია ლაბაძის მიერ გატანილ ლელოს ჟურნალისტებმა „ფანტასტიკური" უწოდეს, თუმცა ამან მაინც არ გვიშველა. არა, არ ვწუწუნებთ, ასეთი წარმომადგენლობის დაჯგუფების ტურნირზე ფიჯისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების მერე მესამე ადგილის დაკავება ნამდვილად წარმატებაა, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მორაგბეები მოპოვებულ 12 ქულას კიდევ მიუმატებენ. წინ ხომ რვა ტურნირია.

დარჩენილი ტურნირების ჩატარების განრიგი:

**7-8 იანვარი. პუნტა დელ ესტე. ურუგვაი**
**12-13 იანვარი. მარ დელ პლატა. არგენტინა**
**5-6 თებერვალი. ველინგტონი. ახალი ზელანდია**
**12-13 თებერვალი. ბრისბენი. ავსტრალია**
**18-19 თებერვალი. სუვა. ფიჯი**
**24-26 მარტი. ჰონგკონგი. ჩინეთი**
**1-2 აპრილი. ტოკიო. იაპონია**
**27-28 მაისი. პარიზი. საფრანგეთი**

# 2000: გადაიხდით? ითამაშებთ!

ნოემბერში დასრულდა მორაგბეთა მსოფლიოს თასის გათამაშება. ამ ტურნირში საქართველოს ნაკრებს არ უთამაშია. არადა, ჩვენებურებს რომ მონაწილეობა მიეღოთ, ვინ იცის, რამდენ სიკეთეს მოუტანდა ქართულ რაგბის. ჯერ ერთი, ნაკრების რეიტინგი მოიმატებდა, მეორეც — რაგბის საერთაშორისო საბჭო — IRB საქართველოს რაგბის კავშირს მსოფლიოს თასზე მხოლოდ მონაწილეობისთვის მილიონ (!) ამერიკულ დოლარს გადმოურიცხავდა. ახლა იანგარიშოს ქართული რაგბის მოყვარულმა, ეს თანხა რამდენ სიკეთეს მოიტანდა — გუნდებისთვის ფორმები, სტადიონების კეთილმოწყობა, შეკრებების უზრუნველყოფა, მსაჯების მომზადება და კიდევ ბევრი სხვა. მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

საქართველოს რაგბის კავშირში უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადებიან. მართალია, ხუთეულის თამაშები კიდევ ჩასატარებელია, მაგრამ საგაისო ჩემპიონატის გეგმების განხილვას ეს ხელს არ უშლის. კავშირის ყრილობა 23-24 დეკემბერს უნდა გამართულიყო, თუმც უკეთ მომზადებისა და ჩატარების მიზნით 2000 წლის 10-11 იანვრისთვის გადაიდო. ყრილობაზე კავშირის პრეზიდენტს და აღმასრულებელ ორგანოებს აირჩევენ, რომლებიც უზრუნველყოფენ კიდეც მომავალი ჩემპიონატის ჩატარებას. მართალია, ჯერ დაზუსტებით ვერ ამბობენ, საგაისო პირველობა როგორი დებულებით ჩატარდება, მაგრამ გარკვეული მოსაზრებები უკვე არსებობს...

კერძოდ: გაიზრდება ჩემპიონატში მონაწილეობისთვის შესატანი თანხა. წინა სეზონში ეს 1000 ლარს შეადგენდა, რაც ძირითადად მსაჯების, სამივლინებო ხარჯების და კავშირის თანამშრომლების ხელფასების ანაზღაურებაზე მიდიოდა. ამ ფულითვე უზრუნველყოფდა რაგბის კავშირი ბავშვთა და ჭაბუკთა ტურნირების ჩატარებას. მომავალ სეზონში შესატანი თანხა დაახლოებით 2,5-3-ჯერ გაიზრდება. როგორც ქართული რაგბის მესვეურებს მიაჩნიათ, ამის შემდეგ მათ შეეძლებათ, მატჩების მომსახურე პერსონალს ნორმალური გადაუხადონ. წინა სეზონში მთავარი მსაჯი მატჩზე 35 ლარს იღებდა, გვერდითი მსაჯები 7-7-ს, ხოლო მატჩის მეთვალყურე — 10 ლარს. სულ თამაშის საარბიტრო მომსახურებაზე დაახლოებით 60 ლარი გამოდიოდა. შესატანის გაზრდის შემთხვევაში ეს თანხა 200 ლარამდე მოიმატებს. ამ შემთხვევაში უფრო გაიზრდება პასუხისმგებლობაც და მსაჯობას ხარისხიც.

შესაბამისად გაიზრდება საჯარიმო თანხების ოდენობაც. მომავალ სეზონში კიდევ ერთი სიახლე იქნება. კავშირის წევრი გუნდებისთვის დაწესდება საწევრო გადასახადი, რომელიც მცირე, თითქმის სიმბოლური თანხა იქნება, მაგრამ აუცილებლად გადასახდელი. ასე რომ, ამიერიდან საქართველოს სარაგბო ჩემპიონატში ის გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც საწევრო და საჩემპიონატო შესატანების გადახდის თავი ექნება. ვერ შეძლებს გადახდას, ვერც ითამაშებს — ასეთია რაგბის კავშირის პოზიცია.

მომავალი ჩემპიონატის დაწყების დროდ კავშირმა 2000 წლის აგვისტოს ბოლო — სექტემბრის დასაწყისი დათქვა. პირველობა ორ, შემოდგომა-გაზაფხულის ეტაპად გაიმართება. ამით უფრო მივუახლოვდებით მსოფლიოს სარაგბო პრაქტიკას. თანაც, ესეც არ იყოს, საქართველოს პირობებში ასე უმჯობესია. ხომ წარმოგიდგენიათ, ივლისში, გადახრუკულ მოედანზე (წესიერი მაინც გვქონდეს), პაპანაქება სიცხეში, როგორია რაგბის თამაში. მანამდე დარჩენილ დროს კი უქმად არ დაკარგავენ და საორგანიზაციო საქმეებს მოაგვარებენ. პირველ რიგში ეს მსაჯების მომზადებას ეხება.

რაგბის კავშირი არც მოთამაშეებს ამყოფებს უქმად — საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე სხვადასხვა სახის ტურნირები გაიმართება. შესაძლოა, ეს იყოს საქართველოს თასის გათამაშება, ან რაიმე სხვა. იქნებ რეგიონალური ტურნირებიც ჩატარდეს. ასე რომ, მორაგბეებს სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდებათ.

სიტყვამ მოიტანა და საქართველოს რეგიონების პირველობების ჩატარებას რაგბის კავშირი მხურვალედ მიესალმება და ყოველნაირ დახმარებას და ხელშეწყობას აღუთქვამს. რაგბის კავშირში ასე ფიქრობენ: ნებისმიერი ტურნირი, რომელიც რეგიონული კავშირის ეგიდით ჩატარდება, მხოლოდ და მხოლოდ აამაღლებს ამ რეგიონის სარაგბო დონეს. უფრო მეტ ბავშვს მიიზიდავს სპორტის ამ სახეობაში და უფრო მეტი გუნდი შეიქმნება.

ეროვნულ გუნდზე დანამდვილებით ერთი რამაა ცნობილი. ნაკრებს ყველასთვის კარგად ცნობილი კლოდ სორელი გაწვრთნის. მოთამაშეებს ფრანგი სპეციალისტი ძირითადად ლეგიონერებიდან აარჩევს. თუ ვის, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ალბათ, შვიდკაცა რაგბის ტურნირში მონაწილეები დიდ ნაკრებშიც ითამაშებენ, რომელიც 6 ერის პირველობაზე, B ჯგუფში მონაწილეობისთვის მოემზადება. ამ ეტაპზე ნაკრების და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის უპირველესი მიზანი ზემოხსენებულ ტურნირზე წარმატებით გამოსვლაა.

თუმცა, სანამ ყრილობა არ გამართულა, ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია. მერე შეიძლება რაიმე შეიცვალოს, თუმც რაღაც-რაღაცეები უკვე ახლავე გამოკვეთილია.

ასე რომ, ჯობს, ყრილობას დაველოდოთ, რომელიც ყველაფერს დაალაგებს და თავის სახელს დაარქმევს.

ზურა ბენიძე


REUTERS

პრეზიდენტი და სპორტი: ანდრე აგასი, ბილ კლინტონი და სერენა უილიამსი

# ჩემპიონები ოვალურ კაბინეტში

აშშ-ის სკანდალური პრეზიდენტი ბილ კლინტონი სპორტის დიდი მოყვარულია და მავანი სტაჟიორების გარდა თავისთან, თეთრ სახლში ხშირად გამორჩეულ ჩემპიონებსა და გუნდებსაც ეპატიჟება.

მსგავსი პატივის ღირსი სხვადასხვა დროს გამხდარან NBA-სა და NHL-ის, ბეისბოლისა და ამერიკული ფეხბურთის ლიგების მომგები კლუბები, „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ველომრბოლი ლანს არმსტრონგი და სხვები, თუმცა ჩოგბურთელებისთვის პრეზიდენტის გადატვირთულ გრაფიკში ბოლო ხანებამდე დრო თითქმის არ მოიძებნებოდა.

სიტუაცია ამ შემოდგომაზე ოდნავ შეიცვალა: როდესაც სერენა უილიამსმა სექტემბერში აშშ-ის ღია პირველობაზე იმარჯვა და პირველი „მეიჯორის“ მომგები შავკანიანი ამერიკელი ქალი გახდა 1958 წლიდან, მისალოცად კლინტონმა ახალი ზელანდიიდან დაურეკა და ვაშინგტონში სტუმრადაც მიიწვია.

თუმცა სერენას გარდა პრეზიდენტმა ამჯერად როლან გაროსისა და აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასიც გამოარჩია, რომელიც დემოკრატიული პარტიის დიდ მხარდამჭერადაც ითვლება.

ხოტორა ანდრე და უჩვეულო ვარცხნილობით, სარჭების გარეშე, მხრებამდე სწორ თმებში გამოცხადებული 18 წლის უილიამსი კლინტონს ოთხშაბათს ესტუმრნენ ოვალურ კაბინეტში. პრეზიდენტი, რომელიც ამ დღეს ისრაელს და სირიას შორის მშვიდობიან მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდა, ჩოგბურთელებს პირისპირ კარგა ხანს ესაუბრა და საჩუქრად სურათებიან-ავტოგრაფებიანი დაფაც მიიღო.

მოგვიანებით სერენამ ჟურნალისტებს გაანდო, რომ კლინტონზე არანაკლებ თეთრი სახლის ავეჯითა და ხელოვნების ნიმუშებით მოიხიბლა: „შესანიშნავი დრო გავატარე. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ თეთრ სახლს ამხელა ისტორია ჰქონდა. მთელი დიზაინი, ინტერიერი ძალიან ლამაზი და კარგად მოწყობილი იყო.“

რაც შეეხება ახალ ვარცხნილობას, უმცროსი უილიამსის თქმით, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა თავის დასაცავად: „სარჭებით ვერსად ვერ დავდივარ, ყველა მცნობს. ასე შედარებით თავისუფლად ვგრძნობ თავს და ბაზრობაზე მაინც ვახერხებ ხოლმე შევლას.“

აგასიმ კი განაცხადა, რომ უკვე მომდევნო სეზონისთვის აც დაიწყო მზადება: „ამჟამად ჩემს მონაგარს ვათვალიერებ, ეს წელი ხანგრძლივი და მძიმე იყო. ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ და არაფერი მაწუხებს. სტიმული კი ისევ გამაჩნია — მომავალ სეზონს სისაუკეთესო ფორმაში უნდა შევხვდე და კიდევ ბევრსაც მივაღწიო.“

თავის გეგმებზე ისაუბრა სერენამაც, რომლის კერპი აგასის მთავარი მეტოქე პიტ სამპრასია: „შევეცდები, გაისად ერთი-ორი დიდი სლემის ტურნირი კიდევ მოვიგო. ამისთვის ბევრი შრომა მომიწევს, თუმცა მწამს, რომ შევძლებ.“

ამავე დროს ჩვეულებრივ ზედმეტად მჭერმეტყველმა და მოურიდებელმა სერენამ კლასიფიკაციის თაობაზე პროგნოზის გაკეთებისგან თავი შეიკავა: „ვინ იცის? ყველას დიდი ბრძოლა ელის და ამ ომში მეც ვიბრძვი. ისე, საინტერესოა, იმ წლის ბოლოს პირველი ჩოგანი ვინ იქნება.“

# ჩოგბურთი მშვიდობის სამსახურში

კუბისა და აშშ-ის პოლიტიკოსებს შორის მოციქული უკვე კარგა ხანია, მარტო ტყვიაა, თუმცა ამ ბოლო ხანებში მოქიშპე ქვეყნებს შორის სპორტულ-კულტურული ზავი მაინც დამყარდა.

იმ დროს, როდესაც ფიდელის კუნძულსა და იმპერიალისტურ მონსტრს შორის მეტად დაძაბული ურთიერთობაა, კუბას ორი ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი — აყლაყუდა პემ შრაივერი და შავკანიანი ზინა ჰარისონი ეწვია ზეთისხილის რტოებით, ჰავანაში წყვილებში ამხანაგური მატჩის გასამართად.

„ჩოგბურთს შეუძლია, მეგობრული ხიდის როლი შეასრულოს შეერთებული შტატებისა და კუბის ხალხს შორის“ — მაღალფარდოვნად განაცხადა პრესკონფერენციაზე შრაივერმა. ამ დღეებში ჰავანა აშკარად ანტიამერიკულად არის განწყობილი. იგი 6 წლის კუბელი ბიჭის, ელიან გონსალესის გადაცემას ითხოვს, რომელიც აშშ-ის ნაპირებთან ჩაძირული გემიდან გადარჩა და კონტინენტზე დაიტოვეს. თავად ბიჭს ვინძლო „ძირმომპალ“ კაპიტალისტურ სამყაროში დარჩენა ერჩივნოს კიდეც, მაგრამ კუბის დედაქალაქის ქუჩებში გასული, მისი დაბრუნების მოსურნე ათიათასობით ადამიანი საპროტესტო აქციებს მართავს.


ზინა ჰარისონი

ერთი სიტყვით, ჩოგბურთელების სტუმრობას კუნძულელები არ ელოდნენ და აქაურმა სპორტის მოყვარულებმა ძალიანაც გაიხარეს. კრივში, მძლეოსნობასა და ბეისბოლში მიღწეული დიდი წარმატებების მიუხედავად, კუბელები ხომ ჩოგბურთში ჯერჯერობით არაფრით გამორჩეულან.

ამხანაგური მატჩების დროს ამერიკელები ბადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. იოანი მონტესინოსთან ერთად შრაივერმა ერთი სეტი 6:2 მოიგო, მეორეში კი გარისონმა და იანეტ ნუნიესმა 7:6 იმარჯვეს.

„ჩვენ ძალიან გვინდა, კუბელებთან საჩოგბურთო თანამშრომლობა გავაგრძელოთ. იმედი გვაქვს, ეს ვიზიტი პირველი და უკანასკნელი არ იქნება“ — აღნიშნა ჰარისონმა.

გარდა მატჩისა, ამერიკელებმა ორიდღიანი სტუმრობისას კუბელი ბავშვებიც გაავარჯიშეს, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს კი სხვადასხვა რჩევები და ავტოგრაფები ჩამოურიგეს.

**ავთანდილ სვანიძე**





# მართლა ცალი ხელით

გეშინოდეთ კობა გოგოლაძის ცაციისო, აფრთხილებდა ამასწინათ ბრიტანული გაზეთი „BOXING NEWS“ ევროპელ მოკრივეებს. კობას მარცხენის ძალა საკუთარ თავზე გამოსცადა ბელგიელმა პასკალ მონტელიემაც, რომელთან ბრძოლაში ჩვენებურმა ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ქამარი მოიპოვა. გოგოლაძემ ორჯერ აწვნია მონტელიეს ნოკდაუნი და ორჯერვე მარცხენა ხელით, თუმცა ჩამოსვლისას გვითხრა — ისეთი ტკივილი ვიგრძენი, მეგონა, მაჯა მომტყდა, საბედნიეროდ, მხოლოდ ნალრძობი აღმოჩნდაო. თბილისში ჩამოსულმა ექიმებს რომ მიაკითხა, სწორედ მოტეხილობა დაუდგინეს. დამაიმედეს, ორ კვირაში მოგარჩენთო — გვითხრა კობამ და დაამატა — ხელმოტეხილმა ათი რაუნდი როგორ მოვიგე, ძალიან მიკვირსო.

# ნასიმი ძველ გზაზე

კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა გადაწყვიტა, რომ ჩემპიონის ქამარი ჩამოართვას ბრიტანელ „პრინც“ ნასიმ ჰამედს, რომელმაც იგი ოქტომბერში მოიპოვა სესარ სოტოსთან დეტროიტში მოგებული ბრძოლის შედეგად. 126-გირვანქიანი დივიზიონის უპირობო მეუფე ნასიმ ჰამედი ამერიკაში სწორედ ამ პრესტიჟული ქამრის მოსაპოვებლად ჩავიდა და სოტოს ქულებით სძლია. საერთოდ, ეფექტურ ჰამედს იმ ჯერზე ჯიგრიანი ბრძოლა არ გამოუვიდა, მაგრამ ქულებით მაინც იმარჯვა და ქამარიც აართვა ჩემპიონს.

სულეიმანის გადაწყვეტილება არავის გაკვირვებია. საქმე ისაა, რომ ჰამედი კარგა ხანია გახლავთ ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონი, ეს საკრივო დაწესებულება კი (სხვათა შორის, არაპრესტიჟული ოკეანის გაღმელთათვის) კარგა ხანია კონფლიქტშია საბჭოს, ფედერაციის (იბფ) და ასოციაციის (ვბა) უფროსებთან. მიზეზი კონფლიქტისა არის ჩხუბის წესების თავისებური ხერხები. უფრო კი ქულათა დათვლის კომპიუტერული სისტემა, რომელშიაც ადამიანს არ რევენ. ამას არა და არ სცნობენ ბობოლა საკრივო დაწესებულებანი, რომელთაგან ერთ-ერთი საბჭო გახლავთ. ამიტომ, სულეიმანი თავიდანვე მოლაპარაკებია ჰამედს, თუ ჩვენს ქამარს მოიგებ, თხუთმეტ დღეში ორგანიზაციის ქამარი უნდა დათმოო. „პრინცი“ დათანხმებია, მაგრამ ყველამ კარგად იცის, თუ რა ძვირფასია მისთვის ორგანიზაციის ტიტული, რომელიც კარგა ხანს იყო ერთადერთი ჯილდო ამ დიდებული მოკრივისთვის.

ამიტომ, ნასიმს უარი უთქვამს — უფრო საბჭოს ქამარს დავთმობ, ვიდრე ორგანიზაციისასო.

„ნასი კარგი ბიჭია“ — განუცხადებია სულეიმანს — „ეგებ მომავალში კიდევ გადაიკვეთოს ჩვენი გზები, მაგრამ ახლა... ჩვენ ვერ ვაღიარებთ ორგანიზაციის წესებს“.

ასე რომ, საბჭო ახალ საჩემპიონო ბრძოლებს გეგმავს.


ნასიმ ჰამედმა ერთი ქამარი უნდა დათმოს




ტრიუმფს ნაჩვევ ედი მერქსს ესპანელებმა ამაგი არ დაუკარგეს

# ესპანელებმა მერქსი ინდურაინს არჩიეს

ესპანეთში წარსულში ცნობილმა ველომრბოლებმა და მწვრთნელებმა საგანგებოდ მოწყობილ საფიხვნოზე გადაწყვიტეს, დაესახელებინათ საუკუნის საუკეთესო ველოსიპედისტი. ველოსპორტის ესპანელ ქომაგთა გასაკვირად, სპეციალისტებმა ეს საპატიო ტიტული ბელგიელ ედი მერქსს მიაკუთვნეს. რა თქმა უნდა, ამ გამოკითხვასა და მის შედეგში სენსაციური არაფერია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ გამოკითხვაში მხოლოდ ესპანელები მონაწილეობდნენ. მათ კი რატომღაც დაავიწყდათ თუ დაივიწყეს დიდი მიგელ ინდურაინი, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში, ვისაც ზედიზედ ხუთჯერ მოუგია ტურ დე ფრანსი.

25-დან 22 გამოკითხულმა ხმა მერქსს მისცა (მანაც ხუთჯერ მოიგო ტურ დე ფრანსი მცირე შესვენებებით), ორმა იტალიელ ფაუსტო კოპის (2 გამარჯვება ტურზე და ხუთიც ჯიროზე) და მხოლოდ ერთმა, ესპანეთის ეროვნული გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა პაკო ანტეკუერამ ამოიღო ხმა თანამემამულის სასარგებლოდ.

**ირაკლი ბერიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჰერმინატორს ხელთათმანი გადაუგდეს



ჰერმან მაიერის არყოფნაში ფინ იაგემაც გაიხარა

ერთობ შეხმატკბილებული გამოუვიდათ წლევანდელი სპორტული სეზონი ველოსიპედისტებსა და სამთომოთხილამურეებს. უკვე მერამდენედ, ამჯერად უკვე იტალიაში, მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურენი იმეორებენ ველოსიპედისტების მიერ ამ ზაფხულს გავლილ მთიან ეტაპებს. რიგით მესამე მთის სახელია მადონა დი კამპილიო (ჯირო დიტალიის ერთ-ერთი მთიანი ეტაპი). სპეციალურ სლალომში (ტრასის სიგრძე 300-დან 1000 მეტრამდე მერყეობს და სხვა დისციპლინებთან შედარებით ყველაზე მოკლეც არის და ყველაზე დახლართულიც) კარიერაში მეშვიდედ გაიმარჯვა 33 წლის ნორვეგიელმა ფინ იაგემ. მეორე ადგილზე გავიდა ავსტრიელი ბენჟამინ რაიხი, მესამეზე მისი თანამემამულე ტომას შტანგესინგერი. მსოფლიო თასის ლიდერმა ჰერმან მაიერმა ზურგის ტრავმის გარდა ტვინის შერყევაც აიკიდა და, როგორც ჩანს, გამართლდება ნორვეგიელი ლასე კიუსის, სხვათა შორის, თასის შარშანდელი მფლობელის, მუქარა — გადავალთ ევროპაში და მერე ვნახოთო.

**ირაკლი ბერიაშვილი**



# პიტსბურგში სუფრული განწყობაა: ერთმანეთს აქებენ

15 დეკემბერი

**რეინჯერსი — ლოს ანჯელესი 8:3**

6:0 2:0 0:3

1:0 პარვი 4'58 (2); 2:0 ტეილორი 13'45 (6); 3:0 პარვი 14'28 (3); 4:0 მაკლინი 16'46 (2); 5:0 ნაბლი 17'46 (6); 6:0 ფლერი 18'43 (7); 7:0 იორკი 21'45 (9); 8:0 მაკლინი 35'04 (3); 8:1 რ. ბლეიკი 40'37 (11); 8:2 ტუომაინენი 46'54 (6); 8:3 პალფი 47'02 (13)

**ატლანტა — ვაშინგტონი 0:4**

0:4 0:0 0:0

0:1 კონოვალჩუკი 1'47 (8); 0:2 ოუთსი 6'57 (3); 0:3 მირონოვი 15'13 (2); 0:4 ბულისი 16'27 (8)

**კაროლინა — პიტსბურგი 3:6**

0:3 1:1 2:2

0:1 იაგრი 4'23 (23); 0:2 ჰრდინა 8'23 (3); 0:3 ჰრდინა 12'37 (4); 1:3 ონეილი 27'45 (12); 1:4 იაგრი 39'32 (24); 2:4 რანჰეიმი 42'13 (3); 3:4 ფრენსისი 44'33 (7); 3:5 როსჟივალი 46'34 (1); 3:6 ტიტოვი 54'36 (10)

**დეტროიტი — ედმონტონი 5:1**

3:0 2:0 0:1

1:0 შენაჰანი 8'02 (16); 2:0 ვერბიკი 14'27 (4); 3:0 რესტი 18'05 (4); 4:0 ბრაუნი 32'21 (5); 5:0 ბრაუნი 39'35 (6); 5:1 გერინი 53'35 (6)

**ფლორიდა — ნეშვილი 3:2**

0:1 2:0 1:1

0:1 ჯონსონი 13'27 (6); 1:1 უიტნი 36'30 (11); 2:1 სტიუარტი 37'04 (3); 2:2 რონინგი 44'28 (14); 3:2 ბურე 48'36 (15)

**ტორონტო — აილენდერსი 5:1**

1:0 2:0 2:1

1:0 ჰოგლუნდი 4'05 (16); 2:0 დომი 23'44 (2); 3:0 ტომასი 39'27 (6); 4:0 ჰოგლუნდი 44'45 (17); 5:0 ბერარდი 55'11 (2); 5:1 ლაპუანი 55'28 (4)

**დალასი — კალგარი 5:1**

2:0 1:0 2:1

1:0 სკრუდლენდი 3'30 (1); 2:0 ნუინდაიკი 12'15 (9); 3:0 ნუინდაიკი 39'27 (10); 4:0 ზუბოვი 41'02 (5); 4:1 ბურე 52'56 (17); 5:1 მოდანო 54'09 (11)

**კოლორადო — ანაჰაიმი 2:4**

0:1 1:2 1:1

0:1 ნილსენი 12'29 (3); 1:1 დრური 21'21 (9); 1:2 ნილსენი 22'26 (4); 1:3 დონატო 31'45 (5); 2:3 ოზოლინში 56'45 (7); 2:4 სელიანე 54'30 (14)

ლოსანჯელესელებს, ალბათ, ერჩივნათ, შინ დარჩენილიყვნენ და ნიუ იორკში ასეთი სირცხვილი არ ეჭამათ. მათ ეს ორდღიანი კოშმარი, უეჭველია, კარგა ხანს არ დაავიწყდებათ. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის წარმატებული საგარეო სერია („მეფეებს" სტუმრად ყველაზე მეტი — 21 ქულა ჰქონდათ მოგროვებული) ჯერ ნიუ ჯერსიმ 1:7-ით შეწყვიტა, მერე კი რეინჯერსმა შეარცხვინა. გუნდმა, რომელსაც ბოლო ოთხი წელია, ასეთი შედეგიანობა არ უჩვენებია.

მართლაც ვერაფერს იტყვი, „რეინჯერები" შეუჩერებელნი იყვნენ. თავიდან სტუმრებს თავს ლაფის დასხმის თითქოს არაფერი ეტყობოდათ, მაგრამ პირველი პერიოდის ბოლო ექვს წუთში ნამდვილი უბედურება დაატყდათ თავს — ამ შუალედში ხუთი შაიბა გაუშვეს! რეინჯერსმა წაუგებელი სერია 5 მატჩამდე გაზარდა, მისი ათასგზის გაკრიტიკებულ-გაქილიკებული მწვრთნელი ჯონ მაკლერი კი მოგებამ ბაქიაობის ხასიათზე მოიყვანა, ექვსდღიანი დასვენების შემდეგ ამას ველოდიო.

არანაკლებ გახარებულნი და თავდაჯერებულნი ჩანდნენ პიტსბურგელები. კაროლინას დამაჯერებელი ძლევის შემდეგ ისინი ერთმანეთისთვის ქათინაურებს არ იშურებდნენ. „იაგრი მაინც იაგრია. დღეს იგი ლამის ფრენდა" — გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჰერბ ბრუქსმა, ცხადია, „პინგვინთა" მთავარი ვარსკვლავი გამოარჩია, რომელმაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ შეაქო ახალი თავკაცი სწორი სათამაშო ტაქტიკისთვის. არცთუ ტყუილად — ბრუქსის ხელმძღვანელობით პიტსბურგელებმა უკვე მეოთხე მატჩი მოიგეს, ძალიან შედეგიანად და შინაარსიანად ითამაშეს და პირადი რეკორდებიც დაამყარეს. იაგრმა კარიერაში მეოთხედ დააგროვა 5(2+3) ქულა. თანაც 50-ქულიანი ზღვარიც გადალახა. თავი გამოიჩინეს მისმა ახალგაზრდა თვისტომებმაც — იან ჰრდინამ (2+1) და მიხალ როსჟივალმა (ლიგაში პირველი გოლი).

თუ პიტსბურგი კვლავ იხსენებს ოდესღაც ჩვეულ შემტევ ჰოკეის, დეტროიტი უკვე მერამდენე წელია, ამ სტილს არ ღალატობს. ამიტომაცაა, რომ „წითელფრთიანთა" მიერ ერთ მატჩში ოთხი, ხუთი ან მეტი გოლის გატანა აღარავის აკვირვებს. ახლა მათ ედმონტონი აიგდეს აბუჩად და ხუთი შაიბა რომ შეუგდეს, მერეღა მოდუნდნენ. აქედან ორი ტრავმამოშუშებულმა დუგ ბრაუნმა მიითვალა. ხელცარიელი არც „შავ მუშათა" ახალგაზრდული ბრიგადა დარჩა — გოლი სტეისი რესტმაც გაიტანა.

გატანილი გოლების რაოდენობით დეტროიტს ტორონტო თუ გაეჯიბრება. კანადელთა ახალწვეულმა იონას ჰოგლუნდმა კიდევ უფრო გააძლიერა გუნდის თავდასხმა და მატს სუნდინთან ერთად მის წამყვან ძალად იქცა. შვედმა მორიგი ორი შაიბით გაიმდიდრა აქტივი და ახლა 17-ს ითვლის.

ყველაზე უჩვეულო კი კოლორადოსა და ანაჰაიმის შეხვედრა გამოდგა. უჩვეულო იმით, რომ მასპინძლებმა, რომლებიც ბოლო პერიოდში ერთშაიბიანი სხვაობით აგებდნენ, მატჩის გადასარჩენად ძველებურ, მრავალნაცად ხრიკს მიმართეს — აქაოდა, ტეემუ სელიანესა და მეკარე დომინიკ რუსელს ყვანჯებს ცხვირი აწეული აქვსო, მსაჯებს ყველაფრის გაზომვა და დაზუსტება მოსთხოვეს. თუმცა მოპოვებული ორკაციანი უპირატესობით კოლორადოელებმა ვერ იხეირეს. მეტიც, ჯარიმამოხდილმა სელიანემ მათ ბოლო იმედიც გადაუწურა.

ყვანჯის გამო დაისაჯა ფლორიდის მეკარე მიხაილ შტალენკოვიც და ამით ლამის მისმა გუნდმაც იზარალა, თუმცა უმცირესობაში დარჩენილ „პანტერებს" დამსახურებული ორი ქულა თავად გოლკიპერმა შეუნარჩუნა — მან ნეშვილელთა რამდენიმე შეტევა მოიგერია. ისე, შტალენკოვს ბედმაც გაუღიმა. ფლორიდელთა ძირითადი მეკარე ტრევორ კიდი ერთ-ერთ ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა და თავისი ადგილი უნებლიედ რუსს გადაულოცა.





REUTERS ნიუ იორკიდან

რეინჯერსელმა კევინ სტივენსმა (17) კინაღამ ყვანჯზე წამოაგო ლოსანჯელესელი ბრაიან სმოლინსკი

# ეს კაცი გმირია

## ბრუქსმა თავის დროზე საბჭოთა კავშირი დაამარცხა

ასე ვერ გაგრძელდებოდა: წარმოუდგენელი იყო, გუნდს, რომელშიც იარომირ იაგრი ასპარეზობს და რომლის მფლობელიც წლეულს მარიო ლემიე გახდა, მეტოქის შეცდომებზე ჩასაფრებულს, ფრთხილად ეთამაშა. ბოლოს და ბოლოს სუპერმარიომ მოთმინება დაკარგა და ამ ტაქტიკის იდეოლოგს, გუნდის მთავარ მწვრთნელ კევინ კონსტანტინს მთელი თავისი შტაბით კარისკენ მიუთითა. კონსტანტინის სათამაშო სტილს ლემიემ მოსაბეზრებელი და უნაყოფო უწოდა.

გუნდის ახალი მწვრთნელი, ცნობილი სპეციალისტი ჰერბ ბრუქსი შორეულ 1980 წელს ზამთრის ოლიმპიადაზე აშშ-ს ნაკრებს წვრთნიდა და გადამწყვეტ მატჩში თვით სსრ კავშირის ნაკრებს სძლია. ამ მატჩს ჟურნალისტებმა „სასწაული ყინულზე" უწოდეს, ხოლო ბრუკსი ეროვნულ გმირად იქცა. პირველივე პრესკონფერენციაზე ბრუქსმა განაცხადა, გუნდი მაღალტემპიან, აგრესიულ და ამასთანავე გონივრულ ჰოკეის ითამაშებსო და ისე ყველაფერი კარგი ახლავს, როგორც მისი სიტყვები გამართლდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ასეა.

საინტერესოა, რომ ბრუქსი ბოლოს 1992-93 წლების სეზონში მუშაობდა ნიუ ჯერსიში, ხოლო მანამდე, 1985 წელს, რეინჯერსიდან პიტსბურგის ამჟამინდელმა გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა დაითხოვა.



ჰერბ ბრუქსმა პინგვინები მალე მოათვინიერა

# დათვებს მუშტების იმედი აქვთ

ბოსტონი კვლავ ცდილობს, შემადგენლობაში რაც შეიძლება მეტი გამოცდილი მოთამაშე ჰყავდეს. გუშინწინ „დათვებმა" ვეტერანი მარტი მაკსორლი შეიმატეს. ეს ის მაკსორლია, რომელიც 80-იანი წლების დიდებული ედმონტონის წევრი იყო და უეინ გრეცკის დამცველის მოვალეობას ჩინებულად ასრულებდა.

ბოლო წლების ნჰლ-ის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა „პოლიციელმა" წინა სეზონი ისევ თავის მშობლიურ ედმონტონში ჩაამთავრა, 46 თამაშში სულ 5 (2+3) ქულა მიითვალა, სამაგიეროდ, არაერთხელ მოუწია გათამამებულ მეტოქესთან ანგარიშსწორებამ, რაც, ალბათ, არც ბოსტონში მოაკლდება, მით უმეტეს, რომ კლუბის ტანმორჩილ ლიდერებს მეტოქენი ხშირად ჩაგრავენ.

36 წლის მცველმა ბოსტონთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კიდევ ორ ხანდაზმულს — სახელოვან რეი ბურკსა (39) და დონ სუინის (33) შეუერთდა.



მარტი მაკსორლი

ლიგაში 17 სეზონის განმავლობაში ასპარეზობისას მაკსორლიმ 3319 საჯარიმო წუთი მოაგროვა, რაც ნჰლ-ის ისტორიაში მე-3 შედეგია. გარდა ამისა, მცველი „საუკუნის შერიგების" ერთ-ერთი მონაწილე იყო. 1988 წელს მარტი, აბა, უეინ გრეცკის როგორ დაშორდებოდა და, მასთან ერთად ლოს ანჯელესში გადავიდა.

**სამველ ლარიბიანი**


ვყიდი
„ფიშერის" უხმარ თხილამურებს (180 სმ)
და „უნივექსის" სათვალეს
☎ 69 19 39

# რა ქნას ბერძენიშვილმა?
## ნაკრები ან ჯანმრთელობა

როგორც იქნა, დავით ბერძენიშვილის უიღბლობასაც მოეღო ბოლო. უმძიმესი ტრავმის გამო ზუსტად სამთვენახევარი გაუცდა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და სლოვაკური „ლევიცეს" ცენტრს და გასულ უქმეებზელა მიეცა მოედანზე დაბრუნების საშუალება. სლოვაკური ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში „ბანსკა ბისტრიცას" წინააღმდეგ მწვრთნელებმა ქართველი ლეგიონერიც შეიყვანეს „ლევიცეს" განაცხადში და ათამაშეს კიდეც.

გუშინ დავით ბერძენიშვილს შინ, სლოვაკეთში დავუკავშირდით. ჩვენი ბოლო საუბრებისგან განსხვავებით, ბერძენა ჩინებულ ხასიათზე გახლდათ...

— ასეთი გახარებული, მგონი, არასდროს ვყოფილვარ. ბოლოს უკვე სიგიჟემდე ვიყავი მისული, ისე მინდოდა თამაში.

**— ჩვენც ძალიან გაგვიხარდა თქვენი მოედანზე დაბრუნება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამას ჯერ არ ველოდით. თავადაც ხომ ამბობდით, თამაშს ახალი წლის შემდეგ დავიწყებო...**

— ასე ვფიქრობდი, მაგრამ ექიმების რჩევას დავუჯერე. უკანასკნელად რომ გამსინჯეს, მითხრეს, ძვლები უკვე გამთელებულია და თამაშს ნელ-ნელა შეუდექი, თორემ მერე შეიძლება მკლავი გაგიზარმაცდეს, დაკომპლექსდე და უფრო გაწვალდებიო.

**— ამდენი ხნის უთამაშებელი ფსიქოლოგიურადაც დათრგუნული იქნებოდით. არ გაგიჭირდათ?**

— ბავშვივით ვიყავი, თავს ველარ ვაკონტროლებდი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ამდენი ხანი ციხეში ვიყავი და ახლა გამომიშვეს.

**— მაინც რატომ გარისკეს მწვრთნელებმა თქვენი შეყვანა, ხომ არ გაუჭირდა „ლევიცეს"?**

— პირიქით, ძალიან სუსტი მეტოქე იყო, სულ ვუგებდით. მეორე ტაიმში აღარც იყო ბრძოლა, მეც მაშინ შემიშვეს მოედანზე, თან გამაფრთხილეს, ორთაბრძოლებს მოერიდეო.

**— კმაყოფილი დარჩით საკუთარი თამაშით?**

— ათ წუთში თორმეტი ქულა გავაკეთე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ჩემთვის სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანი იყო, მაინტერესებდა, თამაშის რიტმში თუ ჩავჯდებოდი, სროლას თუ მოვახერხებდი.

**— როგორ ატყობთ, შეძლებთ უკვე სრული დატვირთვით თამაშს?**

— სირბილისას, მოძრაობისას მკლავი საერთოდ აღარ მაწუხებს, მაგრამ სროლა ჯერჯერობით მიჭირს. ბურთსაც ვერ ვგრძნობ ისე, როგორც უწინ, თითქოს ჩემი ხელი არ იყოს. ალბათ, ამასაც თანდათან მოევლება.

**— მხარში კვლავ მეტალი გიდგათ?**

— ამ ეტაპზე ეს აუცილებელია. გაზაფხულზე კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება მომიწევს და მეტალსაც მაშინ ამომიღებენ. დიდხანს გაჩერება თურმე არ შეიძლება. სახიფათო ყოფილა, შეიძლება ძვალი რკინას შეუხორცდეს.

**— ეგ ვერ არის კარგი ამბავი, მაისში ხომ ნაკრებს თამაშები უწევს. შეძლებთ, ახალნაოპერაციევი ეროვნულ გუნდს დაეხმაროთ?**

— ამაზე მეც ძალიან ვნერვიულობ. ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე, როგორ უფრო აჯობებს. აქაური ექიმები მეუბნებიან, ოპერაცია მაისს არ უნდა გადავაცილოთო, არადა, სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. სულ ახლახან ნაკრების ხელმძღვანელობასაც ვესაუბრე და სანუგეშო მათაც ვერაფერი მითხრეს, შენი იმედი გვაქვსო, მეუბნებიან. რა ვქნა, არ ვიცი.

**— თუკი ეგ ოპერაცია თქვენი შემდგომი კარიერისთვის გადამწყვეტია...**

— გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, ვერაფერს ვფიქრობ.

**— „ლევიცეს" როგორ მიუდის ჩემპიონატში საქმეები, დაიბევეთ ექვსეულში თამაში თუ ჯერ ვერა?**

— ამჟამად სწორედ მეექვსეზე ვართ. ოთხ გუნდს თანაბარი ქულები გვაქვს და ექვსეულში შესაღწევად ბრძოლა ჩვენს შორის გაიმართება. უახლოეს მომავალში ორი პრინციპული თამაში გველის, შინ ბრატისლავის „ინტერთან" და სტუმრად „სვიტთან". ერთიც რომ მოვიგოთ, ოთხმოცდაათი პროცენტით ექვსეულში ვართ. რამენაირად უნდა მოვახერხოთ ამის გაკეთება.

**გიორგი ბიძაშვილი**

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. X ტური. 1[illegible] დეკემბერი

**A ჯგუფი**

ცრვენა ზვეზდა 56:64 შოლე
ბენეტონი 61:81 ცსკა

**B ჯგუფი**

ოლიმპია 76:64 ჟალგირისი
რეალი 77:73 თოფაში
პანათინაიკოსი 70:72 ალბა

**C ჯგუფი**

პივოვარნა 84:95 ულკერი
ვილერბანი 70:65 მაკაბი
ვარეზე 57:74 ოლიმპიაკოსი

**D ჯგუფი**

ბუდუჩნოსტი 88:65 კახა სან ფერნანდო



AFP ვილეურბანიდან

ვილერბანი — მაკაბი 70:65. მაკაბელ არიელ მაკდონალდს (№14) მარლონ მაქსი მეურვეობს

რეგულარული ჩემპიონატი

# ცერი ხელს აღარ უშლის

15 დეკემბერი

**ბოსტონი 86:96 იუტა**

ბოსტონი: უოლკერი (36 ქულა, 12 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (27)

**ინდიანა 102:91 ჩიკაგო**

ინდიანა: კროშერი (22), სმიტსი (19), მილერი (18)
ჩიკაგო: ვილუბი (21)

**შარლოტი 103:98 მინესოტა**

შარლოტი: კოულმენი (20), მეისონი (16 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი)
მინესოტა: სილი (27), გარნეტი (17 ქულა, 20 მოხსნა, 6 პასი)

**ნიუ ჯერსი 111:101 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (27), მარბერი (23)
კლივლენდი: კემპი (36), პერსონი (22)

**ორლანდო 99:116 მილუოკი**

ორლანდო: გეტლინგი (14 ქულა, 11 მოხსნა)
მილუოკი: ალენი (29), რობინსონი (25)

**ფილადელფია 93:91 ტორონტო**

ფილადელფია: აივერსონი (37)
ტორონტო: კარტერი (19), მაკგრეიდი (18)

**სან ანტონიო 83:77 ჰიუსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 10 მოხსნა)
ჰიუსტონი: ფრენსისი (24)

**ვანკუვერი 106:109 საკრამენტო**

ვანკუვერი: ბიბი (26 ქულა, 11 პასი), დიკერსონი (22), აბდურ-რაჰიმი (10 ქულა, 15 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (21 ქულა, 13 მოხსნა)

ჩემპიონი „სან ანტონიო" არცთუ საუკეთესო ფორმაშია. შარშანდელი ტრიუმფატორი საკმაოდ ხშირად კი იგებს თამაშებს და მოგება-წაგებების ბალანსიც არა აქვს ურიგო, მაგრამ „სფურზი" მისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქით ველარ ჩაგრავს მეტოქეებს. ყველა ბოლომდე იხარჯება მასთან ბრძოლაში და ჩემპიონსაც თითოეული გამარჯვებისთვის საკმაოდ უწევს ოფლის ღვრა. „სან ანტონიო" აშკარად გადაღლილია. ეს ალბათ კალენდარის ბრალიცაა, რომლის მიხედვითაც ერთბაშად რვა თამაში ჩაატარა სტუმრად და წაგებების დიდი ნაწილიც ამ ტურნეს დროს დაუგროვდა.

ამ ოთხშაბათს „სან ანტონიო" გვარიანად დასუსტებულ „ჰიუსტონ როკიტსს" ხვდებოდა და, რაღა თქმა უნდა, მოიგო კიდეც, მაგრამ ასეთ თამაშში არც მისი დამარცხება იქნებოდა გასაკვირი.

კალათბურთს თავი დაანება ჩარლზ ბარკლიმ, ჯერაც ვერ თამაშობს ნაოპერაციევი ჰაკიმ ოლაჯუონი, მაგრამ ამ ბებერი ვარსკვლავების გარეშე დარჩენილმა „ჰიუსტონმაც" კი შეუქმნა პრობლემები „სან ანტონიოს". გუნდის შეტევებს კარგად უძღვებოდა ახალბედა სტივ ფრენსისი, რომელიც ახლა „როკიტსის" ერთპიროვნული ლიდერია. სტუმრები ბოლო მეოთხედის დაწყებამდე შვიდი ქულით იყვნენ წინ. ანგარიში 66:59 იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემპიონმა ითაკილა დასუსტებულ მეტოქესთან მარცხი, ბოლო ძალები მოიკრიბა და მატჩის ბედის თავისკენ შემოტრიალება შეძლო.

როგორც ჩანს, საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა „ფილადელფიას" ლიდერმა ალენ აივერსონმა. მისი კეთილმოსურნეები შიშობდნენ, ცერის მოტეხვამ ვაითუ ალენის კარიერაზე ცუდად იმოქმედოსო, მაგრამ ამ ტრავმის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ ხალხმა ძველი აივერსონი იხილა. სწორედ ისეთი, რომლის შესაჩერებლადაც მეტოქე გუნდს მობილიზება სჭირდება. აივერსონი ისეთი სისწრაფით უტევს კალათს, თვალს ვერ დაახამხამებ და მისი დაჭერა ნებისმიერ მეურვეს უჭირს. ფილადელფიელი ყოველთვის ახერხებს, გაექცეს მას, თან სულ იოლად. ამიტომაც „ტორონტოს" დამრიგებელმა ბუჩ კარტერმა სასტარტო ხუთეულში ბლომად მაღლები დააყენა, ესენი აივერსონს კი არ გააჩერებენ, არამედ სროლისას დაუფარებენ, საერთოდ, შეუშლიან ბოლოს, სროლის დროს და ისიც ააცილებსო. არ გაუმართლა კანადელთა ზანგ მწვრთნელს. მაღლებმა აივერსონს ხელი ვერანაირად ვერ შეუშალეს. ფილადელფიელი, როგორც სჩვევია, თავხედურად მიძვრებოდა ფართან და შორი და საშუალო მანძილებიდანაც შედეგიანად უტევდა. მიუხედავად იმისა რომ „ტორონტო" დაცვაში მოიკოჭლებდა, შეტევაში მეტოქეს დიდად არ ჩამორჩებოდა და ცოტა მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, გაიმარჯვებდა კიდეც.

ცუდ დღეშია „მინესოტა ტიმბერვულვზი", საკმაოდ ამბიციური, ამასთან, მებრძოლი გუნდი. „მგლები" თამაშს თამაშზე აგებენ და უკვე ზედიზედ შვიდჯერ დამარცხდნენ. სამაგიეროდ, მათი თანადივიზიონელი „იუტა" თანდათან აზარტში შედის. მან ზედიზედ იმდენი მოიგო, რამდენიც „მინესოტამ" წააგო. როგორც ყოველთვის, კარგ ფორმაშია „იუტას" ლიდერი კარლ მელოუნი და მისი გუნდიც უწინდებურად ერთ-ერთი წამყვანია ლიგაში.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS ფილადელფიიდან

ფილადელფია — ტორონტო. ჯორჯ ლინჩის და ტორონტოელი ვინს კარტერის (№15) ორთაბრძოლა

## კორაჩის თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 15 დეკემბერი

*ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩის შედეგი*

*ესტუდიანტესი (ესპანეთი)* — აპოლონი (კვიპროსი) 114:779 (91:56)
*აეროპორტი (იტალია)* — ლოკომოტივი (რუსეთი) 86:59 (69:72)
ალიტა (ლიტვა) — *ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი)* 81:65 (61:88)
*ხირონა (ესპანეთი)* — იმოლა (იტალია) 85:78 (83:72)
*გალათასარაი (თურქეთი)* — ვაკალო (შვეიცარია) 82:66 (69:58)
ქარშიაქა (თურქეთი) — *ტელეკომი (თურქეთი)* 66:65 (72:78)
*ლიმოჟი (საფრანგეთი)* — უნიქსი (რუსეთი) 93:69 (86:64)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — *პეზარო (იტალია)* 66:58 (61:81)
მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) — *პოგონი (პოლონეთი)* 91:70 (68:100)
ბორასი (შვედეთი) — *მარუსი (საბერძნეთი)* 81:75 (74:89)
*ნობილესი (პოლონეთი)* — ლუგანო (შვეიცარია) 72:67 (71:60)
*პერისტერი (საბერძნეთი)* — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 66:63 (80:73)
შიაულიაი (ლიტვა) — *ანტვერპენი (ბელგია)* 69:71 (66:69)
ნანსი (საფრანგეთი) — *ცსკა (უკრაინა)* 68:73 (73:74)
*უნიკახა (ესპანეთი)* — რეჯანა (იტალია) 61:55 (74:67)
*არისი (საბერძნეთი)* — ოსტენდე (ბელგია) 87:71 (65:75)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მერვედფინალში*

**მერვედფინალი. 12 და 19 იანვარი**

გალათასარაი (თურქეთი) — უნიკახა (ესპანეთი)
ხირონა (ესპანეთი) — პეზარო (იტალია)
ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — მარუსი (საბერძნეთი)
აეროპორტი (იტალია) — პოგონი (პოლონეთი)
ანტვერპენი (ბელგია) — ნობილესი (პოლონეთი)
ლიმოჟი (საფრანგეთი) — ცსკა (უკრაინა)
პერისტერი (საბერძნეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი)
ტელეკომი (თურქეთი) — არისი (საბერძნეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იტალია**
თასის მერვედფინალი
იუვენტუსი 1:0 ნაპოლი

**ჰოლანდია**
ფეიენოორდი 0:0 გრააფსხაპი



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# გადმომხტარა

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ ერთ ახირებულ ავსტრიელ პარაშუტისტ-ბეისჯამფერს ფელიქს ბაუმგარტნერს დიდად თავზეხელაღებული რამის მოხდენა გადაუწყვეტია-თქო. აგე, რიო დე ჟანეიროს თავზე, კორკოვადოს მთაზე მდგარი იესო მაცხოვრის ოცდაათმეტრიანი ქანდაკების მკლავზე ამძვრალა და იქედან ხტება. ბეისჯამფინგი, ანუ შენობებიდან და კოშკებიდან გადმოხტომა ბევრ ქვეყანაში აკრძალულია, როგორც სიცოცხლისთვის სარისკო რამ, მაგრამ ბრაზილიაში ასეთი რამ დაშვებულია. ახირებულ კაცს კი აბა, რა დაუდგება წინ. ჰოდა, გადმომხტარა.

# ურჩხულა გოგო

ამ ურჩხულა ნიღაბს უკან ერთი კაი მოხდენილი ფინელი გოგო იმალება. რატომ შემოვიდა ტრამპლინიდან მხტომელთა შორის მოდაში ურჩხულთა სათვალეებითა და ნიღბებით თავმოწონება, ჩვენ არ ვიცით. სამაგიეროდ ვიცით, რომ ნიღაბს უკან იანე აჰონენის სახე იმალება. გოგო თავისი პირველი ნახტომისთვის ემზადება სლოვენიურ პლანიკაში მიმდინარე შეჯიბრზე. ისე კი, იანე განთქმული ტრამპლინიდან მხტომელია, მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი უჭირავს.



REUTERS პლანიცადან

# კვლავ ჩხუბი

*კვლავ ჩხუბი და კვლავ ყინულზე. ანაჰაიმელი „იხვების" ჯიმ მაკენზი კოლორადოელ „ზვავთა" სემი ჰელენიუს ურტყამს. ეს ჩხუბი შეხვედრის პირველ პერიოდში ამტყდარა დენვერში (კოლორადო) და მამლაყინწებს ხუთ-ხუთი წუთი საჯარიმო სკამზე გაუტარებიათ.*



REUTERS დენვერიდან



REUTERS სანტიაგოდან

# უნივერსიდად!

ძველთაძველმა სანტიაგოურმა კლუბმა, „უნივერსიდად დე ჩილემ" ჩილეს ჩემპიონატის ბოლო მატჩი 0:3 წააგო „კოლო კოლოსთან", მაგრამ ამით გუნება არ წახდომია „უნივერსიდადმა" უკვე ბოლოსწინა ტურში გაინაღდა ქვეყნის ჩემპიონობა. გუნდთან ერთად იხარა ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდო ფრეიმ, რომელმაც საჩემპიონო თასი გადასცა „უნივერსიდადელებს". ამ გადაცემას იმგვარი ელფერი ჰქონდა, რომ იფიქრებდით, პრეზიდენტი თავის თავს გადასცემს თასსო. გასაკვირიც არაა ფრეი „უნივერსიდადის" თავგადაკლული გულშემატკივარია.

# კიევი წინ მიიწევს

ხარობენ კიეველი კალათბურთელი გოგონები. იქაურ დინამოელებს იტალიური „ისაბ პრიოლო" უძლევიათ და ევროპის თასის მეოთხედფინალში გასულან. საბჭოთა კალათბურთის მცოდნენი ამ გახარებულ კაცში კიევის „სტროიტელის" ოდინდელ მსროლელს ვლადიმირ რიჟოვს ამოიცნობენ, რომელიც ახლა დინამოელ ქალთა მთავარი მწვრთნელია. გოგო კი კიეველთა ამერიკელი ლესლი ბრაუნი გახლავთ.



REUTERS კიევიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli